



ქართული
ლიბრარი

178 /
1958/3

საქართველო სამართლებრივი

2

1958

საბჭოთა სამართალი

№ 2


მარტი—აპრილი
1958 წელი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა
და უმაღლესი სასამართლოს
ორთვიური ჟურნალი

შ ი ნ ა ა რ ს ი

7633

მ. ო. წი. ნ. ა. ვ. ე. — საბჭოთა დემოკრატიის ზეიმი	83
ბ. ფ. უ. რ. ც. ხ. ვ. ა. ნ. ი. — ლენინი სოციალისტური კანონიერების შესახებ	7
ნ. ლ. ო. მ. ს. ა. ე. — საკოლმ. ურნო წყობილების შემდგომი განვითარების დონისძიებათა შესახებ	16
ე. გ. ვ. ა. თ. უ. ა. — გათქმის ცნების შესახებ საბჭოთა სისხლის სამართალს პროცესში	24
ა. გ. ე. ლ. ო. ვ. ა. ნ. ი. — აკაკი წყნეთელის ერთი დაცვითი სიტუაციის გამო	28
გ. შ. ა. ნ. ი. ძ. ე. — სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ზოგიერთი საკითხი	34
წინადადება ნი სხალი კანონმდებლობისათვის	
ნ. ნ. ე. ბ. ი. ე. რ. ი. ძ. ე. — მეტი ყურადღება საავტორო უფლებების დაცვას	38
შ. დ. ა. რ. ბ. ი. ა. ნ. ი. — სახლმშენებელი და საზოგადო ქონების წვრილმანი დატაცებისათვის და პირადი საკუთრების წვრილმანი გურდობისათვის ს. ს. ხელები უნდა გათანაბრდეს	42
გ. ლ. ე. ჟ. ა. ვ. ა. — საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 47 მუხლის რედაქციის დახუტვისათვის	43
ა. შ. ა. რ. ვ. ა. ე. — საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58 ¹⁸ მუხლის პირველი ნაწილი გადასინჯვას მოითხოვს	45
გამოცდილვების გ. ზირაძე	
ა. დ. უ. ლ. უ. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. — ჯანმრთელობის დაზიანებით ან სიკვდილით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის ზოგიერთი საკითხი	46
მ. ო. კმე სოციალისტურ ქვეყნებში	
ა. კ. ა. რ. ა. ნ. ა. ძ. ე. — სახლმშენებელი ხელი-უფლებების უმაღლესი ორგანოები სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკებში	53
ჩ ვ ე ნ ბ ვ წ ე რ ე ნ	
გ. ი. ო. ს. ა. ვ. ა. — თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლო გაერთიანების შემდეგ	60
გ. ბ. ე. უ. ნ. ა. ო. გ. ი. ა. — თეტი ყურადღება გადაწყვეტილებათა აღსრულებას აღმინების საქმეებზე	62
აუზარები სახალხო მსაჯულთაგან	
ა. უ. ბ. ა. რ. ი. პ. ი. რ. ე. ლ. ი. — სახალხო მსაჯულთა მონაწილეობა საქმის სასამართლო განხილვაში	64
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია	
გ. ვ. ა. ჩ. ე. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. — ბ. ხარაჩიშვილი „კრიპინ ლისტიკა“	70
ახალი კანონმდებლობაში	73
იუსტიციის უმაღლესი კონსულტაცია მსახალხოებს	75
ს. სამართალი პროკურატურაში	76



С О Д Е Р Ж А Н И Е

	стр.
Передовая—Торжество советской демократии	3
Б. Пурцхванидзе—В. И. Ленин о социалистической законности	7
Н. Ломсадзе—О мероприятиях дальнейшего развития колхозного строя	16
Е. Гватуа—О понятии оговора в советском уголовном процессе	24
А. Геловани—Об одной защитительной речи Акакия Церетели	28
В. Шанидзе—Некоторые вопросы судебно-медицинской экспертизы	34

ПРЕДЛОЖЕНИЯ ПО НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

Н. Небиеридзе—Больше внимания защите авторского права	38
Ш. Дарбинян—Привести в соразмерность наказания за мелкое хищение государственного и общественного имущества и за мелкую кражу личной собственности граждан	42
Г. Лежава—К уточнению редакции статьи 47 УК Грузинской ССР	43
Ш. Шарвадзе—Часть первая статьи 58 ¹⁸ Ук Гр. ССР подлежит пересмотру	45

ОБМЕН ОПЫТОМ

А. Гугунишвили, И. Гватуа—Некоторые вопросы судебной практики по делам возмещения ущерба, вызванного причинением увечья или смерти	46
--	----

В БРАТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ СТРАНАХ

А. Каранадзе—Высшие органы государственной власти в народно-демократических республиках	53
---	----

Н А М П И Ш У Т

Г. Иосава—Народный суд Кировского района г. Тбилиси после объединения	60
В. Меунаргия—Больше внимания исполнению решений по алиментным делам	62

БЕСЕДЫ С НАРОДНЫМИ ЗАСЕДАТЕЛЯМИ

Беседа первая—Участие народных заседателей в судебном рассмотрении дел	64
--	----

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. Вацейшвили—Б. Харазишвили „Криминалистика„	70
НОВОЕ В ЗАКОНОДАТЕЛЬСТВЕ	73
ЮРИДИЧЕСКАЯ КОНСУЛЬТАЦИЯ НАСЕЛЕНИЮ	75
СУДЕБНАЯ ПРАКТИКА	76

საბჭოთა დემოკრატიის ზეიმი


ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მაღალი პოლიტიკური აქტივობისა და ორგანიზებულობის ვითარებაში ჩატარდა მიმდინარე წლის 16 მარტს სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. საბჭოთა ადამიანები უდიდესი კმაყოფილებისა და სიამაყის გრძნობით შეხვდნენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობას იმის შესახებ, რომ კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკმა კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, რომ არჩევნები საბჭოთა დემოკრატიის ახალი ზეიმით დამთავრდა.

საარჩევნო კომისიის ცნობით 133.836.325 ამომრჩეველიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 133.796.091 კაცმა ანუ 99,97 პროცენტმა. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს კავშირის საბჭოს არჩევნების ყველა საარჩევნო ოლქში ხმა მისცა კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,57 პროცენტმა, ხოლო ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ყველა საარჩევნო ოლქში — 99,73 პროცენტმა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ამომრჩეველთა საერთო რიცხვი განისაზღვრებოდა 2.547.637 კაცით. მათგან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 2.547.588 ამომრჩეველმა, ე. ი. 99,99 პროცენტმა, ხოლო კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა კავშირის საბჭოს ყველა საარჩევნო ოლქში 99,95 პროცენტმა და ეროვნებათა საბჭოში — 99,94 პროცენტმა.

სულ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში არჩეულია 1378 დეპუტატი. აქედან 738 დეპუტატი კავშირის საბჭოში და 640 დეპუტატი ეროვნებათა საბჭოში. ახლად არჩეულ უმაღლეს საბჭოს დეპუტატებიდან 614 მუშა და კოლმეურნეა, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. დანარჩენი დეპუტატები ჩვენი ქვეყნის მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენლებია: ინჟინრები, აგრონომები, ექიმები, მასწავლებლები, მეცნიერები, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეები, საბჭოთა, პარტიული და პროფკავშირული მუშაკები, აგრეთვე საბჭოთა შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები. დეპუტატთა შემადგენლობის $\frac{1}{4}$ —ქალებია. ამავე დროს, უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილია მრავალეროვანი სოციალისტური ქვეყნის ყველა ხალხი და ერი.

სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ასეთი შემადგენლობა ნათლად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ხალხის მიერ ერთსულოვნად არჩეული უმაღლესი საბჭო ქვეყნის მთელს სახალხო პარლამენტი, რომელიც მშრომელთა ნებისყოფას გამოხატავს და მათ ინტერესებს იცავს.

საბჭოთა საზოგადოების ეკონომიური და პოლიტიკური წყობილება, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ჩვენი საარჩევნო



სისტემის დემოკრატიულობას, ჰემმარიტად საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების ჩატარებას ფარული კენჭისყრით.

საყოველთაო-საარჩევნო უფლება ღორმალურად გამოცხადებულია კაპიტალისტურ სახელმწიფოებშიც, მაგრამ უამრავი შეზღუდვის, ე. წ. ცენზების მიშვეობით ეს უფლება მშრომელებისათვის ფექციას წარმოადგენს. მთელ რიგ ქვეყნებში ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი ქალების საარჩევნო უფლება (მაგ. ირანში, ესპანეთში, პორტუგალიაში, სანგარქნეთში, შვეიცარიაში, მექსიკაში და ა. შ.), ზოგან კი საარჩევნო უფლებით არ სარგებლობენ სამხედრო მოსამსახურენი იმ მოტივით, რომ ჯარი „პოლიტიკის გარეთ“ უნდა იდგესო.

ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს 50-მდე სხვადასხვა საარჩევნო ცენზი, რის შედეგადაც მრავალი მოქალაქე ფაქტიურად კარგავს უფლებას მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. პრეზიდენტის უკანასკნელი არჩევნების დროს 1956 წელს კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 62 მილიონმა კაცმა, მაშინ, როდესაც საარჩევნო ასაკის მოქალაქეთა რაოდენობა დაახლოებით 104 მილიონს შეადგენდა. ან კიდევ, რომელ დემოკრატიაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც 15 მილიონი შავკანიანი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ჩამომორებულია არჩევნებს: ზოგიერთ შტატში — უშუალოდ საარჩევნო კანონით, ზოგან კი — ტერორითა და დაშინების გზით.

საყოველთაო საარჩევნო უფლების გაყალბების გარდა, კაპიტალისტურ სახელმწიფოებში უზრუნველყოფილი არ არის არც თანასწორი და პირდაპირი არჩევნები და არც ფარული კენჭისყრა. გასაგებია, რომ ასეთ აშკარა მოსყიდვისა და ტერორის ვითარებაში, იმპერიალისტური სახელმწიფოების მმართველ წრეებს პრესისა და რადიოს გამოყენებით შესაძლებლობა აქვთ გაიყვანონ პარლამენტების წევრებად მათთვის სასურველი კანდიდატები. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში არჩეული არ არის არც ერთი მუშა, არც ერთი მშრომელი ფერმერი.

ამერიკის საგაზეთო-საგამომცემლო ტრესტის მეთაურმა ე. რ. ჰერსტმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის უმრავლესობას მუშათა კლასი შეადგენს და რომ სწორედ იგია მმართველი კლასი(?). მაშ როგორ ვერ მოახერხა „მმართველმა კლასმა“ თუნდაც ერთი წარმომადგენლის გაყვანა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში? საქმეც ის არის, რომ სწორედ მმართველმა კლასმა გაიყვანა თავისი წარმომადგენლები კონგრესში, მაგრამ ეს მმართველი კლასი მუშები კი არა, კაპიტალისტები არიან, რომელთა ხელშია მთელი სახელმწიფო აპარატი — არმია, პოლიცია, სასამართლო, დაზვერვის ორგანოები და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ მშრომელთა შეგნების ამაღლებისა და კომუნისტური და მუშათა პარტიების გავლენის ზრდის პირობებში, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, მთელი რივი კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელები, კომუნისტური პარტიები მაინც ახერხებენ გაიყვანონ პარლამენტებში თავისი წარმომადგენლები, რომლებიც პარლამენტის ტრიბუნიდან ამხელენ ბურჟუაზიული მთავრობის ანტიხალხურ პოლიტიკას, ხოლო ისეთ კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც მუშათა კლასი განსაკუთრებით ორგანიზებულია (საფრანგეთი, იტალია) კომუნისტური პარტიების ფრაქციები პარლა-

მენტებში მეტად მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ; ამიტომ არის, რომ ყოველგვარი არასასურველი „მემთხვევეთობისაგან“ თავის დაზღვევის მიზნით ამ სახელმწიფოების მმართველი წრეები ცდილობენ შეცვალონ და კიდევ უფრო რეაქციული გახადონ საარჩევნო სისტემა.

განსხვავებით ბურჟუაზიული პარლამენტისაგან, სოციალისტური სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანო—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ნამდვილად სახალხო ხელისუფლების ორგანოა არა მარტო შექმნის წესითა და შემადგენლობით, არამედ მთელი თავისი საქმიანობით და, პირველყოფლისა, საკანონმდებლო მოღვაწეობით.

ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებისათვის, უაღრესად დიდია იმ ღონისძიებების მნიშვნელობა, რომლებიც მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონებისა და დადგენილებების საფუძველზე განხორციელდა მის რწმუნებათა პერიოდში (1954 წლის 14 მარტი — 1958 წლის 16 მარტი).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის კანონები, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელებაში, საბჭოთა სახელმწიფოს მიერ სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელი მუშაობის ფუნქციის შესრულებაში. მაგალითად, მე-7 სესიის მიერ 1957 წლის 10 მაისს მიღებული კანონი მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს სამეურნეო მშენებლობაში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებების გაფართოებას, ხელმძღვანელობის დაახლოებას წარმოებასთან და მასების უფრო ფართოდ ჩაბმას საწარმოო პროცესების მმართველობაში.

სახელმწიფოებრივი მმართველობის მრავალ დარგში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოების მიზნით, კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესაბამისად, მე-4 მოწვევის უმაღლესმა საბჭომ მიიღო სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებიც. კერძოდ, 1957 წლის 11 თებერვლის კანონით უმაღლესი საბჭოს მე-6 სესიამ მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობას მიაკუთვნა მხარეებისა და ოლქების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის გადაწყვეტა, რაც ადრე უშუალოდ სსრ კავშირის კომპეტენციაში შედიოდა.

მშრომელთა კეთილდღეობისა და ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებაზე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სისტემატური ზრუნვის გამომხატველია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ მიღებული კანონი სახელმწიფო პენსიების შესახებ, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი დასვენებისა და დღესასწაულების წინაღობებში მუშებისა და მოსამსახურეების სამუშაო დღის შემცირების შესახებ, თექვსმეტიდან თვრამეტი წლის ასაკამდე მოზარდებისათვის ექვსსაათიანი სამუშაო დღის დაწესების შესახებ, ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებათა ხანგრძლივობის გაზრდის შესახებ და ა. შ.

რაც შეეხება საბჭოთა დემოკრატიზმის შემდგომ განვითარებას, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, კანონმდებლობისა და მართლმსაჯულების განხორციელების დარგში სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციის ახლებურად გამიჯვნას, — ამ საკითხების თაობაზე მე-4

მოწვევას უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ეპოქალური მნიშვნელობისაა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. სწორედ ამ პერიოდში იქნა მიღებული კანონი, რომლის მიხედვითაც მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობაში გადავიდა კანონმდებლობა სასამართლოთა მოწყობისა და სასამართლოწარმოების შესახებ, აგრეთვე, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსების მიღება. გარდა ამისა უმაღლესმა საბჭომ განიხილა და დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის დებულების დამტკიცების შესახებ, მიიღო ახალი დებულება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შესახებ და კანონი სატრანსპორტო სასამართლოების გაუქმების შესახებ.

სსრ კავშირის ახლადარჩეულმა მე-5 მოწვევის უმაღლესმა საბჭომ თავის პირველსავე სესიაზე განიხილა ჩვენი ქვეყნის სახალხო ბეურნეობის განვითარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხი: „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“, რომელიც შეიმუშავეს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და რომელსაც საყოველთაო-სახალხო განხილვის მსვლელობაში ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საბჭოთა ადამიანებმა.

უმაღლესმა საბჭომ დებუტატების უდიდესი ერთსულოვნების ვითარებაში აირჩია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მთავრობა—მინისტრთა საბჭო. ჩვენი ქვეყნის ხალხები კმაყოფილებით შეხედნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უხუცესი მოღვაწის ამხ. კ. ე. ვოროშილოვის არჩევას და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის დანიშვნას.

არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიოს მილიონობით პატრიოსანი ადამიანი უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა უმაღლესი საბჭოს დადგენილებას საბჭოთა კავშირის მიერ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

სსრ კავშირის მე-5 მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული მთელი საბჭოთა ხალხი, მათ შორის საქართველოს მშრომელები, მკიდროდ დარაზმულნი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, ყოველივეს გააკეთებენ იმისათვის, რომ წარმატებით განახორციელონ ეს ისტორიული გადაწყვეტილებანი.



3. ი. ლენინი სოციალისტური კანონიერების შესახებ

დოცენტი ბ. ფურცხვანიძე

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელმა ვ. ი. ლენინმა, გენიალურად განავითარა რა ახალ ისტორიულ პირობებში კომუნიზმის გამარჯვების გარდუვალობის თეორია, დაამტკიცა სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობა და დასახა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის ვხები. ჩვენს ქვეყანაში,—გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი,— მოიპოვება ყველაფერი, „რაც აუცილებელია სრული სოციალისტური საზოგადოების აგებისათვის“¹.

ვ. ი. ლენინს მიეკუთვნება უდიდესი დანსახურება—მარქსისტული თეორიის გამდიდრება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალი ვითარების შესაბამისად, კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების პრაქტიკის შემოქმედებითად განზოგადოების საფუძველზე ვ. ი. ლენინმა ნათელყო, რომ სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის მთავარ იარაღს საბჭოთა სახელმწიფო წარმოადგენს.

საბჭოთა სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცებისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის წარმატებით დაგვირგვინების საქმეში მნიშვნელოვანი როლი სოციალისტურ კანონიერებას ენიჭება. ამიტომ იყო, რომ ვ. ი. ლენინი სოციალისტური კანონიერების საკითხებს ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა, თავის შრომებში ბრწყინვალედ ასაბუთებდა სოციალისტური კანონიერების ძირითად თეორიულ დებულებებს, ავლენდა მის პროლეტარულ არსსა და მნიშვნელობას, მიუთითებდა მის განმამტკიცებელ პრაქტიკულ ღონისძიებებსა და გზებზე.

საბჭოთა სოციალისტური სამართალი კანონში გამოხატული მშრომელი ხალხის ნებასურვილია და მისი შინაარსი მთლიანად გაპირობებულია იმ დიდი მიზნით, რაც დასახული აქვს საბჭოთა ხალხს. ეს მიზანია—კომუნისტური საზოგადოების აგება. აქედან გამომდინარე, სოციალისტური სამართლის, მსოფლიოში ამ ყველაზე უფრო დემოკრატიული, ჰუმანური ხასიათის სამართლის ძირითადი დანიშნულება ისაა, რომ განმტკიცდეს მეურნეობის სოციალისტური ფორმების განვითარება, დაცულ იქნას ყოველგვარი ზღაპრისაგან სოციალისტური წყობილება, მოწესრიგდეს შრომის პირობები და მისი ანაზღაურება, გარანტირებულ იქნეს მოქალაქეთა უფლებები და პატივსაღები ინტერესები. სოციალისტური კანონიერება, გამოსახავს რა კომუნისტური პარტიის მეცნიერულად დასაბუთებულ პოლიტიკას, აქტიურ შემოქმედებით ზეგავლენას ახდენს სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებაზე, იგი გაპირობებულია საბჭოთა საზო-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 552.

გადობის განვითარების ობიექტური კანონზომიერებით და, აქედან გამომდინარე, თვით სოციალისტური სამართლის პრინციპებს ობიექტური ხასიათი აქვს. სოციალისტური კანონიერება წარმოადგენს ზედმიწევნით მნიშვნელოვან ძალას, მიმართულს ანტისაზოგადოებრივი და ანტისაბჭოთა ელემენტების ძირგამომხრელი საქმიანობის წინააღმდეგ. ამიტომაც მისი ზუსტად დაცვა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და თანამდებობის პირის და ყველა საბჭოთა მოქალაქის განუხრელი მოვალეობაა.

სოციალისტურ საზოგადოებას არ შეუძლია შეურიგდეს თვითნებობას, უკანონობას, მოქალაქეთა უფლებების შელახვას, ხალხის ნებასურვილის გამომსახველ იმ სამართლის ნორმების დარღვევას, რომელიც სოციალისტური სამართლიანობის შემცველია, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი ჩაგვრა და ექსპლოატაცია.

ვ. ი. ლენინის მოძღვრებაში სოციალისტური კანონიერების შესახებ მთავარსა და ძირითადს წარმოადგენს მტკიცე რევოლუციური მართლწესრიგის დამყარება და საბჭოთა კანონების ზუსტად დაცვის აუცილებლობა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ დღეებში (სახელდობრ 1917 წლის 26 ოქტომბერს) ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს რეზოლუციაში გამოთქმული იყო რწმენა, რომ „ქალაქის მუშები, უღარბეს გლეხობასთან კავშირში, გამოიჩინენ ურყევ ამხანაგურ დისციპლინას, შეკმნიან უსასტიკეს რევოლუციურ წესრიგს, რაც აუცილებელია სოციალიზმის გამარჯვებისათვის“¹.

სრულიად რუსეთის საბჭოების VI საგანგებო ყრილობამ 1918 წლის 8 ნოემბერს მიიღო სპეციალური დადგენილება კანონების ზუსტად დაცვის შესახებ. ამ დადგენილების რედაქტირებაში ვ. ი. ლენინი მონაწილეობდა. დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ „რევოლუციური ბრძოლის ერთი წლის მანძილზე რუსეთის მუშათა კლასმა შეიმუშავა რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის კანონების საფუძვლები, რომლის ზუსტად დაცვა აუცილებელია რუსეთში მუშათა და გლეხთა ხელისუფლების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის...“, რომ „მოწოდებული იქნენ რესპუბლიკის ყველა მოქალაქე, ყველა ორგანო და ყველა თანამდებობის პირი მკაცრად დაიცვან რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის კანონები, გამოცემული ცენტრალური ხელისუფლების მიერ, დადგენილებები, დებულებები, განკარგულებანი...“².

ვ. ი. ლენინმა ეს დადგენილება დაუგზავნა ყველა სახალხო კომისარს და სახალხო კომისარიატების კოლეგიის წევრებს მიმართვით, სადაც წერდა: „გვიგზავნით რა ამასთან ერთად ბროშურას „შეასრულეთ საბჭოთა ხელისუფლების კანონები“, თქვენს ყურადღებას მივაქცევ მასში დაბეჭდილ კანონზე, რომელიც გამოცემულია საბჭოების სრულიად რუსეთის VI ყრილობის მიერ.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 279.

² იხ. Сборник документов по истории уголовн. законодательства СССР и РСФСР, 1917—1952, 1955, стр. 38

მოგაგონებთ ამ კანონის ყოველმიზეზგარეშე შესრულების აუცილებლობას¹.

კოლჩაკზე გამარჯვების გამო მუშებისა და გლეხებისადმი მიმართულ წერილში (1919 წ. 24 აგვისტო) ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „სულ მცირეოდენი უკანონობა, საბჭოთა წესრიგის სულ მცირეოდენი დარღვევა უკვე ის ხვრელია, რომელსაც დაუყონებლივ გამოიყენებენ მშრომელთა მტრები“².

სამოქალაქო ომის ფრიად დაძაბულ ვითარებაშიც კი ვ. ი. ლენინი მოითხოვდა კანონიერების მკაცრად დაცვას, მიუთითებდა, რომ „...საჭიროა უმკაცრესი რევოლუციური წესრიგის დაცვა, საჭიროა საბჭოთა ხელისუფლების კანონებისა და ბრძანებების წმინდად დაცვა და თვალყურის დევნება, რომ მათ ყველა ასრულებდეს“³.

აღნიშნულიდან ნათელია, რომ ბურჟუაზიულ სწავლულთა მტკიცება—თითქოს კანონიერება საბჭოთა სახელმწიფოში ჩნდება მარტოოდენ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლისას, ხოლო ამ დრომდე კი მოქმედებდა კანონიერებასთან შეუსაბამი რევოლუციური მიზანშეწონილება—ყოველდღე უსაფუძვლო და ცილისმწამებლურია. ჯერ ერთი, კანონიერებისა და მიზანშეწონილების ასეთი დაპირისპირება არასწორია, უნიადაგოა, რადგან სოციალისტური კანონიერების დაცვა ნიშნავს მიზანშეწონილ მოქმედებას იმ მიზნების მისაღწევად, რასაც კანონების გამოცემით ისახავს საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის პოლიტიკა. მეორეს მხრივ, ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე საბჭოთა ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი ყოველთვის ხორცილდებოდა კანონის ფორმით; კანონიერებას, როგორც სოციალისტური მშენებლობის მეთოდს, მუდამ თვალსაჩინო როლი ენიჭებოდა და მისი განუხრელი დაცვა ყველასათვის სავალდებულო იყო.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ დეკრეტებში, რომლებიც ვ. ი. ლენინის უშუალო მონაწილეობით იყო შემუშავებული, გამოხატულია ახალი, სოციალისტური მართლწესრიგისა და კანონიერების პრინციპები, განსაზღვრულია კლასობრივი მტრების წინააღმდეგობის ჩახშობის ღონისძიებანი, აღიარებულია მოქალაქეთა უფლებები და მოცემულია მათი მატერიალური გარანტიები. საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტებით ყალიბდებოდა მარქსისტულ-ლენინური იდეებით გამსჭვალული ახალი სამართლებრივი პრინციპები, ახალი საზოგადოების მოქალაქეთა ყოფაქცევის ნორმები. რკპ(ბ) VIII ყრილობაზე 1919 წ. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები დიდ როლს ასრულებენ პროპაგანდის საქმეში, „დეკრეტები, ეს არის ინსტრუქციები, რომლებიც მოუწოდებენ მასობრივი პრაქტიკულ საქმისაკენ“⁴, ხოლო რკპ(ბ) XI ყრილობაზე 1922 წ. ვ. ი. ლენინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „უბრალო მუშასა და გლეხს ჩვენ ერთბაშად ვაცნობდით ჩვენს შეხედულებებს პოლიტიკაზე დეკრეტების ფორმით. ამის შედეგი იყო იმ უდიდესი ნდობის მოპოვება, რომელიც ჩვენ გვქონდა და გვაქვს ხალხის მასებში“⁵.

¹ Ленинский сборник, XIII გვ. 19.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29 გვ. 661.

³ იქვე, გვ. 659—660.

⁴ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 236.

⁵ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 356.

ვ. ი. ლენინს რევოლუციური კანონიერება მიაჩნდა ბასრ იარაღად მშობელთა კლასობრივი მტრის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში და მის მტკიცედ, თანამიმდევრულად გატარებას თვლიდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად ძველი, მტრული ძალების წინააღმდეგობის დასამხობად, ამასთან აწალი, საბჭოთა საზოგადოების წარმატებით გასავითარებლად.

საბჭოთა ხელისუფლებას თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე მოუხდა გადაეღა საზოგადოებრივი წინააღმდეგობა და მხობილი ექსპლოატატორული კლასების ნაშთებისა, რომლებიც საერთაშორისო ბურჟუაზიის დახმარებით ცდილობდნენ თავიანთი დაკარგული პრივილეგიების აღდგენას და საბოლოო გამში ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების მოსპობას. კანონებით დადგენილი სასჯელთა ზომების მკაცრად გამოყენების საფუძველზე საბჭოთა ხელისუფლება ლახვარს სცემდა მავნებლობისა და საბოტაჟის, ჯაშუშობის, ტერორისტული აქტებისა და დივერსიის, აგრეთვე სხვა უმსგავსო გამონდომათა ჩამდენ პირებს, სახალხო მართლწესრიგისათვის გაფთრებული წინააღმდეგობის გამწვევ კულაკებსა და სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთ, მექრთამეებსა და სპეკულანტებს. ვ. ი. ლენინის არაერთხელ მიუთითებია, რომ სახალხო დოვლათის დამტაცებელი, მექრთამეები, სპეკულანტები—უბოროტესი კლასობრივი მტრებია, რომ მდიდარი და გაიძვერა ერთი მედლის ორი მხარეა.

მართალია, საბჭოთა ხელისუფლება, განსაკუთრებით სამოქალაქო ომის ვითარებაში, ფართოდ იყენებდა საგანგებო ზომებს, თვით სამხედრო დაძალვის ჩათვლით, მაგრამ ერთდროულად პარტია და მთავრობა მუდამ განუხრებლად ებრძოდნენ თვითნებობას, კანონიერებისათვის გვერდისაწვევის ცდებს, ვის მიერაც არ უნდა ყოფილიყო ასეთი ჩადენილი. აღსანიშნავია ამ მხრივ ვ. ი. ლენინის შემდეგი მითითება 1918 წ. ზაფხულზე, ქვეყნის ამ უმძიმესი სასურსათო კრიზისის პერიოდში: „დადესტრუდეს (ან უფრო ზუსტად იქნეს ფორმულირებული) წესები და კანონები ქონების კონფისკაციისა სახელმწიფოსათვის (ან კოოპერატივებისათვის) ნაჭარბი პურის და ყველა სხვა სასურსათო პროდუქტების აღსარიცხავად ჩაუბარებლობისათვის...“, „დაწესდეს ხელწერილის სავალდებულო გაცემა ორ (ან სამ) ცალად, უსათუოდ ყოველი რეკვიზიციის დროს... ქვითრების გაუცემლად რეკვიზიციისათვის — დახვრეტა“¹.

შემდეგ, სამოქალაქო ომის გამარჯვებით დამთავრებისა და ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის პერიოდში, ვ. ი. ლენინი კვლავ უბრუნდება ახალ ვითარებაში სოციალისტური კანონიერების მნიშვნელობის საკითხს. მოხსენებაში სრულიად რუსეთის საბჭოების IX ყრილობაზე (1921 წლის 23 დეკემბერს) ლენინმა მიუთითა, — „რაც უფრო მეტად შევდივართ ისეთ პირობებში, რაც მტკიცე და მავარ ხელისუფლებას შეეფერება, რაც უფრო მეტად ვითარდება სამოქალაქო აღებ-მიცემობა, მით უფრო აუცილებელია წამოვაყენოთ მეტი რევოლუციური კანონიერების განხორციელების მტკიცე ლოზუნგი“².

ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კანონებს საბჭოთა საზოგადოების განმტკიცება-განვითარებისა და ხალხის ახალი დისციპლინით აღზრდის, მისი მართლმეგნების აღმავლობის საქმეში და ერთდროულად მოი-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 37-38.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 199.

თხოვდა მეტი ყურადღების დათმობას კანონიერების მეორე მხარისათვის, სახელდობრ, სამართლის ნორმების ყველას მიერ ერთგვარად გაგებისა და ცხოვრებაში მტკიცედ გატარებისათვის. ამ საკითხის მოწესრიგებაში ლენინი თვალსაჩინო როლს აკუთვნებდა პროკურატურას, — რომელიც მისი უშუალო ინიციატივით დაარსდა 1922 წელს.

საბჭოთა პროკურატურის შექმნა ორგანულად იყო დაკავშირებული ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის გამო სოციალისტური კანონიერების წინაშე დასმულ ამოცანებთან. ადგილობრივი სამეურნეო ბრუნვის გაფართოების და გარკვეულ ფარგლებში თავისუფალ ვაჭრობის დაშვების პირობებში, როდესაც სოციალისტურ კანონიერებას უნდა უზრუნველყო შემდგომი აქტიური ბრძოლა წვრილბურჟუაზიულ ანარქიულობასთან, საიმედო დაცვა საბჭოთა სახელმწიფოს ახალი სამეურნეო ინტერესებისა, დაარსება მუშათა კლასის დიქტატურის ისეთი ორგანოსი, როგორც პროკურატურაა, აუცილებლობას წარმოადგენდა.

წერილში—ამხანაგ სტალინს—პოლიტიუროსათვის „ორმაგი“ დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ—ვ. ი. ლენინის მიერ ღრმად, ამომწურავად არის დასაბუთებული პროკურატურის როლი და ფუნქციები, მისი წყობის ორგანიზაციული საფუძვლები. ამ წერილში გატარებული ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ პროკურატურამ „თვალყური ადევნოს მთელ რესპუბლიკაში კანონიერების ნამდვილად ერთნაირი გაგების დადგენას, მიუხედავად ყოველგვარი ადგილობრივი განსხვავებისა და წინააღმდეგ ყოველგვარი ადგილობრივი გავლენისა“¹.

აქედან გამომდინარე, ვ. ი. ლენინი მოითხოვდა ადგილობრივი ორგანოებისაგან დამოუკიდებელი, ბრძოლისუნარიანი, აქტიური და ცენტრალიზებული პროკურატურის შექმნას.


ვ. ი. ლენინი, თვლიდა რა პროკურატურას ისეთ ორგანოდ, რომელსაც მეთვალყურეობა უნდა გაეწია სოციალისტური კანონიერების ზუსტად შესრულებისათვის, ამავე დროს კანონიერებაზე ზედამხედველობაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მშრომელი ხალხის როლს, ხალხის მასების უშუალო მონაწილეობას. სრულიად რუსეთის საბჭოების IX ყრილობის მიერ 1921 წ. 28 დეკემბერს მიღებულ „განაწესში სამეურნეო მუშაობის საკითხებზე“ ვ. ი. ლენინი მიუთითებდა სახალხო სასამართლოების ამოცანებზე—„მუშათა და გლეხთა ფართო მასებს ზრდიდნენ ისე, რომ დამოუკიდებელი, სწრაფი და საქმიანი მონაწილეობა მიიღონ კანონიერების დაცვის მეთვალყურეობის საქმეში“².

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა უკლებლივ ყველა თანამდებობის პირისა და მოქალაქისაგან საბჭოთა ხელისუფლების კანონების ზუსტად შესრულებას და, ამავე დროს, პირადად იძლეოდა კანონისადმი უდიდესი პატივისცემის მაგალითს. ვ. ი. ლენინს სთხოვეს, გამონაკლისის სახით და კანონისათვის გვერდის ავლით ერთ დაწესებულებაში ნათესავების მუშაობის ნებართვა. ამ შუამდგომლობაზე მან უპასუხა: „კანონისათვის გვერდის ავლა დაუშვებელია; ნარტოლოდენ ასეთი წინადადებისათვის სამართალში აძლევენ“³.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 429.

² იქვე, გვ. 213.

³ Ленинский сборник XXXV, გვ. 60.



ვ. ი. ლენინი დიდად აფასებდა სოციალისტური კანონიერების მტკიცედ განხორციელების მნიშვნელობას ბიუროკრატიზმთან, თვითნებობასთან ბრძოლის საქმეში. ასეთი დამახინჯებანი და საერთოდ ყოველგვარი უსულგულობის, სახელმწიფოებრივი დისციპლინის დარღვევის ცალკეული გამოვლინებანი მას ყოველთვის აღშფოთებდა.

პოლიტგანების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე (1921 წ. 17 ოქტომბერს) გაკეთებულ მოხსენებაში ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „მართალია, საბჭოთა კანონები ძალიან კარგია, ყველას აძლევს შესაძლებლობას ებრძოლოს ბიუროკრატიზმს, მექრთამეობას და სხვა სახის დანაშაულს, მაგრამ „მერე რა—სარგებლობენ ამ შესაძლებლობით? თითქმის არავინ! და არა თუ გლეხმა, კომუნისტთა უდიდესმა პროცენტმაც არ იცის, როგორ გამოიყენოს საბჭოთა კანონები საქმის გაჭიანურებასთან, ბიუროკრატიზმთან ანდა ისეთ ჭეშმარიტად რუსულ მოვლენასთან საბრძოლველად, როგორც არის მექრთამეობა“¹. ლენინი მოითხოვდა პარტიიდან ისეთი კომუნისტების განდევნას, „რომელთაც არა თუ არ ძალუძთ ბრძოლა საქმის გაჭიანურებასთან და მექრთამეობასთან, არამედ ხელსაც უშლიან მათთან ბრძოლას“².

ვ. ი. ლენინი ყოველთვის დიდი გულისყურით ეცნობოდა მშრომელთა წერილებს და მათში დასახულ საქმიან წინადადებებს, რომელთა საფუძველზეც იგი ხშირად იღებდა გადაწყვეტილებებს სახელმწიფო ორგანოების მუშაობის გასაუმჯობესებლად. ასე მაგალითად, ლენინმა მიიღო რა 1921 წლის 3 სექტემბერს პროფესორ გრაფტიოს საჩივარი საქმის გაჭიანურებაზე, უმალვე მისწერა იუსტიციის სახალხო კომისარს დ. ი. კურსკის: „საჭიროა: 1) ეს საქმე გარჩეული იქნას სასამართლოში; 2) მიღწეული იქნას დამნაშავეთა შერცხვენა პრესაში და სასტიკი სასჯელითაც, 3) ცენტრალური კომიტეტის მეშვეობით მოსამართლეებს მოეთხოვოთ, რომ საქმის გაჭიანურებას უფრო სასტიკად სჯიდნენ; 4) მოეწყოს მოსკოვის სახალხო მოსამართლეების, ტრიბუნალთა წევრებისა და სხვ. თათბირი საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის წარმატებითი ღონისძიებების შესამუშავებლად; 5) ამ შემოდგომაზე და 1921—22 წ. ზამთარში მოსკოვში აუცილებლად მოეწყოს 4—6 გასამართლება მოსკოვში მომხდარი საქმის გაჭიანურებისათვის, შერჩეულ იქნას „უფრო მკაფიო“ შემთხვევები და თვითეული გასამართლება გადაიქცეს პოლიტიკურ საქმედ...“³.

სოციალისტური კანონიერების მტკიცედ განხორციელების საქმეში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა პირველ რიგში საბჭოთა სახელმწიფო აპარატს ეკისრება. სათანადო მკაცრი რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს სახელმწიფო აპარატის თუნდაც ერთეულ მომუშავეთა მხრივ ბიუროკრატიზმის გამოვლინება, ცოცხალი ადამიანისადმი უსულგულო დამოკიდებულება, უხეშობა და ქედმაღლობა.

ბრძოლა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ლენინური პრინციპების შესაბამისად, დაბეჯითებით მოითხოვს იუსტიციის ორგანოების მუშაობის მკვეთრად ამაღლებას, მათი ორგანიზაციული წყობის გაუმჯობესებას. ამ მიზნის მისაღწევად სერიოზული მნიშვნელობა აქვს საპროკურო-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 68.

² იქვე, გვ. 69.

³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 552—553.

რო ზედამხედველობის ახალ დებულებას (1955 წ.), რომელშიც არის ჩამოყალიბებული პროკურატურის უფლება-ვალდებულებანი კანონიერებაზე ზედამხედველობის განხორციელების დარგში, აგრეთვე, უკანასკნელი წლების განმავლობაში მიღებულ ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებთან, აგრეთვე სამხარეო, საოლქო სასამართლოებთან პრეზიდენტების შექმნა, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს უფლება-მოვალისშემსრულებლის, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს გაუქმება და ა. შ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1957 წლის 12 თებერვალს მიიღო კანონი მოკავშირე რესპუბლიკათა საკანონმდებლო კომპეტენციის გაფართოების შესახებ. ამ კანონის ძალით სსრ კავშირის გამგებლობას (სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სახით) მიეკუთვნება დადგენა მარტოოდენ სასამართლო წყობილების და სასამართლო წარმოების, აგრეთვე სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისებისა, რომლებშიც მოცემული იქნება ყველა რესპუბლიკისათვის სავალდებულო ერთიანი პრინციპები საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირებისა, ხოლო კანონმდებლობის ყველა დარგში კოდექსების მიღება მოკავშირე რესპუბლიკათა გამგებლობას გადაეცა.

აღნიშნული კანონით—მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებათა ღრმა პატივისცემის ამ აქტით, აღდგენილი იქნა ლენინური პრინციპი, რომელიც „გულისხმობს ისტორიის მიერ პირველად შექმნილ შესაძლებლობას არა მარტო ადგილობრივი თავისებურებების, არამედ ადგილობრივი თაოსნობის, ადგილობრივი ინიციატივის, საერთო მიზნისაკენ მიმართული მოპრაობის სხვადასხვაგვარი გზების, წესებისა და საშუალებების სრული და შეუფერხებელი განვითარებისათვის“¹.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა საკანონმდებლო კომპეტენციის ზემოთ მოყვანილი გამიჯვნა, გამომდინარე პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებიდან მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენიტეტის შემდგომი განმტკიცების შესახებ, ცხადია, უზრუნველყოფს სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის განხორციელებაში ზედმეტი ცენტრალიზაციის აღკვეთას, ხელს შეუწყობს სახელმწიფო მმართველობაში ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების მშრომელთა ფართოდ ჩაბმას, საკანონმდებლო დარგში დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპის გატარებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ხელმძღვანელობს რა სოციალისტური კანონიერების შესახებ ლენინის მოძღვრებით, მოითხოვს კომუნისტებისაგან, ყველა საბჭოთა მოქალაქისაგან განუხრელად დაიცვან კანონები, მუდამ ახსოვდეთ ლენინის მითითება, რომ კანონიერების დარღვევა ის ხვრელია, რომელსაც უმაღლესი გამოიყენებენ საბჭოთა ხელისუფლების მტრები.

საბჭოთა ადამიანების უდიდესი ნაწილი პატიოსნად იცავს საბჭოთა კანონებსა და სოციალისტური თანაცხოვრების წესებს, მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ არიან სოციალისტური ქონების დამტაცებელნი, მძარცველები, ხუ-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 439.

ლიგნები, მექრთამეები და სხვა სახის დამნაშავენი, რომელთა წინააღმდეგაც საჭიროა შეურიგებელი ბრძოლა. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ დანაშაულობის აღმოფხვრა მარტოოდენ სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოებს არ ძალუქთ. დამნაშავეთა და ანტისაზოგადოებრივ ელემენტებთან ბრძოლაში ყველა მშრომელი, საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო წრეები უნდა იქნან ჩაბმული. უნდა შეიქმნას ისეთი გარემო-ვითარება, რომ დანაშაულის ჩამდენი პირი ვერ გაექცეს სამართლიან სასჯელს, რომ საბჭოთა კანონის არცერთი დამრღვევი არ დარჩეს საზოგადოებრივი გაკიცხვისა და მკაცრი პასუხისგების გარეშე.

ამასთან ერთად საჭიროა შეურიგებელი ბრძოლის წარმოება ჩვენთვის უცხო, ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან, მისი რეაქციული შინაარსის გამოაშკარავება. ეს აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ უკანასკნელ ხანებში კაპიტალისტური ქვეყნების საზოგადოებრივ მეცნიერებათა თეორეტიკოსები პოლიტიკურ მოსაქმეებთან ერთად უდიდესი აქტივობით გაჰყვირიან მარქსიზმი-ლენინიზმის, სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტული მოძღვრების ვითომდა „მოძველების“, ახალ ვითარებაში „უსარგებლობის“ შესახებ.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა რევოლუციონიზმისა და რეფორმიზმის ნამდვილი არსის მხილებას, ამტკიცებდა ყველასათვის ნათლად და გარკვევით, რომ „რეფორმიზმი არის ბურჟუაზიული მოტყუება მუშებისა, რომლებიც, მიუხედავად მდგომარეობის ცალკეული გაუმჯობესებისა, მუდამ დარჩებიან დაქირავებულ მონებად,—ვიდრე კაპიტალის ბატონობა არსებობს... ყველა ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რეფორმისტების მოიმედე მუშები მუდამ გაბრიყვებული რჩებოდნენ... რეფორმისტები ცდილობენ ნასუფრალით დაქსაქსონ და მოატყუონ მუშები, ჩამოაშორონ ისინი კლასობრივ ბრძოლას“¹.

დაუზოგავად ააშკარავებდა რა რენეგატებსა და მარქსიზმის გამყალბებელთ, რომლებიც ფარისევლურად ინიღბებოდნენ დოგმატიზმთან ბრძოლის საჭიროებით, ლენინი რევოლუციური აღზნებით იცავდა მარქსიზმს—მუშათა კლასის ამ ერთადერთ ჭეშმარიტად სწორ მოძღვრებას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მოითხოვენ ჩვენი ხალხის იდეური შეიარაღების გაძლიერებას, კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას, ავალდებულებენ იდეოლოგიურ ფრონტზე მომუშავეებს, გამოიყენონ იდეოლოგიური ზეგავლენის ყველა საშუალება მშრომელთა, პირველ რიგში ახალგაზრდა თაობის კომუნისტურად აღზრდისათვის.

მუდამ უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოები როდი კმაყოფილებიან მარტოოდენ იდეოლოგიური ბრძოლით, არამედ ისინი, ყოველთვის გზავნიდნენ რა ჩვენ ქვეყანაში ჯაშუშებსა და დივერსანტებს, კვლავაც შეეცდებიან მათ შემოგზავნას. ეს გარემოება საბჭოთა პარტიისადმი ადამიანს ავალდებულებს გაზარდოს პოლიტიკური სიფხიზლე, იყოს მტკიცე და უდრეკი საბჭოთა ხალხის, სოციალიზმისა და დემოკრატიის მტრების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 439—440.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანა მოითხოვს სოციალისტური კანონიერების—საბჭოთა სოციალისტური მართლწესრიგის ამ უმნიშვნელოვანესი პრინციპის, სახელმწიფოებრივი მშენებლობისა და მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვის ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტორის, ყოველმხრივ განმტკიცებას. პარტიის XX ყრილობამ დაავალდებულა პარტიული და საბჭოთა ორგანოები, თანამდებობის პირები, პარტიის წევრები, ფხიზლად იდგნენ საბჭოთა კანონიერების სადარაჯოზე, გადაჭრით აღკვეთონ სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევა, თვითნებობის ყველა და ყოველგვარი გამოვლინება.

ლენინური პრინციპების შესაბამისად კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლა ყოველი საბჭოთა ადამიანის სახელისა და ღირსების საქმეს წარმოადგენს.



საქოლმეურნეო წყობილებაზე შედგომი განვითარების ლონიკობათა შესახებ

დოკენტი ნ. ლომსაძე

სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მიწის პროლეტარულმა ნაციონალიზაციამ და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლენინურმა პოლიტიკამ დასაბამი მისცა და შემდგომში კი უზრუნველყო წვრილი ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის სოციალისტურ მეურნეობად გარდაქმნა.

ამ მხრივ სოფლად დიდი პოლიტიკური და მათრგანიზებელი ძალა იყო მტს-ი, რომელმაც დაარწმუნა მშრომელი გლეხობა მსხვილი სამანქანო სოფლის მეურნეობის უპირატესობაში. მტს-ების საშუალებით ხორციელდებოდა ტექნიკური პროგრესი, მოწინავე აგროღონისძიებების დანერგვა, მექანიზატორთა კვალიფიციური კადრების მომზადება, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლება. მტს-ები,—აღნიშნავს ანხ. ნ. ს. ხრუშჩოვი,—გამოვიდნენ მსხვილი წარმოების ორგანიზატორებად, ტექნიკური პროგრესის გამტარებლებად, მათ გარეშე ჩვენ ვერ მივალწვევდით საქოლმეურნეო წყობილების განმტკიცებას, საარტელო ფორმის ყოველმხრივ განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მკვეთრად გადიდებას.

ჩვენი სოციალისტური მიწათმოქმედება ყველაზე მსხვილი და მექანიზირებული, ყველაზე სასაქონლო და თანამედროვე ტექნიკით შეიარაღებული მეურნეობაა მსოფლიოში. გლეხობის უდიდესი უმრავლესობა გაერთიანებულია კოლმეურნეობებში, რომელთა რიცხვი 78 ათასამდე აღწევს. 1958 წლის პირველი იანვრისათვის 8,000 მტს-ი და 5800 საბჭოთა მეურნეობა გვქონდა. მარტო საქართველოს სს რესპუბლიკაში 120-ზე მეტი საბჭოთა მეურნეობა და 2303 კოლმეურნეობაა, მათ შორის 600-ზე მეტი—მილიონერია. ზოგი მათგანის წლიური ფულადი შემოსავალი 15—18 მილიონამდე აღწევს. მახარაძის, ქობულეთის, ზუგდიდისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობათა ზოგიერთი საწარმოო ბრიგადა მილიონერი გახდა.

მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეობათა შემოსავალი და ანარიცხები განუყოფელ ფონდში. თუ 1952 წლის ფულადი ანარიცხები სსრ კავშირის კოლმეურნეობათა განუყოფელ ფონდში მთლიანად შეადგენდა 7 მილიარდ 408 მილიონ მანეთს, 1956 წელს მან მიაღწია 16 მილიარდ 728 მილიონ მანეთამდე. საერთო განუყოფელი ფონდი ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა 63 მილიარდ 708 მილიონ მანეთიდან 98 მილიარდ 594 მილიონ მანეთამდე.

ამრიგად, მდგომარეობა არსებითად შეცვლილია. კოლმეურნეობები ეკონომიურად და საწარმოო თვალსაზრისით საგრძნობლად განმტკიცდნენ,

მრავალდარგოვან, რთულ და შეძლებულ კოლექტივებად იქცნენ, რომლებსაც ძალუძთ თავიანთი მეურნეობა თვითონვე განაგონ. ამიტომ საცესებით დროულად და მართებულად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის თებერვლის პლენუმმა აწლებურად განსაზღვრა მტს-ებსა და კოლმეურნეობებს შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. პარტიის მიერ დასახულმა ამ ღონისძიებამ საკოლმეურნეო წყობილება თავისი განვითარების უფრო მაღალ დონეზე აიყვანა. ეს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება, რაც სკკპ XX ყრილობის ისტორიული დადგენილებიდან გამომდინარეობს, მძლავრ საშუალებებს იძლევა საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის ზრდის, საკოლმეურნეო წარმოების ყველა რგზერვის ათვისებისა და კოლმეურნეობათა კეთილდღეობის ამაღლების საქმეში. კოლმეურნეობები, მტს-ების რეორგანიზაციის შედეგად მთელი თავისი მეურნეობისა და წარმოების სრულყოფილი მეპატრონეები გახდნენ.

კოლმეურნეობათა შრომის ნაყოფიერების ზრდა, მათი ეკონომიური სიმძლავრე და საქონლიანობის მზარდი დონე დამოკიდებულია კოლმეურნეობათა სარგებლობაში მყოფ მიწაზე, მათ განკარგულებაში არსებულ ტექნიკაზე, საკუთარი სპეციალისტებითა და ხელმძღვანელი კადრებით უზრუნველყოფაზე, გამწევი ძალისა და მუშახელის რაოდენობაზე.

გაზეთი „პრადა“ მოწინავეში 1958 წ. 5 მარტს წერდა: „დადგა დრო როცა კოლმეურნეობებს ეყოლებათ არა მარტო მუშახელი, ექნებათ არა მარტო მათთვის საზოგადოდ მიჩენილი მიწა, არამედ ტექნიკაც, ესე იგი იმ პირობების მთელი კომპლექსი, რომელიც საჭიროა მიწათმოქმედების საწარმოო ძალების უსაზღვრო განვითარებისათვის“.

მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ მტს-ების რეორგანიზაციის შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებამ უდიდესი გამოხმაურება და მოწონება ჰპოვა საბჭოთა ხალხში ჯერ კიდევ ამ საკითხზე გამოქვეყნებული თეზისების საყოველთაო განხილვის პერიოდში. ბევრმა კოლმეურნეობამ საქმით უპასუხა პარტიის მიერ დასახულ ახალ ღონისძიებებს.

ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებათა გამოქვეყნებიდან ათი დღის შემდეგ, ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე კოლმეურნეობებმა უკვე დაიწყეს მტს-ებიდან მანქანების შესყიდვა. 1958 წლის 7 მარტს თელავის რაიონის სოფ. კურდღელაურის კოლმეურნეობამ 269.300 მანეთის ტექნიკა შეიძინა. ასეთივე ენთუზიზმით შეიძინეს ტექნიკა წითელწყაროს რაიონის სოფ. ჯაფარიძის, ზემო მაჩხანის, არბოშიკის, ზემოქედის და რესპუბლიკის სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა. სიღნაღის რაიონში კოლმეურნეობებს მომსახურებას უწევდა ოთხი მტს-ი 186 ტრაქტორით და 127 კომბაინით. ა. წ. 10 მარტისათვის კოლმეურნეობებმა უკვე შეისყიდეს 165 ტრაქტორი, 107 კომბაინი და სხვა მანქანა-იარაღები.

სახელმწიფო ყოველგვარ პირობებს ქმნის საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისათვის. რაც მთავარია, მიწა, რომელიც სახელმწიფო საკუთრების ობიექტია, სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-8 მუხლის თანახმად გადაცემული აქვს კოლმეურნეობებს მუდმივი სარგებლობის უფლებით. სინამდვილეში, კოლმეურნეობები მათ სარგებლობაში გადაცემულ მიწას „განაგებენ, როგორც თავიანთ საკუთრებას, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ შეუძლიათ მისი ყიდვა-გაყიდვა, იჯარით ვაცემა ან დაგირავება“ (ი. ბ. სტალინი).



საკოლმეურნეო მსხვილმა მიწათმოქმედებამ მოითხოვა მსხვილი მანქანა-იარაღების გამოყენება, რაც თავის დროზე უზრუნველყოფილი იქნა მტს-ების მეშვეობით.

წვრილი კოლმეურნეობების გამსხვილებამ, საკოლმეურნეო წარმოების ვაფართოვებამ, კოლმეურნეობათა ეკონომიურად გაძლიერებამ და სათანადო სპეციალისტებით უზრუნველყოფამ—დააყენა საკითხი კოლმეურნეობებზე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ, კოლმეურნეობათა სამეურნეო დამოუკიდებლობისა და მათი ინიციატივის, შემოქმედების ვაფართოების მიზნით. კოლმეურნეობებისადმი მტს-ების საწარმოო ტექნიკური მომსახურების არსებული ფორმა, რაც სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე რეგულირდებოდა, აღარ შეეფარდებოდა დღევანდელ პირობებს.

სხვა მხრივაც არახელსაყრელი შეიქნა, როცა ერთიდაიმავე მეურნეობას ორი იურიდიული პირი მართავდა. ერთ მიწას ორი პატრონი ჰყავდა—კოლმეურნეობა და მტს-ი. ადგილი ჰქონდა ცუდად შესრულებულ სამუშაოთა ერთიმეორეზე გადაბრალებას, კოლმეურნეობის თავმჯდომარესა და მტს-ის დირექტორის მუშაობაში პარალელიზმს—ერთი-მეორის ფუნქციებში ჩარევას, ურთიერთ შორის შეუთანხმებლობას და სხვ.

მტს-ებსა და კოლმეურნეობებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა, რაც ტიპური ხელშეკრულების მიხედვით ყოველი წლის დასაწყისში ფორმდებოდა, აშკარა ფორმალური იყო და თავისი შედეგებით დიდ გაუგებრობასაც იწვევდა. ჰერ ერთი, ხელშეკრულებები ფორმდებოდა ხელაღებით, შაბლონურად და ზემდგომი ორგანოების მხრივ სათანადო ყურადღების გარეშე. გორის მტს-ის მიერ კოლმეურნეობებთან 1950—51—52 წ.წ. დადებული ხელშეკრულებები მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომს არ განუხილავს და არც რეგისტრაციაში გაუტარებია, ხოლო ხაშურის რაი-აღმასკომმა 1951 წ. 7 მარტს ერთ სხდომაზე 16 და მეორეზე 24 ხელშეკრულება განიხილა და რეგისტრაციაში გაატარა. ხელშეკრულებით ნაყისრი ვალდებულება სშირად ირღვეოდა, ხოლო მხარეთა მიერ ზოგიერთი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდებოდა. წალენჯიხის მტს-მა 1951—1953 წ.წ. კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მარცვლეული და ტექნიკური კულტურებისათვის ნიადაგის მომზადებისა და თესვის ვალდებულება ვერ შეასრულა, ნატურალური და ფულადი საზღაური კი უკლებლივ მიიღო, რამაც თავის მხრივ უარყოფითი გავლენა მოახდინა კოლმეურნეობის ეკონომიკაზე, კოლწევრთა მატერიალურ დაინტერესებაზე.

ადიგენის, ასპინძის და სხვა მომთაბარე რაიონების ყველა კოლმეურნეობებისათვის მტს-ების მომსახურება სავალდებულო გახადეს კონკრეტული პირობების გათვალისწინებლად. ადიგენის მტს-ის მიერ კოლმეურნეობებთან ფორმალურად დადებული ხელშეკრულებები მასიურად ირღვეოდა, რადგან ზოგი მათგანის შესრულება შეუძლებელი იყო, სშირად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებანი ვერ სრულდებოდა, ვინაიდან კოლმეურნეობებს ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა. ასე მაგ.: აღნიშნული რაიონის მტს-ის მიერ 1950 წელს შესრულებული სამუშაოს ნატურსაზღაურთა ნაწილის გადახდა 9 კოლმეურნეობამ ვერ შესძლო.

ტრაქტორისტმა ვ. თათეშვილმა სოფ. სამხრის კოლმეურნეობიდან 1950 წელს გამომუშავებულ შრომადღეებზე კუთვნილი მარცვალი მიიღო 1953 წლის აპრილში, ზოგიერთ ტრაქტორისტს ხანდაზმულობის გამო უარი ეთქვა მარცვლეულის მიცემაზე.

მტს-ებსა და კოლმეურნეობებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შედეგად წარმოშობილი დავების გადაჭრა, ისე, როგორც ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა პასუხისმგებლობა, ფორმალურ ხასიათს ატარებდა. 1954 წლის ტიპიური ხელშეკრულების 47-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების დარღვევის გამო მხარეთა შორის ყველა ქონებრივი დავა გადაიჭრება სასამართლო წესით. ხშირ შემთხვევაში ასეთი საჩივრები უყურადღებოდ რჩებოდა ან მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ იჭრებოდა, ანდა თანამდებობის პირთა კერძო ხასიათისა და კანონსაწინააღმდეგო „შეთანხმებამორიგების“ საფუძველზე შინაურულად წყდებოდა. 1950 წელს დუშეთის, წითელწყაროს და სიღნაღის რაიონების სახალხო სასამართლოებში აღძრულ 47 ასეთი საქმიდან, არცერთი სასამართლოს პროცესზე არ გამოტანილა და მხარეთა ჩვეული „შეთანხმების“ მოტივით წარმოებით მოისპო.

სასამართლო პრაქტიკაში გაბატონებული იყო ხელშეკრულების დარღვევის თაობაზე საჩივრების განხილვის ისეთი წესი, როცა საქმე ირჩეოდა მტს-ის და კოლმეურნეობის უფლებამოსილ წარმომადგენელთა დაუსწრებლად, რაც ხშირად დიდი თანხების უსაფუძველო დაკისრებას იწვევდა. საგარეჯოს რაიონის მტს-მა 1953 წლის 10 ივნისს სოფ. მანავის კოლმეურნეობას წარუდგინა სარჩელი 12.925 მანეთზე, ხოლო სამი თვის შემდეგ დამატებით — 15.881 მანეთზე. ორივე შემთხვევაში სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა. სასამართლოს გადაწყვეტილება არაობიექტური და ზერელე იყო: საქმეში მხოლოდ მტს-ის სასარჩელო განცხადება არსებობდა, სასამართლოს სხდომაზე არ ყოფილა გამორკვეული თუ რა მიზეზით, ვისი ბრალით და რომელი თანამდებობის პირის დაუდევრობით იყო გამოწვეული ასეთი დიდი თანხის გადაუხდელობა და სასარჩელო განცხადებასთან ერთად რა დამამტკიცებელი წერილობითი საბუთები უნდა დართოდა საქმეს.

ჩვენი რესპუბლიკის სასამართლო პრაქტიკაში ვერ ვნახავთ თითქმის ვერც ერთ შემთხვევას, რომ მტს-ებსა და კოლმეურნეობებს შორის დადებული კანონსაწინააღმდეგო ხელშეკრულება, ან სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების აშკარა დამახინჯებით მიმხდარი გარიგება სასამართლოს მიერ ზათილად ყოფილიყო ცნობილი, ანდა პროკურატურის ორგანოები, თანახმად საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლისა, ჩარეულიყო ასეთ საქმეში. ეს მაშინ, როცა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1950 წლის 5 მაისის დადგენილება ამის უფლებას იძლევა. მასში ნათქვამია, რომ კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო-საწარმოო დაწესებულებებსა ან ორგანიზაციებს შორის ხელშეკრულების დარღვევის შედეგად წარმოშობილი დავის განხილვისას სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს დადებული ხელშეკრულების სისწორე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება კანონსაწინააღმდეგო ან არტელის წესდების უხეშად დარღვევით არის დადებული, სასამართლომ ასეთი ხელშეკრულება, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 29, 30 და 35 მუხლებისა — ზათილად უნდა ცნოს.

მტს-ების საწრემონტო-ტექნიკურ სადგურებად გადაკეთება არ იწვევს მტს-ის, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირის მოსპობას,

იგი კვლავ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი იურიდიული პირია, რომლის ძირითადი ფუნქციები ჩამოთვლილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1958 წ. 31 მარტს მიღებულ კანონის მე-3 მუხლში, ხოლო მისი ქმედუნარიანობა განისაზღვრება სპეციალური დებულებით.


სარემონტო-ტექნიკური სადგურის ურთიერთობა კოლმეურნეობებთან, უპირველეს ყოვლისა, ტექნიკური ხასიათის მომსახურეობასა და მომარაგებაში გამოიხატება. ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი მიუთითებს: „მტს-ების რეორგანიზაციის შემდეგ სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს დარჩებათ კოლმეურნეობათა საწარმოო და ტექნიკური მომსახურეობის დიდმნიშვნელოვანი ფუნქციები“. სადგურები კოლმეურნეობებს მოამარაგებენ (მიყიდვის გზით) ახალი ტექნიკით, სათარიგო ნაწილებით, საწვავით, სასუქით, შხამქიმიკატებითა და ყველა იმ მასალებით, რაც ნიადაგის წესიერად მოსავლისათვისაა საჭირო. მათ არ ერთმევათ, აგრეთვე, იმ მანქანების გაქირავების უფლება, რომლებიც კოლმეურნეობებს ან არ ექნებათ ანდა ასეთი მანქანების შექენა მათთვის არახელსაყრელია. მთელი რიგი სამუშაოები (საირიგაციო, სამელიორაციო, წყალსატევების მოწყობა, კირის ან ტორფის დამზადება და საპლანტაჟო სამუშაოები) ეროვნული ხასიათისაა და კოლმეურნეობათა მიერ მანქანების შექენა ასეთ სამუშაოთა შესასრულებლად მიზანშეუწონელი იქნება. ამიტომ ასეთი სახის მანქანების მიქირავების უფლება, კვლავ მტს-ებს რჩებათ.

ამრიგად, თუ მტს-ებსა და კოლმეურნეობებს შორის საწარმოო ურთიერთდამოკიდებულების მანამდე არსებული სახე ისპობა, ანდა იგი საგრძობლად მცირდება, სამაგიეროდ, მათ შორის სასაქონლო ურთიერთობის სფერო ფართოვდება.

კოლმეურნეობებისადმი სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა მტს-ების რეორგანიზაციის შემდეგ კი არ მცირდება, ანდა სახელმწიფოებრივი მეთვალყურეობა ზედმეტი კი არ ხდება, პირიქით, ეს ხელმძღვანელობა და მხარდაჭერა უფრო მეტად ძლიერდება, მაგრამ ახლებურად წარიმართება. ამ თვალსაზრისით სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 20 აპრილის დადგენილებით შრომელთა დეპუტატების რაიონულ აღმასკომებთან ჩამოყალიბდა სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციები, რომლებსაც ეკისრებათ: სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევათა პროპაგანდის დანერგვა, მეთესლეობისა და საჯიშე საქმის წარმოება, მიწათმოქმედებისა და მიწების სახელმწიფო აღრიცხვის ორგანიზაცია, კოლმეურნეობისადმი ვეტერინარული მომსახურეობის გაწევა, სასოფლო-სამეურნეო მეცნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელება, კოლმეურნეობათა წლიური და კვარტალური ანგარიშების შემუშავებაში დახმარების გაწევა და სხვ.

სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციების გამგებლობაში გადავიდა რეორგანიზებული მტს-ების თესლის საკონტროლო და აკროქიმიური ლაბორატორიები, პირუტყვთა ხელოვნური დათესვლის სადგურები და მეფრინველეობის საინჟუბატორო სადგურები, ხოლო მათი დაფინანსება წარმოებს ადგილობრივი ბიუჯეტით.

სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციის უფროსი, რომელიც უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლებისა და პრაქტიკული მუშაობის გამო-



ცდილების მქონე თანამდებობის პირია, ამავე დროს რაიადმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ ითვლება.

პარტიისა და მთავრობის ამავე დადგენილებით რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ეწყობა საწარმო-ტექნიკური საბჭოები, რომლებიც განიხილავენ და მოამზადებენ წინადადებებს სოფლის მეურნეობის პერსპექტიული განვითარებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის შესახებ. საწარმო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციის უფროსი, რაიონის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობის, მტს-ებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარეკტორები და სპეციალისტები, რაიონული საგეგმო კომისიის, სასოფლო-სამეურნეო ბანკებისა და სახელმწიფო ბანკის წარმომადგენლები, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და სასწავლებელთა მეცნიერი მუშაკები, სოფლის მეურნეობის მოწინავეები და სხვ.

საწარმო-ტექნიკური საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას და თავმჯდომარეს ამტკიცებს რაიადმასკომი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებით მომავალი წლის დამდეგს მოწვეული იქნება კოლმეურნეობათა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა, რომელიც განიხილავს საკოლმეურნეო მშენებლობის სადღეისო მომწიფებულ საკითხებს და სათანაყო ცვლილება-დამატებებს შეიტანს სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებაში.


საკოლმეურნეო კანონმდებლობის კოდიფიკაცია, ამ შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებაში ცვლილება-დამატებათა შეტანა, დროული და ყოველმხრივ გამართლებული საკითხია.

მოქმედ წესდებაში უამრავი და უთუოდ მნიშვნელოვანი ცვლილება-დამატებანი შევა, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს საკოლმეურნეო წყობილებას და ახლებურად განსაზღვრავს კოლმეურნეობის, როგორც იურიდიული პირის უფლება-მოვალეობას. ამ თვალსაზრისით გვინდა ზოგიერთი მოსაზრებანი გამოვთქვათ წესდებაში მომავალ ცვლილება-დამატებათა საკითხების ირგვლივ:

1. წესდებაში მკვეთრად უნდა აისახოს სახელმწიფო და კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი ინტერესები, მათი ურთიერთ დამოკიდებულებანი და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის უფლებრივი საკითხები.

2. გაფართოვდეს და ყოველმხრივ უნდა შესწორდეს წესდების მეორე თავი -- მიწის შესახებ. მიწის, როგორც სახელმწიფო საკუთრების ობიექტის ცნების განსაზღვრისას აღინიშნოს ერთიანი საკოლმეურნეო მიწის მასივის ობიექტი და სუბიექტი, მისი მუდმივი სარგებლობისა და უსასყიდლობის პრინციპები, საკოლმეურნეო მიწათსარგებლობის პირველადი და მეორადი თავისებურება და ყველა ის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი, რაც საკოლმეურნეო მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის უფლებრივ რეჟიმთან იქნება დაკავშირებული.

3. საზოგადო მეურნეობის ყოველმხრივ ზრდისა და განმტკიცების გათვალისწინებასთან ერთად წესდებით განისაზღვროს, აგრეთვე, საკოლმეურნეო კომლის ან კოლმეურნეობაში მომუშავე სპეციალისტთა ოჯახის საკარმიდამო ნაკვეთისა და კომლის ან სპეციალისტთა ოჯახის პირად საკუთრებაში არსე-



ბული პროდუქტიული პირუტყვისა და საცხოვრებელი სახლის დიფერენციული ნორმა.

4. მოქმედ წესდებაში თითქმის არაფერია ნათქვამი კოლმეურნეთა სახელშეკრულებო ურთიერთობაზე, სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო და კონტრაქტაციის წესით ჩაბარებაზე, ნათესებისა და პირუტყვის სავალდებულო დაზღვევაზე, თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობაზე, საადგილმამულო ხასიათის დავების გადაწყვეტის წესის შესახებ.

5. წესდების მე-6 თავში სახსრებისა და საკოლმეურნეო ფონდების საკითხი საფუძვლიან გადასინჯვას მოითხოვს. ჯერ ერთი, ზუსტად უნდა განისაზღვროს საკოლმეურნეო საკუთრების სუბიექტი და ობიექტი, განუყოფელი ფონდის შემადგენელი წყაროები და მისი გამოყენების წესი, არტელის ფულადი სახსრები და მათი ხარჯვის წესი. სხვა ფონდთა შორის გამოიყოს გარდამავალი ნატურალური და ფულადი ფონდები, რაც მოხმარდება კოლმეურნე-პენსიონერებს და შრომისუნარდაკარგულ კოლწევრებს.

6. შრომის ორგანიზაციის, შრომის ანაზღაურებისა და შრომის დისციპლინის ნორმები, რაც წესდების მე-7 თავშია მოცემული არა მარტო მოძველებული და ძალადაკარგულია, არამედ რიგ შემთხვევებში ეს ნორმები ეწინააღმდეგება კოლმეურნეობის საზოგადო მეურნეობის ინტერესებსა და ხელს უშლის კოლმეურნეთა მატერიალურ დაინტერესებას. წესდებით უნდა განისაზღვროს გამომუშავების ნორმები ანუ თანრიგები და მათი შრომადღებში შეფასება ახალი წესით. დაზუსტდეს თუ ვის, რომელ სპეციალისტს ან ბრიგადირს რა ძირითადი სავალდებულო აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარება ევალება და მათ შეუსრულებლობას რა შედეგი მოჰყვება. ამ თვალსაზრისით მე-7 მუხლში მოცემული სანქციები სათანადო შესწორებას მოითხოვს.

7. მომავალში არტელის წესდებით კოლმეურნეობის თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობანი ზუსტად უნდა განისაზღვროს, ხოლო კოლმეურნეობის გამგეობის, სარევიზიო კომისიისა და კოლმეურნეობის თავმჯდომარის არჩევა მოხდეს ფარული კენჭისყრით. სავსებით ვიზიარებთ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარის, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების (აგრონომის, ინჟინერ-ტექნიკოსის, ზოოტექნიკოსის, ვეტექიმის) და მონაგარიშე—ბუხჰალტრის უფლებრივი მდგომარეობა განისაზღვროს ცალკე დებულებით.

8. კოლმეურნეობებში, სასოფლო საბჭოებში, მტს-ებში და არც სხვა დაწესებულებებში სოფლად არ არიან იურიდიული ვანათლების მქონე სპეციალური თანამდებობის პირები. ეს მაშინ, როცა ქალაქად თითქმის ყველა იურიდიულ საწარმოო-ორგანიზაციას, რომელთა ბიუჯეტი ხშირად კოლმეურნეობის ბიუჯეტზე ნაკლებია — ჰყავთ თავიანთი იურისკონსულტები. საჭიროდ და ყოველმხრივ მიზანშეწონილად მიგვაჩნია თვითეულ შეძლებულ კოლმეურნეობას ჰყავდეს შტატით გათვალისწინებული იურისკონსულტი.

9. რაც შეეხება წესდებაში ზოგიერთ მოძველებულ ტერმინებს და ცალკეულ გამოთქმებს („უზრუნველევით სრული გამარჯვება კულაკზე, გაჭირვებასა და სიბნელეზე, გადავაქციოთ თვითეული კოლმეურნეობა ბოლშევიკურ კოლმეურნეობად“, „არტელში არ მიიღებიან კულაკები და ყველა ის პირი, ვისაც აყრილი აქვს საარჩევნო უფლება“ და სხვ.), ამ თვალსაზრისითაც სათანადო შესწორებების შეტანა იქნება აუცილებელი.

ეჭვი არ არის, რომ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული ჩვენი ქვეყნის მშრომელები მომავალშიაც, როგორც ყოველთვის, დიდი ენთუზიაზმით განაგრძობენ კომუნისტური პარტიის ახალი და გაბედული ჩანაფიქრების წარმატებით განხორციელებას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე.



გათქმის ხნაზის შესახებ საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში

მ. გვათუა

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში პროცესუალისტები გათქმის ცნებას ერთნაირად არ განმარტავენ.

პროფ. მ. ს. სტროგოვიჩი გათქმას განმარტავს როგორც „ერთი გამოძიებადარი ბრალდებულის ჩვენებებს, რომლებიც ამხელენ მეორე ბრალდებულს ან გარეშე პირებს“ და აღნიშნავს, რომ „ბრალდებულის ჩვენების შეფასებისას, რომლითაც იგი სხვა პირს გათქვამს საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე და განსაკუთრებული კრიტიკული მიდგომა“, რის გამოც „გამოძიებამ და სასამართლომ ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა გამოარკვიონ რამდენად ცდილობს ბრალდებული გათქმის გზით შეიმსუბუქოს თავისი ხვედრი და რამდენად შეესაბამებია მისი ჩვენებები სინამდვილეს“¹.

პროფ. მ. ა. ჩელცოვი წერს: „პროცესუალური თეორია გათქმას უწოდებს ერთ-ერთი ბრალდებულის მტკიცებას, რომ მოცემული დანაშაული ჩაიდინა ან მასში მონაწილეობა მიიღო მეორე ბრალდებულმა“².

პროფ. მ. მ. გროძინსკის აზრით ერთადერთი სწორი და მისაღებია გათქმის ისეთი განმარტება, რომლის მიხედვით გათქმა წარმოადგენს ბრალდებულის ჩვენებას, რომელიც სხვა პირს ყალბად მიაწერს დანაშაულის ჩადენას“³.

აკადემიკოსი ა. ი. ვიშინსკი, ლაპარაკობს რა ბრალდებულის ჩვენების შესახებ შეთქმულების საქმეში აღნიშნავს, რომ ამდაგვარ საქმეებზე, ისე როგორც საერთოდ რამდენიმე ბრალდებულის საქმეებზე, შეიძლება ადგილი ჰქონდეს ეგრეთწოდებულ გათქმას, ცრუ ჩვენებას, რაც ან შეცდომის ან განზრახვის შედეგია. უკეთუ ბრალდებულის ახსნა-განმარტება სინამდვილეს არ შეეფერება, მაშინ ეს არის ის, რასაც მეცნიერებაში გათქმა ეწოდება“⁴.

„საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის“ დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორები ფიქრობენ, რომ „გათქმა — ეს ცრუჩვენებაა მეორე პირის წინააღმდეგ, იმისდამიუხედავად თუ ვისგან მომდინარეობს იგი—ბრალდებულისაგან თუ სხვა პირისაგან“⁵.

¹ მ. ს. სტროგოვიჩი, სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 1948 წ. გვ. 224.

² იბ. მ. ა. ჩელცოვი. Советский уголовный процесс, 1951 г. გვ. 184

³ ჟურნალი „Социалистическая законность“, 1953, № 1 გვ. 41.

⁴ А. Я. Вышинский. Теория судебных доказательств в советском праве, 1950 г.,

⁵ „Советский уголовный процесс“ по ред. О. С. Карева, 1953 г.

ამრიგად, მეცნიერთა შორის გათქმის ცნების განმარტების საკითხში ერთიანი აზრი არ არსებობს. აღნიშნული საფუძველს გვაძლევს გამოვთქვით ზოგიერთი ჩვენი შეხედულება ამ საკითხზე.

ვერ დავეთანხმებით სტროგოვიჩის მოსაზრებას, რომ გათქმა ყოველთვის იმ ბრალდებულისაგან გამომდინარეობს, რომელმაც აღიარა თავისი დანაშაული. ისმის კითხვა, შეუძლია თუ არა ბრალდებულს, რომელიც უარყოფს თავის ბრალს, მისცეს სხვა პირის მიმართ მამხილებელი ან გამამართლებელი ჩვენება? როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, უმეტეს შემთხვევაში სასჯელისაგან თავის დაღწევის მიზნით სწორედ ბრალდების უარყოფელი იძლევა სხვა პირის მიმართ ისეთ ჩვენებას, რომლითაც იგი ამხელს მათ დანაშაულის ჩადენაში და მთელი ბრალი მათზე გადააქვს, ან თავისი ჩვენებებით ამართლებს მათ.

სტროგოვიჩის აზრი იმის შესახებ, რომ გამოძიება და სასამართლო ვალდებული არიან გამოარკვიონ გათქმის გზით ბრალდებული რამდენად ცდილობს შემსუბუქოს თავისი ხვედრი და რამდენად შეესაბამება მისი ჩვენება სინამდვილეს, სწორია იმ მხრივ, რომ გარკვეული უნდა იქნეს ბრალდებულის ჩვენების სინამდვილე, მაგრამ თუ ჩვენ ვავიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ საჭიროა გამორკვეულ იქნეს გათქმის გზით ბრალდებული რამდენად ცდილობს თავისი ხვედრის შემსუბუქებას, მაშინ საესებით ცხადი გახდება, რომ ბრალდებულის ჩვენებისადმი ასეთი მიდგომით ტენდენციურობას ექნება ადგილი, რადგან ამით მცირდება ბრალდებულის ჩვენების, როგორც დაცვის საშუალებების, მტკიცებითი მნიშვნელობა. ჩვენის აზრით, ბრალდებულის ჩვენებისადმი ასეთი მიდგომა სასამართლოს უქმნის ცრუ რწმენას, რაც ეწინააღმდეგება საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანეს პრინციპს — არაბრალეულობის პრეზუმციას.


აღნიშნული, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ გამორიცხავს იმ გარემოებას, რომ გამოძიება და სასამართლო ვალდებული არიან გამოარკვიონ ბრალდებულის ცრუ ჩვენების მოტივები.

არ მიგვაჩნია სწორად პროფ. მ. ა. ჩელცოვის განმარტება, რადგან იგი თვლის, რომ გათქმა შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ საქმეში გამავალ სხვა ბრალდებულს. ასეთი თვალსაზრისი ჩვენის აზრით მიუღებელია, რადგან როგორც ამას პრაქტიკა გვიჩვენებს, ბრალდებულს შეუძლია ჩვენება მისცეს არა მარტო მეორე ბრალდებულის მიმართ, არამედ ისეთი პირების მიმართაც, რომლებიც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული არ არიან. გარდა ამისა, ჩელცოვის აზრით გათქმა შეიძლება არსებითად იყოს სწორიც და ცრუც. ასეთი შეხედულება საფუძველს მოკლებულია.

ცნობილია, რომ ენობრივად გათქმა ნიშნავს სახელის ვატეხას, ცილის დაწამებას, არარსებულის მოგონებას, რაიმე გამაწბილებლის თქმას, ადამიანის „გაშაგებას“¹. მაშასადამე, თუ როგორც ჩელცოვი ფიქრობს, გათქმა შეიძლება სწორი ჩვენებაც იყოს, მაშინ რაში მდგომარეობს გათქმის აზრობრივი მნიშვნელობა? ჩვენის აზრით, ასეთი შემთხვევაში ადგილი აქვს არა გათქმას, ე. ი. ყალბი ჩვენების მიცემას მეორე პირის მიმართ, არამედ ბრალდებულის მიერ მეორე პირის მხილებას დანაშაულის ჩადენაში.

როგორც აღინიშნა, აკადემიკოს ა. ი. ვიშინსკის განმარტებით გათქმა

¹ იხ. В. Даль. Толковый словарь живого великорусского языка, 1935, т. 2, стр. 637.



წარმოადგენს ერთი ბრალდებულის ცრუ ჩვენებას მეორე ბრალდებულის მიმართ. არც ეს განმარტება მიგვაჩნია სავსებით სწორად, რამდენადაც ბრალდებულის ყოველი ცრუ ჩვენება როდი შეიძლება ჩაითვალოს გათქმად. ბრალდებულს მეორე პირის გამართლების მიზნით შეუძლია მისცეს ცრუ ჩვენება და ასეთ შემთხვევაში, ცხადია, გათქმას არ ექნება ადგილი. გათქმის აზრი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ბრალდებული ცდილობს ცილი დასწამოს მეორე პირს, ტყუილად მიაწეროს მას დანაშაულის ჩადენა ან მასში მონაწილეობა. ამიტომ ბრალდებულის არა ყოველი ცრუ ჩვენება უნდა ჩაითვალოს გათქმად.

ამრიგად, საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში მხოლოდ ცრუ ჩვენება უნდა იქნას მიჩნეული გათქმად. ამასთან, ისმის კითხვა—ვისგან უნდა გამომდინარეობდეს გათქმა — მოწმისაგან, ექსპერტისაგან და საერთო ყველა მათგან, ვინც ჩვენებას იძლევა, თუ მარტო ბრალდებულისაგან? სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკა გათქმად თვლის მხოლოდ სამართალში მიცემულის ჩვენებას.

თუ გავყვებით გათქმის სიტყვიერ განმარტებას, მაშინ შეიძლებოდა ყველა არასწორი ჩვენებისათვის გათქმა გვეწოდებია, მიუხედავად იმისა თუ ვინ იძლევა მას. ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა გავაკეთოთ ერთი შენიშვნა „საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის“ დამხმარე სახელმძღვანელოს მიმართ. სახელმძღვანელოს ავტორები წინადადებას იძლევიან გათქმა ეწოდოს ცრუ ჩვენებას იმისდამიუხედავად ბრალდებულისაგან გამომდინარეობს იგი თუ სხვა პირებისაგან. ასეთი შეხედულება ჩვენის აზრით სწორი არაა. ჩვენ სწორად მიგვაჩნია სასამართლო პრაქტიკა, რომელიც გათქმად თვლის მხოლოდ ბრალდებულის ცრუ, სხვა პირის გამაწილებელ ჩვენებას.

ზოგიერთ პროცესუალისტს არასწორი დასკვნა გამოაქვს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს დადგენილებებიდან, რომელთა მიხედვით გათქმა, თუ იგი დამტკიცებული არ არის საქმის სხვა საბუთებით, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს. ამ დადგენილებებიდან გამომდინარე ზოგიერთი ფიქრობს, რომ სასამართლო პრაქტიკა გათქმად თვლის საერთოდ ბრალდებულის ჩვენებას სხვა პირთა მიმართ. სინამდვილეში, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ზემოაღნიშნულ მითითებიდან მხოლოდ ერთი ლოგიკური დასკვნა გამომდინარეობს, სახელდობრ ის, რომ გათქმა არის მარტოდენ ბრალდებულის ცრუ ჩვენება მიმართული მეორე პირის გასაწილებლად.


სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს რკინიგზის კოლეგიამ, განიხილა რა მსჯავრდადებულ პარუნაკიანის და სხვათა საქმე, განმარტა, რომ „პარუნაკიანის მითითება ამავე საქმეზე მსჯავრდადებულ სარქისიანისა და არუთინიანის მხრივ მისი გათქმის შესახებ, არ არის სწორი, რადგან არც

საქართველო
საბჭოთაო

წინასწარი და არც სამსჯავრო გამოძიებით დადგენილი არაა მათ შორის ცუდი განწყობილების არსებობა. ამის საფუძველზე და აგრეთვე იმის გამო, რომ ყველა სამართალში მიცემულის, მათ შორის პარუნაკიანის ბრალი დადასტურებულია საქმეში არსებული დამამტკიცებელი საბუთებით, სასამართლო-ბუნჯალტვრული ექსპერტიზის დასკვნით და მოწმეთა ჩვენებით, განაჩენი დარჩეს ძალაში¹.

შეიძლებოდა სხვა მრავალი მაგალითის მოყვანაც, მაგრამ მოცემულ დადგენილებიდანაც ნათლად ჩანს, რომ სასამართლო პრაქტიკას გათქმა ესმის როგორც ბრალდებულის ცრუ მამხილებელი ჩვენება.

ამ შენიშვნებიდან გამომდინარე ვფიქრობთ ზოგიერთი დასკვნა გავაკეთოთ. სახელდობრ, გათქმა შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ ბრალდებულისაგან, დამოუკიდებელივ იმისა, ცნობს იგი თავს დამნაშავედ თუ არა; გათქმა შესაძლოა ეხებოდეს, როგორც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულს, ასევე პასუხისგებაში მიუცემელ პირს. გათქმად უნდა ჩაითვალოს მარტოოდენ ბრალდებულის მიერ სხვა პირის მიმართ მიცემული ცრუ ჩვენება; გათქმა არ შეიძლება საფუძველად დაედვას გამამტყუნებელ განაჩენს.



¹ იხ. М. М. Гродзинский. Кассационное и надзорное производство в советском уголовном процессе. М. 1953, гл. 206.

აკაკი ნაკათლის ერთი დასვითი სიყვინის გამო

ანდრო გვლოვანი

როგორც ცნობილია, ქართველი მშრომელი გლეხობა მთელი XIX საუკუნის მანძილზე თავგანწირულ ბრძოლას აწარმოებდა მეფის რუსეთის სამხედრო-ფეოდალური, ნაციონალურ-კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

მართალია, გლეხთა იმდროინდელ საბრძოლო მოძრაობას არ შეეძლო მიეღწია გადამწყვეტი წარმატებისათვის, რადგანაც ის მოკლებული იყო მუშათა კლასის ხელმძღვანელობას და სტიქიურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მომავალი რევოლუციური ბრძოლებისათვის მასების დასარაზმავად.

მეფის თვითმპყრობელობას, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად ესმოდა ამ ბრძოლების საშიში შედეგები და ადგილობრივი რეაქციული ძალების გამოყენებით სასტიკ ზომებს ღებულობდა გლეხთა მოძრაობის წინააღმდეგ, ცეცხლითა და მახვილით ახშობდა მათ შეიარაღებულ აჯანყებებს.

ცარიზმის ასეთი რეპრესიები მთელი თავისი სისასტიკით იქნა გამოყენებული სვანეთის გლეხობის იმ შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1875—1876 წლებში.

ამ აჯანყების ჩასაქრობად სვანეთში ორჯერ იყო მოწყობილი სამხედრო ექსპედიცია გენერალ ციტოვიჩის მეთაურობით, რის შედეგადაც დაუნდობლად იქნა განადგურებული როგორც სვანეთის ცალკეული სოფლები, ისე აჯანყების მოწყობასა და მონაწილეობაში შენიშნული სვანები და მათი სახლ-კარი.

სვანეთში დამსჯელი ექსპედიციის მეორედ გავზავნის დროს, 1876 წლის სექტემბერში, სავსებით მოსპობილი იქნა სოფ. ხაღდე თავისი ციხე-კოშკებითა და საცხოვრებელი სახლებით. აჯანყების მონაწილე 22 ხალხელი სვანი კი შეიპყრეს და მათი საქმე განსახილველად გადაეცა სამხედრო-საველე სამართლოს.

სამსჯავრო სხდომა ჩატარდა ქ. ქუთაისში, კავკასიის სამხედრო-საველე სამართლოს თავმჯდომარის გენერალ ლეიხტის თავმჯდომარეობით 1876 წლის 27/XI—1/XII-ის რიცხვებში.

სამართლო პროცესს საქართველოს მაშინდელი მოწინავე საზოგადოებრივი აზრის დიდი ყურადღება მიუპყრია და სვანეთის გლეხობის ამ შესანიშნავი მოძრაობის მხარეზე დამდგარან ისეთი დიდი საზოგადოებრივი მოღვაწენი, როგორც იყვნენ ნიკო ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი და სხვები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენი სახელოვანი მწერლის—აკაკი წერეთლის დამოკიდებულება ამ საქმისადმი. ის სამართალში მიცემულსა და მამცველადაც კი გამოსულა, როგორც დაცვითი მხარის წარმომადგენელი.

მწერლის ბიოგრაფიისათვის ეს მნიშვნელოვანი გარემოება პირველად დადგენილი იქნა პროფ. შ. ჩხეტიას მიერ, რომელმაც აკაკი წერეთლის ამ პროცესზე წარმოთქმული დაცვითი სიტყვის ჩანაწერი რუსულ ენაზე აღმოაჩინა 1943 წელს ნიკო ნიკოლაძის პირად არქივში, საბუთებში — „სვანეთის პროცესი“.

აკაკი წერეთლის ამ დაცვითი სიტყვის ტექსტი ამჟამად გამოქვეყნებულია საქართველოს სსრ შინასახკომის საარქივო სამმართველოს ყურნალში — „საისტორიო მთაბე“. (1945 წ. № 1, გვ. 189—196).

ამ ძვირფასი მასალის მიხედვით კვლავ დასტურდება აკაკი წერეთლის საორატორო სიტყვის მაღალი ოსტატობა, რის უკვდავ ნიმუშებსაც წარმოადგენენ მის მიერ წარმოთქმული სიტყვები: ერთხელ ქ. თელავში—1882 წ., ხოლო მეორედ ილია ჭავჭავაძის დაკრძალვის დღეს—1907 წ. 9. IX.

როგორც სიტყვის შინაარსიდან ჩანს, აკაკი წერეთელი მოკლებული ყოფილა საშუალებას, საქმის მასალების საფუძველზე დაცვითი პოზიციის სახით აერჩია სამართალში მიცემულთა გამართლების ვერსია.

ამის გამო, მას დაცვის ამოცანა განხორციელებული აქვს მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე, ბრალდების შემამსუბუქებელ გარემოებათა დადგენის გზით, რაც ცხადია, დაკავშირებული იყო მთელ რიგ სიძნელებთან.

მაგრამ მიუხედავად ამ დაბრკოლებისა და იმ მძიმე პოლიტიკური რეჟიმისა, რომელიც მაშინ მძინვარებდა, აკაკი წერეთელს დაცვითი სიტყვა წარმოთქმული აქვს მაღალ იდეურ საფუძველზე. ამ სიტყვაში ნათლად ჩანს ორატორის რადიკალურ-დემოკრატიული გეზი, მიმართული მეფის რუსეთის ნაციონალურ-კოლონიური პოლიტიკის მხილებისაკენ. ეს გეზი ორატორს გატარებული აქვს სიტყვის მთელ მანძილზე სრული პრინციპული თანამიმდევრობით, აზრის მიმზიდველად გადმოცემისათვის შესატყვისი ფორმით და დასახული მიზნის მოხერხებულად განხორციელებისათვის შესაფერი მხატვრული ხერხების გამოყენებით.


ამ მხრივ აკაკი წერეთლის ეს დაცვითი სიტყვა შემკობილია სასამართლო ტრიბუნისათვის სავსებით შესაფერი, მოსწრებელი გამოთქმებით, ზომიერი იუმორით, მჭერმეტყველური შედარებებით და სიტყვიერი თვალსაჩინოებით.

ამრიგად, თავისი დაცვითი სიტყვა აკაკი წერეთელს ავებული აქვს ისე, რომ გამოსათქმელი აზრი მაღალი გემოვნებითაა შეზავებული გამოთქმის საშუალებებთან და მით მიღწეულია, როგორც სიტყვის შემოქმედებითი ძალა, ისე მისი დამაჯერებლობა.

სიტყვის შინაარსისა და ფორმის ასეთი შეზავება აკაკი წერეთლის, როგორც ორატორისა, დამახასიათებელ ღირსებას წარმოადგენს.

სწორედ ამ ღირსებას აღნიშნავდა დიდი ქართველი მწერალი ილ. ჭავჭავაძე, როდესაც აკაკი წერეთლის მიერ თელავში წარმოთქმულ სიტყვასთან დაკავშირებით ამბობდა:

„ამაზედ მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ გვახსოვს ქართულ ენაზე. კითხულობთ და გიკვირთ. გიკვირთ და კითხულობთ. არ იცით თუ რა რას დამჯობინოთ სიტყვა აზრს, თუ აზრი სიტყვას,—ისე შეზავებულია, ისე შეზამებულია სიტყვად სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან. ყოველი წესი ორატორის ხელოვნებისა დაცულია და ხმარებული, რომ სიტყვამ ისე გასჭრას, როგორც მთქმელს განუზრახავს, და აზრმა და გრძნობამ იმ გზით მიადწიონ დანიშნულ ადგილამდე, როგორც მთქმელს სურვებია. (ილ. ჭავჭავაძე, ტ. VI, გვ. 253).



განვიხილოთ აკაკი წერეთლის ამ დაცვითი სიტყვის ზოგიერთი ადგილი. როგორც ეს უკვე აღინიშნა, აკაკი წერეთელი მოკლებული ყოფილა იმის შესაძლებლობას, რომ საქმის მასალების მიხედვით ბრალდებულთა უდანაშაულობა ემტკიცებია. მაგრამ ის თავისი სიტყვის დასაწყისშივე გარკვევით აღნიშნავს, რომ ხშირად მეფისდროინდელი ოფიციალური თვალსაზრისით დანაშაულებრივად მიჩნეული ქმედობა საზოგადოებრივად საამაყო საქმეს წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით ორატორი სავსებით საფუძვლიანად უარყოფს დანაშაულის ცნების აბსოლუტურ ბუნებას და ნათლად გადმოგვცემს მის ისტორიულ, შედარებით ხასიათს, განსაზღვრულს გარკვეული ისტორიული პირობებით, სხვადასხვა დროისა და ადგილის, სხვადასხვა ხალხთა და თვალსაზრისთა სახით.

ამ გზით აკაკი წერეთელი საფუძველს აცლის მეფის მართლმსაჯულთა თვითყმყოფილებას, გამომდინარეს იმ მოსაზრებიდან, რომ განსახილველი საქმით გათვალისწინებული ბრალდება, თითქოს, ობიექტურად, მართლა დანაშაულებრივი იყოს და სამხედრო-სასამართლოს მოაგონებს ისტორიულად ცნობილ მრავალ შემთხვევას, როდესაც—„კაცობრიობის მამოძრავებელიად რეფორმატორებს დამნაშავეებად სთვლიდნენ და კოცონზე სწვავდნენ“.

ამასთან ერთად ორატორი დიდი დამაჯერებლობით ახერხებს განასხვავოს საქმეში გამავალი ბრალდებულები ჩვეულებრივი სისხლის სამართლის დამნაშავეთაგან. ის ხაზგასმით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ მოწინავე საზოგადოებრივი აზრი ბრალდებულთა სასარგებლოდაა განწყობილი.

„კაცის მკვლელობა შუბლზე საზოგადოება ყოველთვის ხედავდა შეჩვენების კვალს, რომელიც მათდამი საყოველთაო ზიზღს იწვევდა. თქვენს წინაშეც, ბ-ნო მოსამართლენო, კაცის მკვლელები სხედან, მაგრამ დახეტ საკვირველებას, არავითარ ამის მსგავსს ჩვენ მათდამი არ განვიცდით... და რით ავხსნათ ეს? აქ მთავარ როლს ასრულებს არა თვით ჩადენილი დანაშაული, არამედ მისი გამომწვევი მოტივები“.

ამასთან დაკავშირებით აკაკი წერეთელი სრული თანამიმდევრობით იხილავს ბრალდებულთა მიერ ჩადენილ მოქმედებათა გამომწვევ მიზეზებს და საკითხის ღრმა ცოდნით არკვევს სვანეთის იმდროინდელი გლეხობის უუფლებო მდგომარეობას, მატერიალურ სიდუხჭირეს და გონებრივ ჩამორჩენილობას. ის განსაკუთრებული ყურადღებით იხილავს სვანეთის ადგილობრივი ხელისუფლების უკანონო მოქმედებათა შედეგებს და ცალკეულ თვითნებობასა და თავგასულობას.

საკითხის ნათელსაყოფად და საჭირო თვალსაჩინოებისათვის ორატორი მიმართავს ეგრეთწოდებულ მკვეთრი დაპირისპირების საორატორო ხერხს და იმ დროს, როდესაც, ერთის მხრივ, აღნიშნავს ამ მოხელეთა მაღალ გონებრივ და ზნეობრივ დონეს მათ მიერ დაკავებულ თანამდებობასთან დაკავშირებით, მეორეს მხრივ, ხაზგასმით ლაპარაკობს მათ სრულ უმეცრებასა და უზნეობაზე იმ საქმიანობის მიხედვით, რასაც ისინი ეწეოდნენ.

აკაკი წერეთელი ამბობს:

„ის მაღალი მდგომარეობა, რომელიც მინიჭებული ჰქონდა ადგილობრივ ხელისუფალთ და ის სრული ნდობა, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ, ცხადია, მოწმობენ მათ მაღალ გონებრივ და ზნეობრივ განვითარებას. ისინი უნდა ყოფილიყვნენ ამ გაუნათლებელი მოსახლეობას ცივილიზატორები“.

საქმის მასალის კონკრეტული ანალიზის შედეგად კი ორატორი ამქვეყნებს მეფის მოხელეთა უსამართლობას, დაუნდობლობას, სვანეთის მთხრობის შევიწროებისათვის გამოყენებულ არაადამიანურ საშუალებებს და დაასკვნის:

„იმის მიხედვით, რაც სამსჯავრო გამოძიებით იქნა გამოაშკარავებული, თამაზად შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლების მიერ კანონი სრულებით არ სრულდებოდა“.

აკაკი წერეთელი ამავე დროს ყურადღებას აქცევდა სვანების ისედაც მძიმე ცხოვრების გართულებას მათი ზნე-ჩვეულებისათვის და შემეცნებისათვის სრულიად უცხო კანონების გამოქმედლოდ შემოღების გამო. იგი აღნიშნავს, რომ კანონს დასაყრდენი უნდა ჰქონდეს ხალხის საყოფაცხოვრებო თავისებურებაში და ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია ისეთი მდგომარეობა, როდესაც ხალხს თავს ახვევენ კანონს ზევიდან, ადგილობრივი პირობების მხედველობაში მიუღებლად.

ამასთან დაკავშირებით ორატორი სათანადო ანალიზს უკეთებს სვანების ცალკეულ დამახასიათებელ ზნე-ჩვეულებას და დაცინვით ამბობს, რომ მათთვის ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე გამოქმედლოდ შემოღებული იყო 1864 წ. „სასამართლო წესდება“.

ორატორი ამ შემთხვევაში იყენებს ირონიით აღსავსე შედარებას ბიბლიურ სასწაულმოქმედებასთან და აღნიშნავს:

„სწორედ ამ ხალხის მიმართ ცნეს მოხერხებულად, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, 1864 წ. „სასამართლო წესდების“ მომარჯვება. ჩემთვის ცნობილია ერთად-ერთი ბედნიერი შემთხვევა ხალხისათვის ზევიდან კანონის მიცემისა. ეს მაშინ, როდესაც მოსემ ღვთისგან მიიღო ათი მცნება სინას მთაზე. მას შემდეგ მსგავსი მაგალითები არ შეიძლება განმეორებულიყო“.

აკაკი წერეთელი თავის სიტყვაში გაბედულად ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა სიმძიმედ აწვა სვანეთის მშრომელ მოსახლეობას ასეთი ძალით მოხვეული კანონები, რომლებიც განსაკუთრებული სისასტიკით იქნა გამოყენებული სვანეთის აჯანყებაში მონაწილეთა წინააღმდეგ. ის ფარდას ხდის ლეჩხუმის მაშინდელი მავრის ყოფილი უფროსის გრინევსკის, ლეჩხუმის მოსამართლის თანაშემწის ორბელის და სვანეთის ბოქაულის თენგიზ დადემქელიანის მიერ კანონის სახელით მიღებული ზომების შავზნელ ხასიათს.

ორატორს კარგად აქვს წარმოდგენილი მსგავსი ზომების მორალურად დამამცირებელი ძალა აჯანყებული ხალხის სვანების მიმართ და დიდი გულსტიკივლით აღნიშნავს იმ აღმამფოთებელ ფაქტს, რომ:

„ერთ სოფელში, ნაცვლად შავუბათ ქურდიანისა, რომელსაც ეძებდნენ, ხელისუფლებამ დააპატიმრა მისი შვილები და ისინი სხვა პატიმრებთან ერთად, ხელშეკრულნი დაჰყავდათ სოფლიდან სოფელში, ჯარის უკან, თოვზე გამოზმულნი, როგორც მაიმუნები“.

რავა თქმა უნდა, ადგილობრივ ხელისუფალთა—ამ მალალი „გონებრივი“ და „ზნეობრივი“ განვითარების მქონე „ცივილიზატორების“ ესოდენ აშკარა

მიხლება შეუმჩნეველი არ დარჩებოდა სამსჯავრო სხდომის თავმჯდომარეს, რომელიც ამის გამო ორატორს შენიშვნას აძლევს და ეუბნება:

„მე თქვენ ვთხოვთ სიფრთხილე გამოიჩინოთ გამოთქმებში, სიმკვახე არაფითარ შედეგს არ მოგცემთ“.

აკაკი წერეთელი უყურადღებოდ არ ტოვებდა არც ჯარის ბარბაროსულ მოქმედებას და სვანეთში მეორედ გავზავნილი დამსჯელი რაზმის ლაშქრობის შედეგებს გამანადგურებელი სარკაზმით იხსენიებს. ის აღშფოთებულია იმით, რომ სოფ. ხალდე ნაცარ-ტუტად იყო ქცეული და სვანეთის ციხე-კოშკების ვერაგულად დანგრევის შესახებ ორატორულად, მეტის-მეტად მოზომილად ლაპარაკობს და აღნიშნავს:

„მეცამეტე საუკუნიდან, მას შემდეგ, რაც საქართველო დაცემის გზას დაადგა, სვანეთი ბედის ანაზარად იყო დატოვებული და ყოველივე იმისაგან, რაც მას საქართველოს ცივილიზაციიდან გადაეცა, შეიდი საუკუნის შემდეგ აღარაფერი შერჩენია, გარდა იმ კოშკებისა, რომელთა ნაწილიც ასე წარმატებით იქნა გაცამტვერებული თქვენს მიერ“.

სასამართლოს თავმჯდომარემ ორატორი ამ შემთხვევაშიაც შეაჩერა და იგი კვლავ გააფრთხილა თავი შეეკავებინა მკვახე გამოთქმებისაგან.

მიუხედავად ასეთი შენიშვნებისა, აკაკი წერეთელმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა აგრეთვე სამხედრო-საველე სასამართლოს მიმდინარე პროცესის ცალმხრივობაც. მან აშკარად მიუთითა იმაზე, რომ ბრალდებულებს ხელოვნურად აქვთ შექმნილი დამამძიმებელი მდგომარეობა და რათა ამ მდგომარეობის შემქმნელთა შესახებ პირდაპირ არ ელაპარაკა, უმჯობესად მიიჩნია სიმძიმის ცენტრის გადატანა სვანების თითქოსდა ბუნებრივ ბედ-უკუღმართობაზე.

ორატორი ამ მიზნით მიმართავს აზრის ალევგორიული ფორმით გადმოცემის ხერხს და სასამართლოს ტენდენციურობაზე ლაპარაკობს:

„აქ მე საეხებოთ მართებულად მიმანია ვთქვა, რომ ბუნება, რომელმაც სვანები ქვაბურში ჩაჰკეტა და მით წაართვა გაშლის შესაძლებლობა, კვლავ აგრძელებს მათ დევნას დღესაც, სამარის პირამდე. მან ხელი შეუშალა დაცვის მოწმეების გამოძახებას, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ბრალდების მოწმეებმა შესძლეს ამ დაბრკოლებების გადალახვა“.

აკაკი წერეთელი თავის სიტყვაში ნათელყოფს იმ განსაკუთრებულ მზრუნველობას, რომელსაც მეფის ხელისუფლება იჩენდა ადგილობრივი რეაქციული ძალებისადმი. ამის გამოსააშკარავებლად ის მოსწრებულად იყენებს პროკურორის მიერ წარმოთქმულ სიტყვას სვანეთის ბოქაულის თანამემწის თ. დადეშქელიანის დასაცავად, რომლის მიმართაც თითქოს ხმები ყოფილა გაგრცელებული—ხელისუფლების მოლაღატეაო.

ამასთან დაკავშირებით ორატორი დახვეწილი ირონიით აღნიშნავს, რომ მას განოსგლა უხდება:

„პროკურორის ბრწყინვალე სიტყვის შემდეგ, რომელიც გამსჭვალული იყო მაღალი ჰუმანიური გრძნობით, არა იმდენად სამართალში მიცემულთა მიმართ, რამდენად არაბრალდებული პირის, თავად თენგიზის მიმართ“.

ამრიგად, აკაკი წერეთელმა ბრწყინვალედ შეასრულა დამცველის როლი ამ პროცესზე და შეძლო სასამართლოს ყურადღება გაემახვილებინა ბრალდებულთა ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებებზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, სამხედრო-საველე სასამართლომ მკაცრი განაჩენი გამოიტანა და ბრალდებულებს მძიმე სასჯელები შეუფარდა ჩამოხრჩობისა და კატორღის სახით.

მეფისნაცვალმა სასამართლოს ეს განაჩენი შედარებით შეარბილა და ბრალდებულებს სასჯელის უმადლესი ღონისძიება კატორღით შეუცვალა.

ამაში, ცხადია, დიდი როლი ითამაშა ბრალდებულთა ენერგიულმა დაცვამ, რომელიც სასამართლო პროცესზე აწარმოა სახელოვანმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ—აკაკი წერეთელმა.



სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ზოგიერთი საკითხი

დოცენტი ვ. ზანიძე

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზას, საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

საქ. სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდექსის 62, 63 და დროებით წესების 24 მუხლების შესაბამისად ექსპერტიზა უნდა დაინიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად ნამდვილად საჭიროა სპეციალური ცოდნა მეცნიერებისა და ხელობის დარგში.

ნხვა ექსპერტიზებიდან (საბუხჰალტრო, გრაფიკული, ბალისტიკური, ტექნიკური და სხვ.) განსხვავებით, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. ამიტომ იგი ჩვენს სინამდვილეში თანამდებობრივია და მას თავისი შესაფერისი სტრუქტურა აქვს.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა მტკიცების გარკვეულ სახეს წარმოადგენს. მასზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საქმის ობიექტური და სწორი გადაწყვეტა. ამიტომ კანონის და შესაფერისი დებულებების (განკარგულების) მიხედვით ექსპერტის მოწვევა მთელ რიგ შემთხვევებში სავალდებულოდ ითვლება.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტის გამოყენება, სადაც ეს საჭიროა, ყოველთვის არ ხდება, რაც ძირითადად აიხსნება იმით, რომ ზოგიერთმა გამომძიებელმა არ იცის, როდის არის აუცილებელი ექსპერტის გამოწვევა. ხშირად გამომძიებელი თავისი ინიციატივით სწყვეტს თითქოს მარტივ საკითხს, რომლის გადასაწყვეტად საჭიროა მკოდნე პირის—ექსპერტის მეცნიერული დახმარება.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა წარმოადგენს საბჭოთა ჯანდაცვის სისტემის ერთ დარგს, რომელიც მოწოდებულია ემსახუროს საბჭოთა მართლმსაჯულებას. იგი ემყარება მოწინავე მეცნიერებას, რომელიც ხელმძღვანელობს დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდით.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის წარმოება უნდა მიენდოს მხოლოდ სასამართლო სამედიცინო ექსპერტს. სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა—მხოლოდ ექიმ ფსიქიატრს (სასამართლო ფსიქიატრს). სამწუხაროდ არის შემთხვევები, როცა შერაცხადობის საკითხის გადასაწყვეტად

გამომძიებელი მიმართავს სასამართლო სამედიცინო ექსპერტს, რომლის კომპეტენციაში ეს საკითხი არ შედის.


ექსპერტის არჩევის მიზნით უმჯობესია მივმართოთ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს ან რაიონში სასამართლო სამედიცინო ექსპერტს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში თავისი შეხედულების მიხედვით მოახდენს სათანადო სპეციალისტების შერჩევას ექსპერტიზის ჩასატარებლად.

წინასწარი ან სასამართლო გამოძიების პროცესში შეიძლება აცილება მიეცეს ექსპერტს, რაც დასაბუთებული უნდა იქნას შესაფერისი დადგენილებით, მაგრამ ხშირად აცილება არ ფორმდება დადგენილებით, რომელშიც მოტივირებული უნდა იყოს აცილების მიზეზები.

დაზარალებულის ან ბრალდებულის დაუსაბუთებელი მოთხოვნა ექსპერტის აცილებაზე, როცა დასკვნა მათი ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული, არ უნდა იქნას დაკმაყოფილებული.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა მართალია წარმოადგენს მტკიცების ერთერთ სახეს, მაგრამ თანახმად სისხ. სამ. საპროც. კოდ. 298 მუხლისა „...ექსპერტების დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის, ხოლო უკეთეს სასამართლო დასკვნას არ დაეთანხმა, მან ეს გარემოება უნდა დაასაბუთოს განაჩენსა და განსაკუთრებულ დადგენილებაში“.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების უარყოფის პრაქტიკა იშვიათი არ არის, მაგრამ არასოდეს არ ხდება ამ უარყოფის მოტივირება, ან თუ ხდება, იგი აბსოლუტურად მიუღებელია. ძალიან ხშირად გამომძიებელი ან სასამართლო თავის დადგენილებაში ახალი ექსპერტიზის დანიშვნის საჭიროებას ასაბუთებს იმ მოტივით, რომ ბრალდებული ექსპერტიზის მონაცემებს არ ეთანხმება (რადგან ეს ექსპერტიზა ამხელს მას ჩადენილ დანაშაულში). მეტწილად სასამ. სამედ. ექსპერტიზის დასკვნის უარყოფა დაკავშირებულია გვამის გამოკვლევასთან ან ქალის შემოწმებასთან—სქესობრივი ძალადობის შემთხვევებში. გამომძიებელი ან სასამართლო ზოგ შემთხვევაში მოითხოვს დამარხული გვამის ამოღებას (ექსჰუმაცია) და განმეორებით გამოკვლევას იმასთან დაკავშირებით, რომ გარდაცვლილის ახლობლები კატეგორიულად უარყოფენ უკვე ჩატარებული გვამის სასამართლო სამედიცინო გამოკვლევის მონაცემებს, მიუთითებენ დანით ჭრილობებზე და სხვა დაზიანებებზე, რომლებიც თითქოს ექსპერტმა აქტში არ აღნიშნა და განზრახ დაფარა ობიექტური ჭეშმარიტება, მაშინ, როცა გვამის გამოკვლევა (გაკვეთა) მომხდარია რამდენიმე ექიმის თანდასწრებით. ასეთი ზედმეტი უმიზნო მუშაობის ჩატარება, რაც გარკვეულ ხარჯებთანაცაა დაკავშირებული, გამოწვეულია მხოლოდ იმით, რომ გამომძიებელი, როგორც წესი, გვამის გაკვეთას არ ესწრება, რაც სათანადო ინსტრუქციით, განკარგულებებით და მითითებებით სავალდებულოდ ითვლება. უფრო მეტიც, ექსპერტი იძულებულია გვამის გამოკვლევა აწარმოოს დადგენილების გარეშე. გვამის გამოკვლევა წარმოებს უბრალო მიმართვის საფუძ-



ველზე, რომელშიც აღნიშნულია მხოლოდ გვამის ვინაობა, მაშინ, როდესაც გვამის გამოკვლევა უნდა ხდებოდეს დადგენილების საფუძველზე, რომელშიც მითითებული უნდა იქნას ექსპერტის მიერ გადასაწყვეტი საკითხები. გამომძიებლის დასწრება გვამის გამოკვლევაზე ნაკარნახევაა აგრეთვე იმითაც, რომ გვამის ვაკვეთის პროცესში შეიძლება საჭირო გახდეს რაიმე დამატებითი კითხვების დაყენება.

ზოგჯერ სას. სამედიცინო ექსპერტისაგან მოითხოვენ დასკვნის მიცემას ისეთ საკითხზე, რომელიც მის კომპენტენციაში არ შედის.

სას. სამედ. ექსპერტის კომპენტენცია შემოსაზღვრულია მისი ცოდნის ფარგლებით და ის მკვეთრად არის ჩამოყალიბებული ს. ს. საპ. კოდ. 62 მუხლში. ექიმს არ შეუძლია იურიდიული საკითხის გადაწყვეტა, ასე მაგალითად სიკვდილის გვარეობის (მკვლელობა, თვითმკვლელობა და უბედური შემთხვევა) დადგენა, რადგან ეს იურიდიული საკითხია. მიუხედავად ამისა ძალიან ხშირად ექიმისაგან მოითხოვენ სიკვდილის გვარეობის განსაზღვრას. მით უმეტეს არ შეუძლია ექსპერტს განსაზღვროს, მოქმედებდა თუ არა დამნაშავე განზრახ ან გაუფრთხილებლად და სხვ., ვინაიდან ეს წმინდა იურიდიული საკითხებია.

ექსპერტმა უნდა იცოდეს, რომ საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები იწვევენ მას დასახმარებლად მხოლოდ იმითომ, რომ ის არის ექიმი (ბიოლოგი). გამოძიებას აწარმოებს გამომძიებელი, ბრალდებას ამტკიცებს პროკურორი, ხოლო სასამართლო სწყვეტს დანაშაულის საკითხს. ექსპერტი-ექიმი აწარმოებს მხოლოდ და მხოლოდ სამედიცინო ხასიათის საკითხების ობიექტურ გადაწყვეტას. ამასთან ერთად სას. სამედიცინო ექსპერტი არ წარმოადგენს პროცესის პასიურ მონაწილეს, არამედ იგი არის მართლმსაჯულების აქტიური მონაწილე. ამიტომ ექსპერტი თავის პირადი ინიციატივით სასამართლო საგამომძიებლო ორგანოების ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტებზე, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ სწორი გამოძიებისათვის (გ. ა. ავდევი).

გამომძიებლის პრაქტიკაში ხშირად გამომძიებელი გადაცემს მონაკვლევ მასალებს ექიმ-ექსპერტს კონკრეტული საკითხის დასმის ვარეშე და მოითხოვს ჩატარებული იქნას ექსპერტიზა წარმოდგენილი მასალების მიხედვით. ასეთ შემთხვევაში ექსპერტს შეუძლია არ მიიღოს საქმე, უკან დაუბრუნოს იგი და მოითხოვოს, რათა დადგენილებაში მითითებულ იქნას ექსპერტიზის წარმოების მიზანი და კითხვები, რომლის გადაწყვეტაც საჭიროა.

სას. სამედ. ექსპერტს ევალება ყველა დასმულ კითხვაზე გასცეს მოფიქრებული და მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი, იმისდამიუხედავად, რა მარტივიც არ უნდა იყოს იგი, ამ მიზნით ექსპერტს შეუძლია მოითხოვოს ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭირო დრო.

მეტად მანკიერია გამოძიების პრაქტიკაში ისეთი შემთხვევები, როცა გამომძიებელი მოითხოვს ექსპერტიზის სწრაფად ჩატარებას ვითომც იმ მოტივით, რომ გასულია გამოძიების ვადები ან სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის ან პატიმრობის სანქციის აღებისათვის საჭიროა ექსპერტის დასკვნა. ძალიან ხშირად გამომძიებელი საექსპერტიზო საქმეზე მოითხოვს, დასკვნა დაწერილი იქნას ერთ-ორ დღეში, მაშინ, როცა საქმის გასაცნობად და დამატებითი მასალების შეგროვებისათვის საჭიროა 4—5 დღე. ყველა ასეთ შემთხვევაში აჩქარება საქმის ობიექტურ გადაწყვეტას ხელს უშლის.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სწორად მოწყობის მიზნით საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებმა უნდა იხელმძღვანელონ იმ ნორმებით, რომელშიც გათვალისწინებულია სს საპროცესო კოდექსის შესაფერის მუხლებში, სათანადო ინსტრუქციებში, ცირკულარებში და განკარგულებებში, რაც თავისთავად უზრუნველყოფს სას. სამედ. ექსპერტიზის სრულყოფილ და ობიექტურ წარმოებას, ხოლო ეს უკანასკნელი კი ხელს შეუწყობს საქმის სწორ, იურიდიულ გადაწყვეტას.



მეხი ყურადღება საავტორო უფლების დაცვას

საბჭოთა კანონმდებლობა საავტორო უფლების შესახებ მიზნად ისახავს რაც შეიძლება სრულად და ამომწურავად იქნას დაცული ავტორის პირადი და ქონებრივი ინტერესები. ავტორი ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის აქტიური მონაწილეა. იგი თავისი ინტელექტუალური შემოქმედებით ხელს უწყობს ხალხის მასების კულტურულ ზრდა-განვითარებას.

კანონი „საავტორო უფლების საფუძველები“, რომელიც მიღებული იქნა ჯერ კიდევ 1928 წლის 16 მაისს, უზრუნველყოფს ავტორთა ინტელექტუალური შემოქმედების უფლებრივ დაცვას. ამ კანონის საფუძველზე საქართველოს ცაკმა და სახალხო კომისართა საბჭომ 1929 წლის 30 აგვისტოს მიიღო კანონი — „საავტორო უფლების შესახებ“ — საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამოქმედოთ. აღნიშნული კანონის გამოცემიდან დღემდე მნიშვნელოვნად შეიცვალა ავტორთა მდგომარეობა, წარმოიშვნენ შემოქმედებითი საქმიანობის ახალი სახეები, ფორმები, რომლებიც მოითხოვენ საკანონმდებლო ასახვას და გადაწყვეტას. მაგრამ რატომღაც, სათანადოდ არ წარმოებს ამ მომწიფებული საკითხების დამუშავება და იმ მდიდარი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილებების განზოგადება, რომლებიც წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში დაგროვდა. უჩრნალში „Советское государство и право“ 1954, № 6 სამართლიანად იყო აღნიშნული, რომ—სამოქალაქო სამართლის ეს უბანი თითქმის დავიწყებული იქნა ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში, ამის შედეგად მთელ რიგ საკითხებში მოქმედებენ ჩამორჩენილი შეხედულებანი და თეორიები.

ეს მოსაზრება სავსებით ეხება ჩვენს რესპუბლიკასაც. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენთან დღემდე ჯეროვანი ყურადღება არავის მიუქცევია საავტორო სამართლის საკითხების შესწავლა-დამუშავებისათვის. დღემდე ქართულ ენაზე არ არსებობს არა თუ კრებული, რომელშიც უნდა იყოს თავმოყრილი ძირითადი საკანონმდებლო მასალები და სასამართლო პრაქტიკის განზოგადება, არამედ არ არსებობს მცირე მოცულობის თეორიული ნაშრომიც კი. მხედველობაში, რა თქმა უნდა, არ არის მისაღები 1936 წელს საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველოს საქართველოს განყოფილების მიერ გამოცემული პატარა კრებული, რომლის ტირაჟი ერთი ათასს არ აღემატება და რომელიც დღეისათვის მთლიანად მოძველებულია.


ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენი რესპუბლიკის სასამართლო და პროკურატურის ორგანოები ზოგჯერ მცდარად უდგებიან საავტორო სამართლის საკითხების გადაწყვეტას, სრულიად არ ხელმძღვანელობენ კანონით „საავტორო სამართლის შესახებ“ და გამოაქვთ საავტორო კანონმდებლობის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებანი. ჩვენის აზრით, ამ საერთო არანორმალურ

მდგომარეობას აძლიერებს ის ფაქტიც, რომ დღემდე, როგორც საკავშირო ისე რესპუბლიკური მასშტაბით არ მოხერხდა საავტორო უფლებათა დაცვის მთავარი ცენტრის შექმნა, რომელიც თავის ხელში აიღებდა საავტორო სამართლის შესწავლა-დამუშავების საქმეს, ბრძოლას გამოუცხადებდა ყოველგვარ დარღვევებს საავტორო სამართლის დარღვი. საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველო, რომელიც არსებობს საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირთან სრულიადი წერ უზრუნველყოფს სადღესოდ გაზრდილ მოთხოვნილებებს. სამმართველოს აქვს თავისი განყოფილებები მოკავშირე რესპუბლიკებში და იგი მოქმედებს სსრ კავშირის მწერალთა კავშირის დებულების საფუძველზე. დებულებით მტკიცედ არის განსაზღვრული სამმართველოს დანიშნულება—მოაწესრიგოს საავტორო სამართლის მხოლოდ ზოგიერთი კატეგორიის საქმეები, როგორცაა მხატვრული ლიტერატურის გამოცემის და საჯარო შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები. ასეთი შეზღუდულობა დიდად ვნებს საავტორო სამართლის საკითხებზე მტკიცე და მთლიანი პრაქტიკის შექმნას.

სრულიად გაუმართლებელია როდესაც საავტორო საკითხების რეგულირება დაყოფილია დარგებად, დარგობრივად იცავენ ავტორთა უფლებებს. ცალკე არსებობს „სსრ კავშირის მუსიკალური ფონდი“, „სსრ კავშირის არქიტექტურული ფონდი“, „სსრ კავშირის ლიტერატურული ფონდი“ და „სსრ კავშირის სამხატვრო ფონდი“. მხოლოდ ამით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედი ზოგიერთი დებულება, რომელსაც კანონის ძალა აქვს, და რომელიც საავტორო სამართლის საკვანძო საკითხებს ეხება, აშკარად არ შეესაბამება ჩვენი საავტორო სამართლის ძირითად პრინციპებს და გადასინჯვას მოითხოვს. ასეთია დადგენილებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსი: 1949 წლის 28 თებერვლისა № 220, 1955 წლის 20 აგვისტო № 444 და 1953 წლის 10 ოქტომბრისა № 1349 და სხვ. მოძველდა და აღარ შეეფერება გაზრდილ საავტორო უფლებრივ ურთიერთობებს თვით დებულება „სავტორო უფლებისშესახებ“. საყურნალო სტატიაში შეუძლებელია ამ დადგენილებათა ხარვეზების მთლიანად ჩამოთვლა, აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენიმეს.

საქსსრ მინისტრთა საბჭოს № 444 დადგენილება აწესებს, რომ განმეორებითი გამოცემის დროს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მთარგმნელებს ჰონორარი არ აუნაზღაურდეს. რა უნდა ედოს საფუძვლად ამ დადგენილებას ძნელი სათქმელია. თუ მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელთა შრომა საკმაოზე მეტად დაფასებულია და ავტორი (მთარგმნელი) მეათე, მეოცე გამოცემის დროსაც არ ჰკარგავს უფლებას მიიღოს ჰონორარი, ჩვენის აზრით, ყოვლად დაუშვებელია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მთარგმნელებს წაგართვათ ეს უფლება. კლასიკოსთა ნაწარმოების თარგმნა თავისი სირთულისა და პოლიტიკური მნიშვნელობის გამო წახალისებას და დიდ მხარდაჭერას მოითხოვს. უნდა აღინიშნოს, რომ არცერთ მოკავშირე რესპუბლიკაში არ მოქმედებს ასეთი ნორმატიული აქტი.

საქ. სსრ. მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 10 ოქტომბრის დადგენილება მასიური ტირაჟის შესახებ, იწვევს აზრთა სხვადასხვაობას ჰონორარის ანაზღაურების საკითხში. გაუმართლებელია ჩვენის აზრით, 1949 წლის № 220 დადგენილების ის შენიშვნა, რომელიც გამოცემლობას უფლებას ანიჭებს თავისი შეხედულებით ავტორს შეუმციროს მისაღები ჰონორარი 20%/მდე.



კარგი იქნებოდა ისეთი დადგენილებები, რომლებსაც კანონის ძალა ენიჭებოდათ, გახდებოდას შემოქმედებითი ორგანიზაციების წინასწარ მსჯელობის საგანი, კულტურის სამინისტროს, მწერალთა კავშირის და საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველოს აუცილებელი მონაწილეობით.

ასეთია ზოგადი ფონი, რომელიც, ცხადია, ართულებს საავტორო უფლებების საკითხებზე მტკიცე პრაქტიკის შექმნას და ნიადაგს ქმნის დარღვევებისათვის საავტორო უფლებრივ ურთიერთობაში.

აღნიშნული მდგომარეობა ცუდ გავლენას ახდენს ჩვენი შემოქმედებითი ორგანიზაციების—გამომცემლობების, თეატრების, კინოსტუდიის საქმიანობაზე, რომლებიც ზოგჯერ სათანადოდ არ აფასებენ იმას, თუ რას ნიშნავს სწორი, პრინციპული ურთიერთობა ავტორებთან. ავიღოთ მაგალითად კინოსტუდია „ქართული ფილმი“.

კინოხელოვნების ნაწარმოებთა შექმნის უფლებრივ რეგულირებას ამომწურავად ახდენს ტიპიური სასცენარო ხელშეკრულება, რომელსაც კანონის ძალა აქვს, მაგრამ როგორც ჩანს კინოსტუდიაში სათანადოდ არ აფასებენ ამ ხელშეკრულებას.

ავიღოთ თუნდაც ავტორ რ. ებრალიძის საქმე, მან დასწერა კინოსცენარი „კოლხეთის ცისკარი“ კ. ლორთქიფანიძის იმავე სახელწოდების რომანის მიხედვით. კინოსტუდიამ სცენარის შექმნისათვის ხელშეკრულება გაუფორმა და აფანისის სახით ავტორს გადაუხადა 20.000 მანეთი, ხოლო კ. ლორთქიფანიძეს—10.000 მანეთი (მისი ნაწარმოების კინოსცენარად გადაკეთების უფლებისათვის). მაგრამ არასწორი ორგანიზაციისა და ავტორებთან ხელშეკრულებით წარმოშობილი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, კინოსცენარზე მუშაობა შეწყდა და საქმე სასამართლო ორგანოებს გადაეცა. ამრიგად იმის გარდა, რომ კინოსტუდიამ თავისი არასწორი მოქმედებით იზარალა 30.000 მანეთი, იზარალა საერთო საქმემაც—არ მოხერხდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ამსახველი საინტერესო ნაწარმოების ეკრანიზება. უდავოა რომ ასეთი დამოკიდებულება ავტორებს მუშაობის და შემოქმედების ხალისს დაუკარგავს.

მოქალაქე ბ. ინპოლსკი კინოსტუდიამ მოსკოვიდან სპეციალურად მოიწვია და დაავალა დაეწერა სადიქტორო ტექსტი ფილმისათვის „საბჭოთა საქართველო“. ავტორმა დასწერა ტექსტი, კინოსტუდიამ—ჯერ გამოიყენა, შემდეგ კ. „დაიწუნა“ იგი და მოიწვია სხვა ავტორები—ა. ანდრონიკაშვილი და ი. ნონეშვილი, გაუფორმა მათ ახალი ხელშეკრულებები. ამრიგად ერთი დოკუმენტალური ფილმის სადიქტორო ტექსტისათვის, საჭირო გახდა სამი ხელშეკრულების გაფორმება. ხელშეკრულებისა და კანონის დარღვევის გამო აღნიშნულ საქმეზე სახალხო სასამართლომ სამართლიანად გამოიტანა კერძო დადგენილება, რომელიც ძალაში დასტოვა უმაღლესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიამ. კერძო დადგენილებაში აღნიშნულია, რომ—„კინოსტუდიაში ხელშეკრულებით ვათვალისწინებული პირობების შესრულებას ეპყრობიან უპასუხისმგებლოთ, რის შედეგადაც იფლანგება სახელმწიფო თანხები“.

ა. ბეგაშვილს კინოსტუდიამ ხელშეკრულება გაუფორმა არა როგორც ტექსტის ავტორს, არამედ როგორც კონსულტანტს. ავტორი მხოლოდ მაშინ მიხვდა შეცდომაში იყო შეყვანილი, როდესაც სატირაჟო ჰონორარზე უარი

უთხრეს. სასამართლომ დააკისრა კინოსტუდიას გადაეხადა სატირაჟო ჰონორარი.

კანონისა და ტიპიური სასცენარო ხელშეკრულების დარღვევიდან გამომდინარე კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა იმ არასწორი პრაქტიკის შესახებ, რომელიც დანერგილია კინოსტუდიაში, მაგრამ ვფიქრობთ საკითხის ნათელსაყოფად ეს მაგალითებიც საკმაოდ მეტყველებენ.

საავტორო უფლების განხორციელების საქმეში არც გამომცემლობებშია ყველაფერი რიგზე. აგიღოთ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ — 1946 წელს მთარგმნელ ა. ახალშენიშვილს გამომცემლობისათვის ხელშეკრულების საფუძველზე ჩაუბარებია დოსტოევსკის რომანის „დანაშაული და სასჯელის“ ქართული თარგმანი. ხელშეკრულების ხელმოწერიდან ცხრა წლის შემდეგ მთარგმნელი გარდაიცვალა, თარგმანის გამოცემას კი არაფერი ეშველა. 1956 წელს დოსტოევსკის დაბადების 135 წლისთავთან დაკავშირებით სახელმწიფო გამომცემლობას დაევალა დოსტოევსკის ნაწარმოებთა გამოცემა, მოძებნილ იქნა არქივში თარგმანი და ახალშენიშვილის მემკვიდრე, რომელსაც წინადადება მისცეს ხელი მოეწერა ახალ ხელშეკრულებას, მხოლოდ ერთი პირობით — უკანვე დაებრუნებინა მისი დედის მიერ ცხრა წლის წინათ მიღებული ჰონორარი. გამომცემლობამ ხელშეკრულებას გაუკეთა „შენიშვნა“ (?), რომ მემკვიდრე თანახმაა დაუბრუნოს გამომცემლობას 17.780 მანეთი... ვავიდა კიდევ ორ წელზე მეტი, წიგნის გამოცემა არ მოხერხდა. ამრიგად, 12 წლის განმავლობაში სახელმწიფო გამომცემლობამ ვერ უზრუნველყო ამ საინტერესო თარგმანის გამოცემა.


სასამართლომ სამართლიანად გააუქმა გამომცემლობის მიერ ხელშეკრულებაზე მინაწერი უკანონო შენიშვნა.

ასევე უპასუხისმგებლოდ, ხელშეკრულების დარღვევის გზით გამომცემლობამ შელახა „მუსიკალურ ტერმინთა ლექსიკონის“ ავტორის ს. დაფქვიასვილის ინტერესები. დაფქვიასვილთან დადებულ ხელშეკრულებაში, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგებოდა ტიპიურ საგამომცემლო ხელშეკრულებას და შედგენილი იყო ავტორისათვის საზიანოდ, არ იყო აღნიშნული არა თუ გამოცემის ტირაჟი და გამოცემის ვადა, არამედ დარღვეული იყო საავტორო ჰონორარის ანაზღაურების წესიც.

აღნიშნულმა საქმემ, რომელშიაც სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ჩარევაც კი გახდა საჭირო, ბოლოს მიიღო სწორი გადაწყვეტა და გამომცემლობას დაეკისრა 47 ათასი მანეთის გადახდა.

საავტორო საკითხების სწორად დაყენებით ვერც ჩვენი თეატრალური დაწესებულებანი მოგვაწონებენ თავს. არასახარბიელო მდგომარეობაა შექმნილი გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრში. მარტო 1957 წლის განმავლობაში თეატრმა ხელშეკრულებები დაუდო კომპოზიტორებს: ლ. იაშვილს, კ. მეღვინეთუხუცესს, მ. დავითაშვილს, ს. მირიანაშვილს, ს. ნასიძეს და მ. ბობოხიძეს.

თეატრის მიერ არასწორი ხელშეკრულებების გაფორმებისა და ავტორებისადმი უპატივცემულო დამოკიდებულების შედეგად, ექვსივე ხელშეკრულება სასამართლოს მსჯელობის საგნად გადაიქცა, თეატრს დაეკისრა 9545 მანეთის იძულებით გადახდა.



საავტორო უფლების აშკარა დარღვევისა და სახელმწიფო თანხების ღვანგვის ფაქტებს ვხვდებით სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობაშიც. აქ იყო შემთხვევა, რომ გამომცემლობის ყოფილი დირექტორი გ. ჯატიევი ავტორებთან ხელშეკრულებების გაფორმების დროს თვითნებურად აწესებდა საავტორო ჰონორარის ნორმებს, შეჰქონდა შესწორებები გამომცემლობის თემატიკურ გეგმებში, უხდოდა ავტორებს ჰონორარს ხელშეკრულების გარეშე და სხვ. ასეთ პირობებში გასაკვირი არ არის, რომ აღვლით ქონდა საავტორო კანონის დარღვევას. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ გამომცემლობაში მდგომარეობა მთლიანად დღემდე გამოსწორებული არ არის.

ეს მაგალითები საკმაოდ მეტყველებენ იმაზე, რომ მომწიფდა ნიადაგი საავტორო სამართლის მთელი რიგი საკითხების მოწესრიგებისათვის, დროა შემოქმედებითმა ორგანიზაციებმაც გადახედონ თავიანთ საქმიანობის ამ უბანს, აუცილებელია დამყარდეს სრული წესრიგი საავტორო უფლების დაცვის საქმეში.

6. ნეპიზმიკმა,

საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველოს თბილისის რწმუნებული

სახელმწიფო და საზოგადო ქონების წაკრძალვის დაცავისათვის და პირადი საკუთრების წაკრძალვის ქარღობისათვის სასჯალები უნდა გათანაზომიერდეს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ ითვალისწინებს სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის უფრო მკაცრ სასჯელს, ვიდრე საზოგადოებრივი (კოოპერატიული) ქონების დატაცებისათვის. ეს გასაგებიც არის, რადგან საბჭოთა სახელმწიფოს საკუთრება საერთო, სახალხო დოვლათია, ის მთელი ხალხის საკუთრებაა.

კიდევ უფრო ნაკლებ სასჯელს ითვალისწინებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმავე თარიღით გამოცემული ბრძანებულება მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობა-გატაცებისათვის.

მოქალაქეთა პირადი საკუთრება სოციალისტური საკუთრებიდანაა ნაწარმოები, ხოლო სოციალისტური საკუთრება ჩვენს ქვეყანაში ძირითად, წამყვან როლს ასრულებს.

ცხადია, რომ თანაბარ პირობებში პირადი ქონების ქურდობისათვის არ შეიძლება უფრო მკაცრი სასჯელი იქნას დანიშნული, ვიდრე სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის.

მაგრამ „სახელმწიფო და საზოგადო ქონების წაკრძალვის დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 10 იანვრის ბრძანებულების გამოცემის შედეგად მოქალაქეთა პირადი, წაკრძალვის ქონების მოპარვა, ისევე უფ-

რო მკაცრად, ვიდრე წვრილმანი დატაცება სახელმწიფო და საზოგადო ქონებისა.

ასე მაგალითად, მოქალაქის კუთვნილ ერთი ან ორი ქათმის მოპარვისათვის, რომლის ღირებულება 50 მანეთს არ აღემატება, 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ ითვალისწინებს ხუთიდან ექვს წლამდე პატიმრობას, მაშინ, როდესაც ასეთი რაოდენობით ქონების კოლმეურნეობიდან მოპარვისათვის 1955 წლის 10 იანვრის ბრძანებულება ითვალისწინებს შრომა-გასწორებით მუშაობას 6 თვიდან 1 წლამდე ან თავისუფლების აღკვეთას სამი თვის ვადით.

მართალია, სასამართლოს შეუძლია შეუფერდოს მსჯავრდადებულს სსკ 48 მუხლი, მაგრამ სასამართლო არ არის ვალდებული შეუფერდოს მას იმ უმდაბლეს სასჯელზე ნაკლებზე, რაც კანონით არის გათვალისწინებული.

აღნიშნული გარემოებათა გამო, ახალი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის დამუშავების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ 1955 წლის 10 იანვრის ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადო ქონების წვრილმანი დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სანქციის ნაწილში ერთგვარ წინააღმდეგობაშია 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებასთან — „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“.

ეს წინააღმდეგობა ახალ სისხლის სამართლის კოდექსში აცილებული უნდა იქნას.

უ. ღაბრიანიანი,

ბოგდანოვკის რაიონის სახალხო მოსამართლე


საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 47 მუხლის რედაქციის დაზუსტებისათვის

სასჯელთა შეეროებისა თუ დაფარვის პრინციპის მომარჯვების საკითხი დანაშაულის ერთობლიობის დროს ერთ-ერთი რთული საკითხია სასამართლო პრაქტიკაში. უთუოდ ამის გამო ეს საკითხი არაერთხელ იყო სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განხილვის საგანი.

ამ სირთულის ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს სისხლის სამართლის კოდექსის შესატყვისი მუხლების რედაქციის არასიზუსტე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი აკ მხრივ უფრო სრულია, ვინემ, ვთქვათ, რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსი, ჩვენი კოდექსი უთუოდ საჭიროებს ნაწილობრივ ცვლილებას, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ახალი პროექტის შედგენის დროს.

მოქ. მ-მა, რომელიც სასამართლომ დასაჯა გარკვეული დანაშაულისათვის, მაგრამ თავდებში დატოვა, ახალი დანაშაული ჩაიდინა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე. ამ უჩანსკენელი დანაშაულის გამო საქმის განხილვის დროს წამოიჭრა საკითხი—უნდა მოხდეს ორი სასჯელის შეერთება თუ დაფარვა, ე. ი. გამოყენებული უნდა იქნას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 46 თუ 47 მუხლი? ამ კოდექსის 47 მუხლის რედაქციის არა-



სიზუსტის გამო ზემოთაღნიშნული საკითხის უშეცდომოდ გადაწყვეტა არცთუ იოლი აღმოჩნდა.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 47 მუხლში იმ მომენტის აღსანიშნავად, რომლის დადგომის შემდეგაც ახალი დანაშაულის ჩადენა სასჯელთა შეერთებას იწვევს, გამოყენებულია გამოთქმა: „განაჩენის გამოტანის შემდეგ“. თუ ეს გამოთქმა სიტყვა-სიტყვით იქნება ვაგებული, ცხადია, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში სასჯელთა შეერთება უნდა მომხდარიყო, რადგან მოქ. მ-მ ახალი დანაშაული ჩაიდინა პირველ საქმეზე „განაჩენის გამოტანის“ შემდეგ. მაგრამ საკითხის ასეთი გადაწყვეტა ძალზე საეჭვოა, რომ სწორი იყოს.

ცნობილია, რომ განაჩენს კანონით გათვალისწინებული შედეგი მხოლოდ მის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მოჰყვება; უფრო ადრე ის იურიდიული ვაგებულის მქონე არ არის და მასასადამე გამოთქმა—„განაჩენის გამოტანა“ არ შეიძლება სიტყვა-სიტყვით გავიგოთ, არამედ საჭიროა ჩავწვდეთ კანონმდებლის ნამდვილ ნებას.

ამ საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის საჭიროა გადავავლოთ თვალი სსრ კავშირში შემავალი ზოგიერთი რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსებს. როგორც გამოთქმით განსაზღვრავენ ეს კოდექსები იმ მომენტს, რომლის დადგომის შემდეგ ახალი დანაშაულის ჩადენა იწვევს სასჯელთა შეერთებას?

რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსში ნახმარია გამოთქმა: „არ იყო გამოტანილი განაჩენი“, უკრაინის სსრ სისხლის სამართლის კოდექსში — „მას შემდეგ, რაც განაჩენი მიქცეული იქნა აღსასრულებლად“, ბელორუსიის სსრ სისხლის სამართლის კოდექსი ლაპარაკობს ახალი დანაშაულის ჩადენაზე „მსჯავრის დადების შემდეგ“, თურქმენეთის სსრ და აზერბაიჯანის სსრ სისხლის სამართლის კოდექსები, მსგავსად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსისა, იყენებენ გამოთქმას — „განაჩენის შემდეგ“.

ყველა ამ ერთიმეორესაგან განსხვავებულ გამოთქმაში უნდა ვიგულისხმოდ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტი. ამაზე მიუთითებს არა მარტო საბჭოთა სისხლის სამართლის პოლიტიკის ზოგადი პრინციპები და თეორიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, არამედ ისიც, რომ რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1933 წ. 16 დეკემბერს ეს საკითხი სწორედ ასე განმარტა. მართალია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 47 მუხლში გამოყენებულ ზემოაღნიშნული გამოთქმის შესახებ არ არსებობს მსგავსი სპეციალური განმარტება, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსი ამ მხრივ გამოჩაყლის არ უნდა წარმოადგენდეს.

საჭიროა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 47 მუხლის რედაქცია შეიცვალოს ნაწილობრივ და ნაცვლად გამოთქმისა: „განაჩენის გამოტანის შემდეგ“ გამოყენებული იქნას გამოთქმა: „განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ“.

ადვოკატი **ბ. ლეშავა**

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58¹⁸ მუხლის პირველი ნაწილი გადანიშნავს მოითხოვს

„საყოველთაო სამხედრო ვალდებულება კანონია.

სამხედრო სამსახური სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა რიგებში წარმოადგენს სსრ კავშირის მოქალაქეთა საპატიო მოვალეობას“ (სსრ კონსტიტუციის 132 მუხლი, საქ. სსრ კონსტიტუციის 145 მუხლი).

სსრ კავშირის მოქალაქეებს და კერძოდ ახალგაზრდობას უყვართ თავისი სამშობლო და მისი შეიარაღებული ძალები. ჩვენი ახალგაზრდობა დიდი აღფრთოვანებით მიდის საბჭოთა არმიის რიგებში, მასში მალაღია იმის შეგნება, რომ სამშობლოს დაცვა თვითეული მოქალაქის წმიდათა წმიდა მოვალეობაა.

თავდადებით იბრძოდა ჩვენი ახალგაზრდობა სამოქალაქო ომის პერიოდში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად—მუდამ უსაზღვრო იყო მისი გატაცება სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.

უსაზღვრო იყო ახალგაზრდობის თავდადება დიდ სამამულო ომში, იგი სიცოცხლეს არ ზოგავდა თავისი სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის. ვერაფერს ჩამოთვლის რამდენი საგმირო საქმეებია ჩაწერილი ამ ომის ისტორიის ფურცლებზე ახალგაზრდობის მიერ.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ჯერ კიდევ მოიპოვებინან ახალგაზრდები, რომლებიც ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგ გაწვევას თავს არიდებენ.

ასე მაგალითად, ზესტაფონის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევისაგან თავის არიდებისათვის საქ. სსრ 58¹⁸ მუხლის 1-ლი ნაწილით გასამართლებულია რამდენიმე პირი.

ისინი მსჯავრდადებულნი არიან, მაგრამ შრომა-გასწორებითი მუშაობა, რაც მათ მიესაჯათ, ჩემის აზრით, საკმარის სასჯელად ვერ ჩაითვლება სსრ კავშირის კონსტიტუციის 132 მუხლის მათ მიერ უხეშად დარღვევისათვის, ამიტომ, ვფიქრობ, ახალი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის დამუშავების დროს მიღებული უნდა იქნეს მხედველობაში, რომ ამჟამად მოქმედი საქ. სსრ სსრ 58¹⁸ მუხლის 1-ლი ნაწილის სანქცია—ერთ წლამდე შრომა-გასწორებითი მუშაობა—მსუბუქია ამ მუხლით ვათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

ა. შაკვაძე,

ზესტაფონის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე



ჯანმრთელობის დაზიანებით ან სიკვდილით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის ზოგიერთი საკითხი

ა. ლუღუნიშვილი, ი. გვათუა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები

საქართველოს სსრ სასამართლოებში განხილულ სამოქალაქო საქმეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იმ საქმეებს, რომლებიც აღძრულია ჯანმრთელობის დაზიანებით ან სიკვდილით გამოწვეული ზარალის ასანაზღაურებლად.

ზიანის მიყენებიდან გამომდინარე ვალდებულებებთან დაკავშირებული საკითხები ძირითადად წესრიგდება საქ. სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 403—415¹ მუხლებით. ამ საკითხების გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1943 წლის 10 ივნისის დადგენილებას „ზიანის მიყენებით წარმოშობილ საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ზოგ შემთხვევაში, როცა საკითხი უნდა გადაწყდეს სამოქ. სამ. კოდ. 403 ან 404 მუხლის საფუძველზე, სასამართლოები არასწორად იყენებენ 413 მუხლს. სამოქ. სამ. კოდ. 404 მუხლით დადგენილი წესის წინააღმდეგ, ზოგჯერ პასუხისმგებლობას აკისრებენ უშუალოდ იმ პირს, ვისაც მოძრაობაში მოჰყავს მომეტებული საფრთხის წყარო და არა ამ წყაროს მებატრონეს. არის შემთხვევები, როცა არ იცავენ რა 413 მუხლის მოთხოვნებს, სასამართლოები აკისრებენ ზარალის ანაზღაურებას წარმოება-დაწესებულებებს მაშინაც კი, როდესაც არაფრით არ არის დადგენილი, რომ მათი მოქმედება ან უმოქმედობა გახდა ამ ზიანის მიყენების მიზეზი. ვხვდებით ზარალის ოდენობის არასწორი განსაზღვრის ფაქტებსაც.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 403 მუხლის არასწორი შეფარდება

სამოქ. სამ. კოდ. 403 მუხლით დადგენილია ზარალის ანაზღაურების საერთო წესი, მაგრამ კანონში ცალკეა გათვალისწინებული პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რაც მომეტებული საფრთხის წყაროთია გამოწვეული (404 მუხლი) ან რასაც დამაზღვეველი დაზღვეულს მიაყენებს (413 მუხლი). ზოგიერთი სასამართლო, ნაცვლად 404 და 413 მუხლებისა, შეცდომით ხელ-

მძღვანელობს 403 მუხლით და უსაფუძვლოდ აკისრებს პასუხისმგებლობას დამაზღვეველს.

გ. ა. მერაბიშვილი, რომელიც მუშაობდა თბილისის სასადილოების ტრესტის ქსელში მებუფეტედ, დაზიანდა იმ დროს, როცა უცნობი პირის მოტოციკლით პურის გადმოსაწიდად მიდიოდა და მოტოციკლი გადაბრუნდა. მან აღძრა სარჩელი სასადილოების ტრესტის მიმართ, რომლითაც მოითხოვა მიყენებული ზარალის ანაზღაურება. სახ. სასამართლომ მერაბიშვილის სარჩელი დააკმაყოფილა და დააკისრა მოპასუხეს 3735 მანეთის გადახდა. სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის კანონიერი, ვინაიდან ზიანის მიმყენებელი ამ შემთხვევაში არის არა დამაზღვეველი, ე. ი. სასადილოების ტრესტი, არამედ მოტოციკლის პატრონი, რომელიც საქმეში სრულიად არ ყოფილა ჩაბმული. რამდენადაც ზიანი მიყენებულია არა დამზღვეველის მიერ, არამედ მომეტებული საფრთხის საშუალებით, პასუხისმგებლობა განისაზღვრება 404 და არა 403 მუხლის საფუძველზე. სასადილოების ტრესტს ზარალის ანაზღაურება მაშინ დაეკისრებოდა, უკეთუ დადგენილი იქნებოდა, რომ მოსარჩელის დაზიანების მიზეზი მოპასუხის დანაშაულებრივი ქმედობა ან უმოქმედობა იყო (413 მუხლი).

საწინააღმდეგო ეპიდემიურ სადგურში ვ. ფ. ბოგდანოვს გაუკეთეს ტიფის საწინააღმდეგო ნემსი, რის შედეგადაც მან მთლიანად დაკარგა შრომის უნარი. ბოგდანოვმა აღძრა სარჩელი ხსენებული სადგურის მიმართ და მოითხოვა მიყენებული ზარალის ანაზღაურება. სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ მოსარჩელის დაზიანება თიოქოს არ იყო გამოწვეული მოპასუხის ბრალით. საკასაციო კოლეგიამ გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

სასამართლოს გადაწყვეტილება არ იყო მართებული, რადგანაც დამაზღვეველს არ მიუყენებია ბოგდანოვისათვის ზიანი, მაშასადამე, პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაჭრილიყო 403 მუხლის შესაბამისად და არა 413 მუხლით. მოპასუხის ბრალის დადგენის საკითხს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ჰქონდა.

403 მუხლის საფუძველზე წარმოშობილი სარჩელის განხილვის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ ბრალი ამ შემთხვევაში წინასწარ დადგენილად არის აღიარებული, ე. ი. მოსარჩელე არ არას ვალდებული დაამტკიცოს ფაქტი, რომ ის მოპასუხის ბრალით დაზიანდა. მოპასუხე კი, პირიქით, ვალდებულია დაამტკიცოს, რომ ზიანი არ შეექმლო აეცდინა ან უფლება-მოსილი იყო მიეყენებინა იგი, ან კიდევ, ზიანი შედეგი იყო თვით დაზარალებულის განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისა.

რამდენადაც მოპასუხემ ვერ მიუთითა კანონით გათვალისწინებულ ვერც ერთ გარემოებაზე, რომელიც გაანთავისუფლებდა მას პასუხისმგებლობისაგან, სასამართლოს არ უნდა ეთქვა სარჩელზე უარი.

404 მუხლის არასწორი შეფარდება

404 მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას ისეთი მოქმედებისათვის, რასაც თან სდევს მომეტებული საფრთხე გარშემო მყოფთათვის.

პასუხისმგებლობა ამ მუხლით დადგება მხოლოდ მაშინ, როცა ზიანი მიყენებულია მომეტებული საფრთხის წყაროთი და ამავე დროს დაზარალებული არ არის დაზღვეული ზიანის მიმყენებლის მიერ. საკითხი დამაზღვეველის მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ გადაწყდება 413 მუხლის

საფუძველზე, მიუხედავად იმისა, ზიანი მიყენებულია მომეტებული საფრთხის წყაროს საშუალებით, თუ უამისოდ.

404 მუხლით ზიანის ანაზღაურებისას პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს არა იმ პირს, რომელსაც მოქმედებაში მოყავდა მომეტებული საფრთხის წყარო, არამედ საფრთხის წყაროს მებატონეს. ამ უკანასკნელს თავის მხრივ უფლება რჩება მოთხოვოს ზარალის ანაზღაურება იმ პირს, ვინც თავისი მოქმედებით ზიანი მიაყენა დაზარალებულს (რეგრესი).

სასამართლოები ზოგჯერ არასწორად წყვეტენ 404 მუხლის საფუძველზე აღძრულ საქმეებს, აკისრებენ რა პასუხისმგებლობას არა მომეტებული საფრთხის წყაროს პატრონს, არამედ იმ პირს, ვისაც მოძრაობაში მოყავდა მომეტებული საფრთხის წყარო.

ქ. ბათუმის საზღვებტრესტის ქსელის ექსპედიტორმა კილაძემ მოძრაობაში მოიყვანა ეზოში მდგარი ავტომანქანა, რომელიც ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას ეკუთვნოდა და დააჯახა იგი მოქალაქე ხოჯაშვილს, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი გარდაიცვალა. გარდაცვალებულის ძმამ ვ. ს. ხოჯაშვილმა მოითხოვა დასაფლავების ხარჯების ანაზღაურება. სახალხო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა და ბათუმის საზღვებტრესტს დააკისრა 2225 მანეთის გადახდა. აჭარის ასსრ უმაღლესმა სასამართლომ ეს გადაწყვეტილება ვააუქმა, რის შემდეგ სახალხო სასამართლომ ხელმეორედ განიხილა საქმე და ზარალის ანაზღაურება ამჯერად დააკისრა მსჯავრდებულ კილაძის კომლს.

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში სახალხო სასამართლომ გამოიტანა არასწორი გადაწყვეტილება, ვინაიდან სამოქ. სამ. კოდ. 404 მუხლის თანახმად, პასუხისმგებლობა ზარალისათვის, რომელიც მომეტებული საფრთხის წყაროთია გამოწვეული უნდა დაეკისროს ამ წყაროს მებატონეს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 413 მუხლის არასწორი შეფარდება

სხეულის დაზიანებით ან სიკვდილით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებაზე სამოქალაქო საქმეთა უმრავლესობა აღძრულია სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების დროს დამაზღვეველის ბრალით დაინვალიდებულ მუშა-მოსამსახურეთა მიერ.

უბედური შემთხვევის გამო სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების დროს შრომის უნარდაკარგული მუშები და მოსამსახურეები უზრუნველყოფილნი არიან პენსიებით დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორია მათი შრომის სტაჟი და რით არის გამოწვეული დაინვალიდება—წარმოების ბრალით თუ დაზარალებულის გაუფრთხილებლობით.

სამოქ. სამ. კოდ. 413 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი საზღაური მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ დადგენილი იქნება, რომ ზიანი გამოწვეული იყო დამაზღვეველის მოქმედებით ან უმოქმედობით. ამ კატეგორიის საქმეთა შესწავლა გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ სასამართლოები წარმოება-დაწესებულებებს აკისრებენ დამატებითი საზღაურის გადახდას, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი კავშირი არ არის დადგენილი.

ა/კ. რკინიგზის სააღმშენებლო ტრესტის ქვის ხელოსანმა ვ. ს. ხეთაგურაშვილმა, რომელსაც მუშაობის დროს თვალი დაუზიანდა, მოითხოვა პენსიასა

და საშუალო ხელფასს შორის სხვაობა. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი ისე, რომ არ გაურკვევია, იყო თუ არა ხეთაგურაშვილის დაზიანება სააღმშენებლო ტრესტის მოქმედების ან უმოქმედობის შედეგი.

1955 წლის 30 ივნისს ჭიათურის მარგანტრესტის ლენინის სახელობის მაღაობაში მუშა-ამფეთქებელი მ. მ. დეკანოსიძე დასახიჩრდა მოპასუხის ბრალით. მოპასუხე მარგანტრესტს დაეკისრა პენსიასა და ხელფასს შორის სხვაობის გადახდა. 1956 წლის 22 ივლისს მ. მ. დეკანოსიძე გარდაიცვალა, რის გამოც საზღაურის გადახდა შეწყდა. გარდაცვალებულის მეუღლემ მოითხოვა, რომ მოპასუხეს კვლავ დაეკისრებოდა იმ თანხის გადახდა, რასაც მ. მ. დეკანოსიძე სიცოცხლეში იღებდა. სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი ისე, რომ არ გამოარკვია, იყო თუ არა დეკანოსიძის სიკვდილი იმ დაზიანების შედეგი, რაც მან მიიღო 1955 წელს მაღაობაში მუშაობის დროს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1943 წლის 10 ივნისის დადგენილების მე-12 მუხლის შესაბამისად, უკეთეს საქმის გარემოებათა მიხედვით დადგენილი იქნება, რომ ზარალი გამოწვეულია არა მარტო ზიანის მიმყენებლის არასწორი მოქმედებით, არამედ თვით დაზარალებულის უხეში დაუდევრობით ან უხეში გაუფრთხილებლობით, სასამართლოს შეუძლია ზიანის მიმყენებელს დაეკისროს ზარალის ანაზღაურება შერეული პასუხისმგებლობის პრინციპით თვითეთელი მხარის ბრალეულობის ხარისხის გათვალისწინებით.

ზოგჯერ სასამართლოებს არ გამოაქვთ კანონის ამ მოხთოვნის შესაბამისი გადაწყვეტილება.

კასპის ცემენტის ქარხნის მუშას ე. ი. სოლოლაშვილს მძიმე ტვირთის აწვევის დროს უეცრად თვალთ დაუბნელდა. როდესაც იგი გონს მოვიდა, მხედველობა საგრძნობლად დაქვეითებული აღმოაჩნდა. სოლოლაშვილმა მოითხოვა, რომ მის სასარგებლოდ კასპის ცემენტის ქარხანას დაეკისრებოდა პენსიასა და ხელფასს შორის სხვაობის გადახდა. სასამართლო-სამედიცინო კომისიის დასკვნით სოლოლაშვილის მხედველობის დაქვეითება არ იყო დაკავშირებული საუშაოზე სიმძიმის აწვევასთან.

სახალხო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა შერეული პასუხისმგებლობის პრინციპით, ხოლო საკასაციო კოლეგიამ გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

ამ საქმის განხილვის დროს სასამართლომ დაარღვია სამოქ. სამ. კოდექსის 413 მუხლის მოთხოვნა, არ გაარკვია რა მოპასუხის როლი მოსარჩელის დაზიანების საქმეში.

საზღაურის ოდენობის განსაზღვრა

ზოგიერთი სასამართლო უგულებელყოფს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1943 წლის 10 ივნისის დადგენილების მე-6 მუხლს ზარალის ოდენობის განსაზღვრის წესის შესახებ.

გარდაცვალებულის კმაყოფაზე მყოფ პირთა ზარალის განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება კმაყოფაზე მყოფთა საერთო რაოდენობა, მათ შორის წრომისუნარიანებისაც, მაგრამ საზღაური მიეცემა მხოლოდ წრომისუნარმოკ-

ლებულ პირებს. ეს ღებულება გამომდინარეობს სამოქ. სამ. კოდექსის 40-ე მუხლიდან.

„ხაკტრანსტროის“ ბრალით დაიღუპა კ. ე. კვანტრიშვილი, რომლის მეუღლემ მოითხოვა მარჩენალის დაღუპვით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება.

საქალხო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა და მოპასუხეს დააკისრა ყოველთვიურად 127 მანეთის გადახდა. სასამართლომ არასწორად განსაზღვრა ზარალის ოდენობა. კვანტრიშვილს, რომლის ხელფასი შეადგენდა 891 მანეთს, კმაყოფაზე ჰყავდა ოთხი სული, ე. ი. თითოეულ სულზე მოდიოდა 173 მანეთი. მოსარჩელეს უნდა მისცემოდა მხოლოდ სამი წილი, ვინაიდან ერთი წილი მოდიოდა თვით გარდაცვალებულზე, ერთი კი გარდაცვალებულის დაზე, რომელიც შრომისუნარიანია. მაშასადამე, მოსარჩელეს უნდა მიეღო სულ 178 მან. გამრავლებული სამზე, ე. ი. 534 მანეთი. ვინაიდან კმაყოფაზე მყოფ პირთა პენსია 549 მანეთი ფარავს ამ თანხას, სასამართლოს დამატებითი საზღაურის მიცემაზე უარი უნდა ეთქვა.

ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის მწვრეველმა დ. ს. კირკიტაძემ 1757 წელს დაკარგა საერთო შრომის უნარი 40%-ით, ხოლო პროფესიონალური — 100%-ით. დაზარალებულის სარჩელის საფუძველზე სასამართლომ დააკისრა მოპასუხეს ყოველთვიურად ხელფასსა და პენსიას შორის სხვაობის 1628 მანეთის გადახდა. კირკიტაძის საშუალო ჩელფასი უდრიდა 2528 მანეთს. დაზიანებასთან დაკავშირებით მას დაენიშნა პენსია 900 მანეთის ოდენობით. საშუალო ხელფასს უნდა გამოკლებოდა შენარჩუნებული შრომის უნარის 40% და პენსია, რის შემდეგ რჩება 1468 მანეთი, ე. ი. მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა არა 1628, არამედ 1468 მანეთის გადახდა.

სახ. სასამართლომ დააკმაყოფილა ა. ნ. ტიმოფეევის სარჩელი სასურსათო საქონლის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მიმართ სხეულის დაზიანებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებაზე ისე, რომ მას ხელთ არ ჰქონდა ცნობა მოსარჩელის უკანასკნელი 12 თვის შრომის ხელფასის ოდენობის შესახებ.

ზარალის რაოდენობის განსაზღვრით დაღვენილი წესი მოითხოვს, რომ საშუალო ხელფასს გამოაკლდეს შენარჩუნებული საერთო შრომის უნარის შესაბამისი პროცენტული რაოდენობა. საშუალო ხელფასი იანგარიშება დაზარალებულის მიერ დაზიანებამდე მიღებული უკანასკნელი 12 თვის ხელფასის 1/2-ზე გაყოფით.

ხანდაზმულობის და იმ ვადის შესახებ, რა დროდნაც უნდა მიესაჯოს პერიოდული გადასახადი, უკეთუ გასულია სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადად ზიანის მიყენებით წარმოშობილ ვალდებულებათა საქმეებზე დაწესებულია 3 წელი. არსებობს უფრო შემოკლებული ვადაც — 2 წელი, იმ შემთხვევისათვის, როცა ზიანი მიყენებულია მომეტებული საფრთხის წყაროს მიერ და სარჩელი აღძრულია სახელმწიფო დაწესებულებების მიმართ.

სამოქ. სამ. კოდექსის 49 მუხლის შესაბამისად ეს ვადა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება იქნას გაგრძელებული, უკეთუ სასამართლო დაინახავს რომ საფუძვლიანია ის მიზეზი, რის გამოც გადაცილებულია ხანდაზმულობის

ვადა. მაგრამ კითხვა ისმის, რა დროიდან უნდა მიეცეს მოსარჩელეს საზღაურის იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო აღადგენს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადას. ეს საკითხი გადაწყვეტილი იქნა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მიერ. ასეთ შემთხვევაში პერიოდული გადასახადი მიეცემა სარჩელის აღძვრის დროიდან. მაგრამ სასამართლოები ყოველთვის ასე არ წყვეტენ ამ საკითხს.

გურჯაანის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს თ. ზ. გოგიჩაშვილს 1950 წელს სილოსის დამჭრელ მანქანაში მოუყვა ხელი და დასახიჩრდა. 1957 წელს თ. ზ. გოგიჩაშვილმა აღძრა სარჩელი კოლმეურნეობის მიმართ და მოითხოვა ზარალის ანაზღაურება. სახალხო სასამართლომ მოსარჩელეს აღუდგინა სასარჩელო ვადა და მოპასუხეს დააკისრა უკანასკნელი სამი წლის საზღაურის—18.190 მანეთის ერთდროულად, ხოლო ყოველთვიურად 450 მანეთის გადახდა. არსებული წესის თანახმად კი სარჩელი უნდა დაეკმაყოფილებულიყო მისი აღძვრის დროიდან.

კასპის ცემენტის ქარხნის მუშა თ. ე. სოლოლაშვილი დაზიანდა 1954 წლის 20 ნოემბერს. სარჩელი ზარალის ანაზღაურების შესახებ მან აღძრა 1957 წლის ივლისში. სახალხო სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა ორი უკანასკნელი წლის საზღაურის ერთდროული გადახდა და გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ მოსარჩელეს ხანდაზმულობის ვადა უნდა აღედგინოსო. ეს გადაწყვეტილება საკასაციო კოლეგიის მიერ დატოვებულია ძალაში. როგორც ჩანს, სასამართლომ ამ შემთხვევას შეუფარდა 404 მუხლის შენიშვნით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა, რაც არ არის სწორი. აქ საქმე უნდა გადაწყვეტილიყო 413 მუხლის შესაბამისად, იმის გამო, რომ სარჩელი აღძრული იყო დაზღვეულის მიერ მისი დამაზღვეველის მიმართ. გარდა ამისა, რამდენადაც 413 მუხლის თანახმად დაწესებულია ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადა, ეს ვადა ვაშვებული არ ყოფილა, სასამართლოს სარჩელი დაზიანების დროიდან უნდა დაეკმაყოფილებინა.

პერიოდული საზღაურის გადახდის ვადები

საკითხს პერიოდული საზღაურის გადახდის ვადების შესახებ სასამართლოები სხვადასხვაგვარად წყვეტენ.

ვ. ი. ჩმიხი მოითხოვდა, რომ „სტალკონსტრუქციის“ რუსთავის სამმართველოს ჭიათურის უბანს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა დასახიჩრებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება. საექიმო კომისიის დასკვნის თანახმად ჩმიხის ვადამოწმება უნდა მომხდარიყო ერთი წლის შემდეგ. სახალხო სასამართლომ განიხილა ეს საქმე და მოპასუხეს პერიოდული საზღაურის გადახდა დააკისრა მდგომარეობის შეცვლამდე.

სხვაგვარად გადაწყვიტა სასამართლომ საქმე მ. დ. ამირანაშვილის სარჩელის გამო. მოსარჩელე მოითხოვდა, რომ ა/კ. მეტალურგმშენს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა დაზიანებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება. სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა რა სარჩელი, მოპასუხეს დააკისრა პერიოდული საზღაურის გადახდა 1957 წლის 8 დეკემბრამდე, ე. ი. იმ დრომდე, როცა საექიმო კომისიის დასკვნის თანახმად მისი ვადამოწმება უნდა მომხდარიყო.

ჩვენის აზრით, უკანასკნელი სასამართლო პრაქტიკა სწორია და ამის შემთხვევაში უნდა მოხდეს ყველა გადაწყვეტილებათა გამოტანა, ვინაიდან საექსპერტო კომისია საჭიროდ ცნობს რა დაზარალებულის გადამოწმებას გარკვეული ვადის შემდეგ, ეს იმას ნიშნავს, რომ დაზარალებულის ჯანმრელობაში გარკვეული დროის შემდეგ მოსალოდნელია ცვლილებები, რაც თავისთავად იმოქმედებს საზღაურის რაოდენობის შემცირებაზე ან გადიდებაზე და როდესაც მოპასუხეს საზღაურის გადახდა დაეკისრება გარკვეული დროით, მაშინ თვით დაზარალებული მიმართავს გადამოწმებას და აღარ ექნება ადგილი ზოგ შემთხვევაში თანხების ზედმეტად გაცემას.

პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ მოქალაქეთა მიმართ უბედური შემთხვევების გამომწვევი მიზეზი უმეტესად არის წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელების მიერ შრომის ტექნიკური უშიშროების წესების დაუცველობა, რასაც ადამიანთა დაინვალიდებასა და მსხვერპლთან ერთად სახელმწიფო ზარალიც მოსდევს.

როგორც აღნიშნული იყო, სასამართლოები ამ საქმეების განხილვის დროს ზოგჯერ არღვევენ კანონით დადგენილ წესს და უსაფუძვლოდ აკისრებენ წარმოება-დაწესებულებებს საზღაურის გადახდას, ხოლო როცა ადგილი აქვს წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ შრომის ტექნიკური უშიშროების წესების უგულვებელყოფას, მათ მიმართ კერძო დადგენილებები არ გამოაქვთ.



საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფართული კენჭისყრით¹ აირჩევიან და სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ერთპალატიან ორგანოებს წარმოადგენენ.

სახალხო სუვერენიტეტის ლენინურ პრინციპებზე აგებული სახალხო დემოკრატიული საარჩევნო სისტემები ყველა პირობას ქმნიან ჭეშმარიტად დემოკრატიული წარმომადგენლობითი ორგანოების ჩამოყალიბებისათვის. სახალხო კრების წევრები თავიანთ საქმიანობაზე პასუხს აგებენ ხალხის წინაშე. ამომრჩევლებს ყოველთვის შეუძლიათ უკან გაიწვიონ დეპუტატი, რომელიც არ ამართლებს მათ ნდობას, და აირჩიონ ღირსეულნი.

არჩევნებში მონაწილეობას იღებს ყოველი სრულწლოვანი მოქალაქე, მიუხედავად ეროვნულ ჯგუფობისა, რასობრივი კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა და მდგომარეობისა, სარწმუნოებისა და წარსული მოღვაწეობისა. გამონაკლისს ამ საერთო წესიდან შეადგენენ სასამართლოს მიერ უფლებამოსილი პირები და ჭკუაზე შეშლილები.


სამუდამოდ მოისპო სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ძველი რეაქციული სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელიც, ექსპლოატატორთა ინტერესების შესაბამისად, წამყვან როლს აღმასრულებელ ორგანოებს მიაკუთვნებდა. სახალხო კრებები და სახალხო საბჭოები² სხვა სახელმწიფო ორგანოთა შორის წამყვან, გადამწყვეტ როლს ასრულებენ პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელებაში, უშუალოდ გამოხატავენ ამ დიქტატურას და სახალხო დემოკრატიული სახელმწიფოს პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ.

სახალხო დემოკრატიის რესპუბლიკებმა, როგორც უნიტარულმა სოციალისტურმა სახელმწიფოებმა, უარყვეს რეაქციული ბურჟუაზიული ორპალატიანი სისტემა. ცალკეულ რესპუბლიკების ტერიტორიაზე მცხოვრებნი ეროვნული უმცირესობანი თავიანთი სპეციფიკური ინტერესების უმაღლეს ორგანოში წარდგენის მიზნით ირჩევენ ამ ეროვნების ადამიანებს. კომპაქტურად მცხოვრები ეროვნული უმცირესობანი ყველა რესპუბლიკაში ავტონომიის უფლებით სარგებლობენ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონმდებლობა, მაგალითად, არა მარტო უზრუნველყოფს, ეროვნებათა უმცირესობების წარმომადგენლების არჩევას სახალხო წარმომადგენელთა სრულიად ჩინეთის კრებაში, არამედ ზოგიერთ უპირატესობასაც კი აძლევს განსაკუთრებით მცირერიცხოვან ეროვნებებს. თავისებურადაა გადაწყვეტილი ეს საკითხი ჩეხოსლოვაკიაში, სადაც სლოვაკელი ხალხი აირჩევს თავის წარმომადგენლებს, როგორც რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოში, ისე თავის ეროვნულ სახელმწიფო ორგანოში ე. წ. სლოვაკიის ეროვნულ საბჭოში: ეს უკანასკნელი სლოვაკიის ფარგლებში საკანონმდებლო უფლებებით სარგებლობს და კონსტიტუციის თანახმად დამორჩილებულია სრულიად ჩეხოსლოვაკიის საკანონმდებლო ორგანოსადმი.

ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები მთელი მოსახლეობის მიერ აირჩევიან, მთელი მშრომელი ხალხი ანიჭებს მათ უმაღლეს ძალაუფლებას, ამიტომ

¹ მნიშვნელოვანი თავისებურებანი ახასიათებენ ჩინეთის, ოუშინეთის და ნაწილობრივ ვიეტნამის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკების საარჩევნო სისტემებს.

² ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.



სახალხო კრებები სოციალისტური სახელმწიფოს და ხალხის სუვერენიტეტის უშუალო მატარებელი არიან. სახელმწიფოს სხვა ორგანოთა შორის ისინი გამოირჩევიან განსაკუთრებული ადგილით, წარმართველი როლით, უმაღლესი უფლებამოსილებით და თავიანთი აქტების უზენაესი იურიდიული ძალით.

უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია სახალხო კრებებს საკანონმდებლო რწმუნებანი. ვინაიდან კანონს სოციალისტურ საზოგადოებაში უაღრესად დიდი მარგანიზებელი როლი აქვს, კონსტიტუციებმა კანონმდებლობა სახალხო კრებების განსაკუთრებულ კომპენტენციად გამოაცხადეს. ამით მიღწეულია კანონების იურიდიული სიძლიერე და სტაბილობა.

სახალხო კრებებს ეკუთვნის ერთიანი, განუყოფელი სახელმწიფოებრივი ალაუფლება. ყველა სხვა სახელმწიფო ორგანოები ყალიბდებიან მათი გადაწყვეტილებების საფუძველზე და ექვემდებარებიან მათ. სახალხო კრება აირჩევს კრების პრეზიდიუმს, პრეზიდენტს (სადაც ასეთი არსებობს), უმაღლეს სასამართლოს, ქმნის მთავრობას, ნიშნავს გენერალურ პროკურორს და აწარმოებს უმაღლეს კონტროლს ყველა სახელმწიფო ორგანოზე.

ევროპისა და აზიის სოციალისტურმა სახელმწიფოებმა, საბჭოთა კავშირისაგან განსხვავებით და ამავე დროს მისი ძმური დახმარების შედეგად, არსებობის პირველი წლებიდანვე შესძლეს ფართოდ გაეშალათ სამეურნეო-ორგანიზაციული და კულტურულ-აღმშრდელობითი ფუნქცია. რამდენად დიდია სახალხო კრებების როლი ამ ფუნქციის განხორციელებაში, ეს იქიდან ჩანს, რომ კანონმდებლობა მათ განსაკუთრებულ უფლებად აცხადებს სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვას და დამტკიცებას.

ქვეშარიტად დემოკრატიულ პრინციპებზეა დამყარებული ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მუშაობის წესი. სახალხო კრებების მოღვაწეობის ძირითადი ფორმა სესიებია. კონსტიტუციები ადგენენ მათი ჩატარების აუცილებელ ვადებს¹.

კრების სხდომა უფლებამოსილად ჩაითვლება, თუ მას დეპუტატთა შემადგენლობის ნახევარზე მეტი ესწრება². გადაწყვეტილებანი მიიღებიან დამსწრეთა ხმის უბრალო უმრავლესობით. განსაკუთრებულ შემთხვევაში, მაგალითად, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში სავალდებულოა კვალიფიციური უმრავლესობა. სხდომები ტარდება ღიად, მაგრამ უკეთეს ამას ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვენ, შეიძლება ჩატარდეს დახურული სხდომებიც.

დემოკრატიზმით გამსჭვალულია დეპუტატის უფლებები. მას შეუძლია გამოვიდეს კამათში, შეიტანოს კონკრეტული წინადადებანი, კანონპროექტები, კენჭი უყაროს მათ, მონაწილეობა მიიღოს სახალხო კრების ორგანოების არჩენებში. სესიის მსვლელობის დროს იგი სარგებლობს დეპუტატის ე. წ. შეკითხვის უფლებით.

სახალხო კრებები ერთსა და იმავე დროს საკანონმდებლო და აღმასრუ-

¹ ჩინეთის და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკებში, ვერმანის დემოკრატიულ რესპუბლიკაში—წელიწადში ერთხელ, სხვა რესპუბლიკებში—არანაკლებ ორჯერ, რიგგარეშე სესიები ტარდება კომპეტენტური ორგანოების ან დეპუტატთა ჯგუფების ინიციატივით.

² სახალხო წარმომადგენელთა სრულიად ჩინეთის კრება იღებს დადგენილებებს ყველა არჩეულ დეპუტატთა ხმების უმრავლესობით.




ლებელი ფუნქციების მქონე, „მომუშავე დაწესებულებებია“. ეს, მარქსის მიერ
 ჯერ კიდევ პარიზის კომუნის მაგალითზე შენიშნული თვისება, სოციალისტური
 სახელმწიფოს ყველა ფორმის დამახასიათებელი ნიშანია. სახალხო კრებები
 აწარმოებენ უმაღლეს კონტროლს ყველა სხვა სახელმწიფო ორგანოებზე და
 შეუძლიათ მოსთხოვონ მათ ანგარიშის ჩაბარება. უმაღლესი ორგანოს აღმას-
 რულებელი კომპეტენცია განსაკუთრებით მკაფიო გამოხატულებას პოულობს
 სახალხო კრების სარევიზიო და საგამომძიებლო კომისიებს მუშაობაში, დე-
 პუტატის მოღვაწეობაში სესიათაშორის პერიოდში. დეპუტატები მჭიდროდ
 არიან დაკავშირებული მშრომელ მასებთან, ვინაიდან როგორც წესი
 თვითონ მშრომელები არიან. დეპუტატობა მათი მოვალეობაა, ხალხის დიდი
 ნდობის შედეგად მოპოვებული წოდება, რომელიც მათ საპატიო უფლებას
 აძლევს ამომრჩეველთა განაწესის თანახმად წარმოადგინონ და გაატარონ
 მშრომელების ნება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში. სესიების
 დამთავრების შემდეგ დეპუტატი თავის სამუშაო ადგილს უბრუნდება და
 უშუალოდ მონაწილეობს მიღებული კანონების განხორციელებაში. უმაღლესი
 წარმომადგენლობითი სახელმწიფო ორგანოს წევრის უფლებები მას შე-
 საძლებლობას აძლევს სათანადო რეაგირება მოახდინოს ყოველ დარღვევაზე,
 ამომრჩეველთა შენიშვნებზე და წინადადებებზე.

სესიები სახალხო კრებების მოღვაწეობის ძირითადი, მაგრამ არა ერთად-
 ეოთი ფორმაა. სესიათაშორის პერიოდში განსაკუთრებულად დიდმნიშვნელო-
 ვანია სახალხო კრების მუდმივმოქმედი ორგანოს—პრეზიდიუმის როლი. სა-
 ხალხო კრებების მიერ არჩეული პრეზიდიუმები მთელ საქმიანობაში მათ წინა-
 შე პასუხისმგებელი კოლექტიური ორგანოებია, რომლებიც სესიებს შორის
 სახალხო კრებების მოვალეობას ასრულებენ, გარდა ამ უკანასკნელთა განსა-
 კუთრებული კომპეტენციისა. ისინი არჩევიან კრების რწმუნების ვადით,
 ე. ი. სანამ ახალი მოწვევის სახალხო კრება არ შექმნის ახალ პრეზიდიუმს.
 გამონაკლისს შეადგენს ჩეხოსლოვაკიის ეროვნული კრების პრეზიდიუმი, რო-
 მელიც ყოველწლიურად ირჩევა.

ზოგიერთ რესპუბლიკაში (ჩეხოსლოვაკიის, სახალხო რესპუბლიკა, ვიეტნამისა
 და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკები) პრეზიდიუმებთან ერთად
 არსებობს, აგრეთვე, პრეზიდენტის ინსტიტუტი, რესპუბლიკის თავმჯდომარის
 თანამდებობა (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში). პრეზიდენტის ინსტი-
 ტუტი სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში ძირეულად განსხვავდება იმავე
 ინსტიტუტისაგან ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, როგორც თავისი
 კლასობრივი არსითა და დანიშნულებით, ისე იურიდიული სტატუსით.
 სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში იგი დამორჩილებულია უმაღლესი წარმო-
 მადგენლობითი ორგანოსადმი, ირჩევა მის მიერ და პასუხს აგებს მის წინაშე.
 მას არ შეუძლია დაუპირისპირდეს სახალხო კრებას.

კანონმდებლობანი პრეზიდიუმების კომპეტენციას მიაკუთვნებენ არჩევენ-
 ბის დანიშვნას, სახალხო კრებების სესიების მოწვევას (ჩეხოსლოვაკიის სა-
 ხალხო რესპუბლიკაში ეს პრეზიდენტს ევალება), ბრძანებულებების გამოცე-
 მას, საკანონმდებლო ინიციატივას, კანონების განმარტებას. მათი მოვალეობაა
 ვამოაქვეყნონ სახალხო კრებების მიერ მიღებული კანონები, წარმოადგინონ
 სახალხო რესპუბლიკა საერთაშორისო ურთიერთობაში, დანიშნონ რესპუბლი-



კების დიპლომატიური წარმომადგენლები და მიიღონ უცხო სახელმწიფოებთან წარმომადგენლები. იმ რესპუბლიკაში, სადაც არის პრეზიდენტი, ყველა ეს საკითხი მისი მოვალეობაა (ჩინეთში — რესპუბლიკის თავმჯდომარისა). პრეზიდენტების კომპენტენციაში შედის აგრეთვე მთავრობის მიერ დადებული წერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაცია და დენონსაცია. ჩეხოსლოვაკიაში და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საერთაშორისო ხელშეკრულების დადების (ჩეხოსლოვაკიაში, აგრეთვე, რატიფიკაციის) უფლებით სარგებლობს პრეზიდენტი¹. საერთო წესით, მთავრობის თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე პრეზიდენტები ნიშნავენ და ანთავისუფლებენ მთავრობის ცალკეულ წევრებს. ეს აქტები შემდგომში სახალხო კრებების დამტკიცებას საჭიროებენ. ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკაში მთავრობას აღგენს პრეზიდენტი, მაგრამ მთავრობის შემადგენლობა დამტკიცებულად ჩათვლება თუ ეროვნული კრება მას ნდობას გამოუცხადებს. პრეზიდენტს შეუძლია დაესწროს მთავრობის სხდომას და თავმჯდომარეობდეს მას. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელს აწერს დეკრეტს მთავრობის დანიშვნის შესახებ და თვითონ თავმჯდომარეობს მას. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ღებულობს მთავრობის წევრებისაგან ფიცს. სახალხო კრებების პრეზიდენტების სხვა რწმუნებათა შორის საყურადღებოა, მაგალითად, ჩეხოსლოვაკიის ეროვნული კრების პრეზიდენტის უფლება მთავრობის წინადადებით და პრეზიდენტის თანხმობით მიიღოს გადაუდებელი ღონისძიება, რომლისთვისაც სხვა შემთხვევაში აუცილებელია კანონი. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების პრეზიდენტს გარკვეულ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს კანონი, ხოლო ჩინეთის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მუდმივ კომიტეტს—გამოიტანოს ე. წ. „დანსინფაუი“—კანონი კერძო საკითხების შესახებ. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველივე ეს არ ნიშნავს პრეზიდენტებზე საკანონმდებლო ფუნქციების გადაცემას, ვინაიდან ჩეხოსლოვაკიისა და ვიეტნამში სათანადო აქტების მიღება ხდება აუცილებლობის დროს, ისინი მხოლოდ დროებით ინარჩუნებენ კანონის ძალას და უსათუოდ საჭიროებენ სახალხო კრებების მიერ დამტკიცებას, რის გარეშე ყოველგვარ ძალას კარგავენ. რაც შეეხება „დანსინფაუის“, იგი არ ცვლის კანონს—გამოიცემა სახელმწიფო მშენებლობის ცალკეულ, კერძო საკითხზე, კანონის დამატების ან განმარტების მიზნით.

საყურნალო სტატიაში ჩვენ არა გვაქვს საშუალება დაწვრილებით განვიხილოთ პრეზიდენტის ინსტიტუტი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ მაგალითად ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და, განსაკუთრებით, ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკაში, პრეზიდენტი ფრიად ვრცელი რწმუნებით სარგებლობს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ორივე რესპუბლიკაში პრეზიდენტს შეუძლია გარკვეული ვადის განმავლობაში უკან დაუბრუნოს ეროვნულ კრებას მიღებული კანონი და ითხოვოს მისი გადასინჯვა. თუ კრება ახალი კენჭისყრით ადასტურებს მიღებულ გადაწყვეტილებას, პრეზიდენტი ვალდებულია გამოაქვეყნოს იგი.

ცალკე განხილვას საჭიროებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის

¹ თავისებურად წყვეტენ ამ საკითხს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკის კანონმდებლობანი.



მარის ინსტიტუტი. მისი რწმუნებანი, როგორც ეს ზემოაღნიშნულიდან ჩანს, მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა პრეზიდენტების კომპეტენციას სხვა რესპუბლიკებში. ჩინეთის რესპუბლიკის თავმჯდომარის უფლება-მოვალეობანი იყოფა ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედის რწმუნებანი, რომლებიც მას სახალხო წარმომადგენელთა სრულიად ჩინეთის კრებისა და მუდმივი კომიტეტის დადგენილების საფუძველზე ევალება, ხოლო მეორე ჯგუფში შედის ნისი პირდაპირი. უშუალო ფუნქციები, ასეთებია: შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობა, უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლების მიღება. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი პრეროგატივა—საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს ე. წ. უმაღლესი სახელმწიფო თათბირი (რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილის, მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის, სახელმწიფო პრემიერის და სხვა საჭირო პირთა შემადგენლობით) თავისივე თავმჯდომარეობით. უმაღლესი სახელმწიფო თათბირის მიერ შემუშავებული წინადადებანი გადაეცემა სათანადო ორგანოებს საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად:

სახალხო დემოკრატიული რეჟიმის თავისებურებანი აღნიშნული ქვეყნებში განსაზღვრა რევოლუციის განვითარების კონკრეტულმა პირობებმა, საერთაშორისო ვითარებამ, ნაციონალურმა სახელმწიფოებრივმა ტრადიციებმა და სხვ. ცალკეული რესპუბლიკებისათვის, განსაკუთრებით რევოლუციის პირველ ეტაპზე, დამახასიათებელია ზოგიერთი პარლამენტური ფორმის შენარჩუნება.


ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდმა არ შეიძლება არ მოგვცეს პოლიტიკური ფორმების სიმრავლე, მაგრამ ყველა ფორმის არსი აუცილებლად იქნება პროლეტარიატის დიქტურა. მაშასადამე როდესაც ჩვენ ვიხილავთ ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის ისეთ მნიშვნელოვან პრეროგატივს, როგორცაა, მაგალითად უმაღლესი ორგანოს არა მარტო სესიის გადაღება, არამედ თვით ეროვნული კრების დათხოვნა,—უნდა გამოვმდინარეობდეთ იქედან, რომ სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკები სოციალისტური ტიპის სახელმწიფოებია, სადაც მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის, ხალხიდან გამომდინარეობს, სადაც ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას მშრქსისტულ-ლენინური პარტიები წარმოადგენენ.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა კი საწინდარია კერძოდ იმისა, რომ პრეზიდენტის არც ერთი რწმუნება არ იქნება გამოყენებული ხალხის საწინააღმდეგოდ. პრეზიდენტი ჩეხოსლოვაკიაში არა მარტო იურიდიულად პასუხისმგებელია ეროვნული კრების წინაშე¹, არამედ, მთელი თავისი საქმიანობით იგი კომუნისტური პარტიის წინაშე² პასუხისმგებელია პარტიული ხაზით.

საჭიროა გავიხსენოთ, რომ მაგალითად, ჩეხოსლოვაკიაში 1948 წლის შემდეგ პრეზიდენტის პოსტზე ირჩევენ მუშათა კლასის სახელგანთქმულ შვილებს, სა-

¹ ეროვნულ კრებას უფლება აქვს გარკვეულ შემთხვევაში გაასამართლოს პრეზიდენტი.

² არსებული ტრადიციის მიხედვით პრეზიდენტის კანდიდატურას აყენებენ უძლიერესი პარტიები, როგორებიცაა შესაბამის რესპუბლიკებში მარქსისტულ-ლენინური პარტიები.



თაშორისო კომუნისტური მოძრაობის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურების ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებს, როგორც იყვნენ კლემენტ გოტვალდი, ანტონინ ზაპოტოცკი, როგორც არის ანტონინ ნოვოტნი.

მარქსისტულ-ლენინური ტიპის პარტიის ხელმძღვანელობის გარეშე წარმოუდგენელია როგორც მუშათა კლასის დიქტატურა, ისე სოციალისტური სახელმწიფო. კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობა უპირველესად ყოვლისა, პოლიტიკური ხელმძღვანელობაა, რომელიც ამ სახელმწიფო ფორმის სოციალისტურ არსს განსაზღვრავს. სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკების ორგანოების მოღვაწეობა წარმოადგენს ამ პარტიების პოლიტიკის—მშრომელი ხალხის ინტერესების გამომხატველი პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას.





ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლო გაერთიანების შედეგ

სახალხო სასამართლოების სისტემის რეორგანიზაციის აუცილებლობას საკითხი დიდი ხანია მსჯელობის საგანი გახდა იურიდიული ფრონტის პრაქტიკული და თეორიული მუშაკებისათვის.

ჩვენმა რესპუბლიკამ პირველმა გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი სახალხო სასამართლოების საუბნო სისტემის რაიონულ სახალხო სასამართლოების სისტემით შეცვლის საქმეში.

1950 წლის 3 აგვისტოს გამოცემა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება — „საქართველოს სსრ ზოგიერთ რაიონსა და ქალაქში სახალხო სასამართლოების გაერთიანების შესახებ“.

შესაბამისად ამ ბრძანებულებისა ქ. თბილისის კიროვის რაიონში ორი უბნის სახალხო სასამართლო გაერთიანდა კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს სახით.

მიმდინარე წლის სექტემბერში ამ სასამართლოს, პრაქტიკული მუშაობის ორი წელი უსრულდება. ესლა შესაძლებელია ვილაპარაკოთ ზოგიერთ დადებით შედეგზე, რაც საუბნო სასამართლოების რაიონულ სასამართლოდ გაერთიანებამ მოგვცა.

საბჭოთა სასამართლოს წმიდათა წმიდა მოვალეობაა მართლმსაჯულების განხორციელება, სოციალისტური კანონიერების განუხრელად გატარება.

რაიონული სახალხო სასამართლოების შექმნის შემდეგ ბევრად გაუმჯობესდა სასამართლო ორგანოების მუშაობის ხარისხი. თვითეულ რაიონში დაიყარდა ერთიანი სასამართლო პრაქტიკა.

რაიონული სახალხო სასამართლოს შექმნამ ხელი შეუწყო მოსამართლეებს შორის საქმეების სწორად განაწილებას. უბნებად დაყოფის დროს ერთი უბნის სახალხო სასამართლოს ერთდროულად შემოუდიოდა რამდენიმე რთული კატეგორიის საქმე, რომლის გარჩევას ერთი სასამართლო ვერ ასწრებდა. ადგილი ჰქონდა საქმეების გადადებას, რაც იწვევდა კანონით გათვალისწინებული ვადების დარღვევას. მეორე უბნის სახალხო სასამართლო ამ დროს ნაკლებად იყო დატვირთული. წელიწადში რამდენიმეჯერ აუცილებელი ხდებოდა ერთი უბნის სახალხო სასამართლოში დაგროვილი საქმეების სხვა უბანში გადატანა. რაიონული სასამართლოს შექმნამ კი უზრუნველყო საქმეების სწორად განაწილება, მოსამართლეების თანაბრად დატვირთვა.

რაიონში უბნების რამდენიმე მოსამართლეს არ შეეძლო ერთიმეორისათვის გაეზიარებინათ ცოდნა და გამოცდილება, რადგან არ იყო ამის რეალური შესაძლებლობა, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა მათი მუშაობის

ხარისხზე. სასამართლოების გაერთიანების შემდეგ მოსამართლეებს მიეცათ სასამართლო პრაქტიკის ურთიერთ გაზიარების ფართო შესაძლებლობა.

რაიონული სახალხო სასამართლოების შექმნამდე, შვებულებაში წასვლი-სა, კურსებზე გაგზავნის ან ავადმყოფობის დროს სახალხო მოსამართლეს ცვლიდა სახალხო მსაჯული, რომელსაც აკლდა სათანადო კვალიფიკაცია, ცოდ-ნა და გამოცდილება. ამის შედეგად უქმდებოდა იმ განაჩენების და გადაწყვე-ტილებების დიდი რაოდენობა, რომელიც გამოჰქონდა შემცვლელ მოსამართ-ლედ მომუშავე სახალხო მსაჯულს. რაიონული სახალხო სასამართლოების შექმნის შემდეგ, როდესაც ერთერთი მოსამართლე არ არის ადგილზე, მის მოვალეობას ასრულებს არა სახალხო მსაჯული, არამედ მეორე მოსამართლე.

რაიონული სასამართლოს შექმნა მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ მო-მავალში შეიძლება დაისვას საკითხი სახალხო მოსამართლის სახალხო მსაჯუ-ლით შეცვლის ინსტიტუტის გაუქმების შესახებ იმ რაიონებში, სადაც ერთზე მეტი მოსამართლე მუშაობს.


ამ უკანასკნელ დროს გამოიცა კანონები ისეთ დანაშაულთა შესახებ, რომლებიც უნდა გაარჩიოს სახალხო მოსამართლემ ერთპიროვნულად და ისიც 24 საათის განმავლობაში. რაიონული სასამართლოს შექმნამდე ამ კა-ტეგორიის საქმეების გარჩევა კანონით გათვალისწინებულ ვადაში შეუძლე-ბელი ხდებოდა, უკეთეს მოსამართლე დაკავებული იყო ისეთი რთული საქმის განხილვით, რომლის პროცესი გრძელდებოდა 3—4 დღე და ზოგჯერ უფრო მეტიც. რაიონული სასამართლოების შექმნამ კი ხელი შეუწყო ასეთი კატე-გორიის საქმეების დროულად განხილვას. როდესაც ერთი მოსამართლე და-კავებულია რთული საქმით, მეორე მოსამართლეს აქვს სრული შესაძლებლობა, რომ გაარჩიოს ყოველი საქმე კანონით განსაზღვრულ დროში.

ოპერატიულობის თვალსაზრისით რაიონულ სასამართლოების შექმნამ, სასამართლოს ზემდგომი ორგანოები გაანთავისუფლა იმ ზედმეტი საქმიანო-ბისაგან, რასაც იწვევდა უზნის სასამართლოდან საქმის აცილება-სასამართლო-დან აცილებული საქმეები იგზავნებოდა ზემდგომ ორგანოში. საქმის გაგ-ზავნის, განხილვის, უკან დაბრუნების და კვლავ წარმოებაში მიღებისათვის ზედმეტად იხარჯებოდა როგორც სახელმწიფო სახსრები, ისე სასამართლო ორგანოების მუშაკთა შრომა. რაიონულ სასამართლოებში არის შესაძლებ-ლობა ერთ მოსამართლეზე აცილებული საქმე გადაეცეს განსახილველად მეორე მოსამართლეს.

რაიონული სასამართლოს შექმნის შემდეგ გაუმჯობესდა ზემდგომი ორ-განოების კონტროლი და ხელმძღვანელობა. ამჟამად რაიონის სასამართლოებში წარმოებს საჩივრების და საქმეების მოძრაობის ერთიანი აღრიცხვა, რაც აადვილებს სასამართლო ორგანოების მუშაობის შემოწმებას.

რაიონული სასამართლოს შექმნამ მალალ დონეზე აიყვანა აღმასრულებ-ლის საქმიანობა, დიდად შეუწყო ხელი გამოტანილი განაჩენებისა და გადა-წყვეტილებების დროულად სისრულეში მოყვანას.

უზნის სასამართლოში, როცა აღმასრულებელი შვებულებაში იყო განა-ჩენისა და გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანა კიანურდებოდა, თუმცა შვებულებაში მყოფი აღმასრულებლის მოვალეობას ასრულებდა სხვა უზნის სასამართლოს აღმასრულებელი, მაგრამ ამ საქმეს იგი „სხვისად“ თვლიდა.



ანჟამად მოისპო „სხვისი“ საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულება გაერთიანებულ სასამართლოს რამდენიმე აღმასრულებელი ჰყავს, რომლებიც ექვემდებარებიან ერთიანი სასამართლოს თავმჯდომარეს და მათი საქმიანობაც მოყვანილია ერთიანი სასამართლოს კონტროლის ქვეშ.

ბევრად გაუმჯობესდა მოსახლეობისადმი მომსახურეობა. უზნებად დაყოფის დროს სახალხო მოსამართლე მთხოვნელთა მიღებას აწარმოებდა მხოლოდ დილის საათებში, რის გამოც არ შეეძლოთ მოსამართლისათვის მიემართათ იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომელნიც მუშაობდნენ დილის საათებში რაიონული სასამართლოების შექმნის შემდეგ მთხოვნელთა მიღება წარმოებს როგორც დილის, ისე საღამოს საათებში. ამგვარი წესის შემოღებამ სასამართლო ორგანოები მკიდროდ დაუკავშირა მშრომელთა ფართო მასებს. ყოველ განცხადებას, ყოველ საჩივარს ექცევა ჯეროვანი ყურადღება.

ბევრად გაუმჯობესდა ორგანიზაციული მუშაობა. სასამართლოს შედგენილი აქვს ერთიანი რაიონული გეგმა მოსახლეობის წინაშე ანგარიშგებისა და მსაჯულებთან მუშაობის შესახებ.

ბუნებრივია, რომ უზნებად დაყოფილი სახალხო სასამართლოების რაიონულ სასამართლოებად გაერთიანებამ შეამცირა, როგორც საშტატო ერთეულები, ისე ადმინისტრაციული და სხვა სამეურნეო ხარჯები.

დასასრულ, სასამართლოების გაერთიანება მეტ შესაძლებლობას იძლევა, გაუმჯობესდეს მათი კეთილმოწყობა ბინით და ინვენტარით.

გ. იოსავა,

ჭ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე

გვგი ყურადღება გავწყვიტოვებ ალკულებს ალიენების საქმეებზე

ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ყურადღება ექცევა ფიზიკურად და გონებრივად ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდას. პარტია და მთავრობა არ ზოგავენ ენერგიას. სახსრებს, რომ ჩვენს პატარებს ჰქონდეთ ბედნიერი ბავშვობა. სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არიან, გამონაკლისის სახით, ისეთი ადამიანები, რომელნიც ქარაფმუტულად ეკიდებიან ოჯახის საკითხს. ესენია უმსგავსო მამები, რომლებიც გაურბიან თავიანთ პირშმოთა აღზრდაზე მზრუნველობას.

ასეთი პირების მიმართ არსებობს მკაცრი კანონი, მაგრამ ხშირად ან ჩვენ არ ვიმარჯვებთ კანონს ან თვით ეს პირები მოხერხებულად არილებენ თავს საკუთარი შვილისათვის სარჩოს მიცემას. ისინი თვეობით და წლობით განზრახ არ ეწყობიან სამუშაოზე, ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას და, თუ მოეწყობიან სამუშაოზე, ადგილზე აღმასრულებელი ფურცლის მისვლისთანავე ანებებენ თავს სამუშაოს და სხვაგან გარბიან. ხშირად ისინი ეწყობიან ისეთ სამუშაოზე, სადაც ოფიციალურად გამომუშავება ნაკლებია და იღებენ ცალკე ისეთ სამუშაოს, რომლის მიმალვა შეიძლება ან მუშაობენ სადმე კერძოდ, რისი დადგენაც ძალზე ძნელი ხდება.

ვხვდებით ალიმენტის ისეთ ურჩ გადამხდელებსაც, რომლებიც თუმცა უმუშევრად არასოდეს არ ყოფილან, მაგრამ მოხერხების ისეთ უნარს იჩენენ, რომ მათთვის ალიმენტის გადახდევინება ძნელი ან სრულიად შეუძლებელი ხდება.

არის ისეთი შემთხვევა, როცა ურჩი გადამხდელი ალიმენტის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით ბინაში ჩაწეოილიც არ არის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ საკითხში დანაშაული მიუძღვით წარმოება-დაწესებულებების იმ ხელმძღვანელებს, რომლებიც ასეთ პირებს სამუშაოზე იღებენ.

ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს წარმოებაშია 1957 წლის 22 იანვარს შესული აღმასრულებელი ფურცელი, გაცემული 1951 წლის 6 აგვისტოს მოაასუხე მიხეილ თომასძე არჩვადის მიმართ ალიმენტის გადახდევინებაზე მოსარჩელე თამარ მიხეილის ასულ ნიკოლაიშვილის სასარგებლოდ.

მოქალაქე არჩვადე შეგნებულად არიდებს თავს ალიმენტის გადახდას. 1956 წლის დეკემბრას თვემდე არჩვადე მუშაობდა „მთავარავტომშენში“. სადაც მის ხელფასს დადებული ქონდა ყადაღა 50% ოდენობით. ხსენებული წლის ოქტომბრის თვიდან დეკემბრამდე მას დაუკავდა 417 მანეთი და ეს თანხა მიიღო მოსარჩელე ნიკოლაიშვილმა. დეკემბრის თვიდან არჩვადემ სამუშაო ადგილი შიატოვა და მისი ვერც საცხოვრებელი და ვერც სამუშაო ადგილი დადგენილი ვერ იქნა.

არჩვადისებური უღირსი მამა მოქალაქე ივანე ბარნოვი, რომელიც 15 თვეა თავის ბავშვს ალიმენტს არ უხდის. ბარნოვი ხელობით მეშუშეა, დიდხანს მუშაობდა კერძოდ და განზრახ არსად არ ეწერებოდა საბინაო წიგნში. შიღებული ზომებით დადგენილი იქნა, რომ ბარნოვს ბოლო დროს მუშაობა დაუწყია ქ. თბილისის გამწვანების ტრესტში, მის ხელფასს დაედო ყადაღა 50%-ის ოდენობით.

ამჟამად ჩემს წარმოებაშია 110 აღმასრულებელი ფურცელი, რომელთა მიხედვით სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებაში დადებულია ყადაღა ალიმენტების ურჩი გადამხდელების ხელფასზე. წარმოება-დაწესებულებების ბუხჰალტრებმა უნდა იცოდნენ, რომ ალიმენტის დაუკავებლობა და თავის-დროზე დანიშნულებისამებრ გადაუგზავნელობა სისხლის სამართლის დანაშაულია.

ზოგიერთი წარმოება-დაწესებულების ბუხჰალტრები არ აქცევენ ყურადღებას ამ გარემოებას და უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ურჩი გადამხდელების ხელფასიდან ალიმენტის დაკავებას.

3. მუშნაკგია,

ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი





საუბრაო პირველი

სახალხო მსაჯულთა მონაწილეობა საქმის სასამართლო განხილვაში

სსრ კავშირის კონსტიტუციის 103 მუხლის შესაბამისად ყველა სასამართლოში საქმეთა განხილვა სახალხო მსაჯულების მონაწილეობით წარმოებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც კანონით სპეციალურად არის გათვალისწინებული.

კერძოდ, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციით, ე. ი. არსებითად ყოველთვის წარმოებს ორი სახალხო მსაჯულის მონაწილეობით და სახალხო მოსამართლის თავმჯდომარეობით.

ასეთივე შემადგენლობით წყვეტს სასამართლო ყველა მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის მოსამენად მომზადებასთან და ყველა დავას ან საექვო გარემოებას, რომელიც წარმოიშვება განაჩენებისა და გადაწყვეტილებების შესრულებასთან დაკავშირებით.

საბჭოთა კანონით უზრუნველყოფილია სახალხო მსაჯულების დამოუკიდებლობა მართლმსაჯულების შესრულებაში. პირველყოფლისა ეს იმაში მდგომარეობს, რომ რწმუნების ვადის დამთავრებამდე სახალხო მსაჯული განთავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან მხოლოდ ამომრჩეველთა გაწვევის ან მის მიმართ გამოტანილი განაჩენის ძალით.

მართლმსაჯულების გატარებაში თავიანთი საქმიანობის შესახებ სახალხო მსაჯულები ინგარიშვალდებული არიან მხოლოდ ამომრჩეველების წინაშე.

საქმიების განხილვისას სახალხო მსაჯულები სასამართლოს შემადგენლობაში მსჯელობენ საქმის სამსჯავრო განხილვის შედეგებზე ცალკე სათათბირო ოთახში, სადაც სახალხო მოსამართლისა და ორი მსაჯულის გარდა არავინ არ ესწრება. ამასთანავე სახალხო მოსამართლე უკანასკნელი აძლევს თავის ხმას, ამით სახალხო მსაჯულებს საშუალება ეძლევათ პირველებმა გამოთქვან საქმეზე არსებითად თავიანთი მოსაზრებები.

სახალხო მოსამართლის ადგილზე დროებით არყოფნის დროს (ავადმყოფობა, შვებულება და სხვ.) მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო სახალხო მოსამართლის მოვალეობის შესრულებას აკისრებს ერთ-ერთ სახალხო მსაჯულს. ხშირად, როდესაც სახალხო მსაჯული წარმატებით შეასრულებს სახალხო მოსამართლის მოვალეობას, მას ირჩევენ სახალხო მოსამართლედ. ასე მაგალითად, ქ. მოსკოვის კრასნოპრესნის რაიონში 1957 წელს სახალხო მოსამართლედ აირჩიეს ზინაიდა ივანეს ასული პეტროსიანი. მანამ-

დე კი ის იყო სახალხო მსაჯული, ხშირად ცვლიდა სახალხო მოსამართლეს და ამ სამუშაოზე კარგად გამოიჩინა თავი.

1954 წელს მოსკოვის ოლქის, ჩეხოვის რაიონის მე-2 უბნის სახალხო მოსამართლედ აირჩიეს სახალხო მსაჯული მიხეილ პეტრეს ძე ისაევი. ამომრჩევლებმა მაღალი შეფასება მისცეს ამხ. ისაევის საქმიანობას და მეორედაც აირჩიეს იგი სახალხო მოსამართლედ 1957 წელს.

სახალხო მსაჯულის ძირითადი უფლება-მოვალეობაა სოციალისტური მართლმსაჯულების გატარება მოსამართლესთან ერთად და ამ უკანასკნელის თანაბრად.


საქმეთა განხილვაში მონაწილეობის დროს სახალხო მსაჯულებს მხედველობაში უნდა ჰქონდეთ, რომ საბჭოთა სასამართლოს ამოცანა არ ამოიწურება მხოლოდ იმ მოვალეობით, რომ სწორად და სამართლიანად გადაწყვიტოს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმე. სასამართლო, ამასთანავე, ვალდებულია შეისწავლოს მიზეზები და პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულის ჩადენას ანუ კანონის დარღვევას და მიიღოს ზომები, რომ კანონის მსგავსი დარღვევები არ განმეორდეს.

სახალხო მსაჯული თავისი მოვალეობის შესასრულებლად სასამართლოში გამოიწვევა რიგის მიხედვით, ვადით არაუმეტეს 10 დღისა წელიწადში. შესაძლებელია ამ ვადაზე ზევითაც გაგრძელდეს სახალხო მსაჯულის მონაწილეობა სასამართლოს მუშაობაში, მაგრამ ეს მოხდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული ვადის დამთავრების მომენტისათვის არ იქნება დამთავრებული იმ საქმის განხილვა, რომელიც დაწყებული იყო ამა თუ იმ მსაჯულის მონაწილეობით. მაშინ სახალხო მსაჯული რჩება სასამართლოს შემადგენლობაში იმ დრომდე, სანამ დამთავრდება ამ საქმის განხილვა.

სახალხო მსაჯულის სასამართლოში გამოწვევა თავისი მოვალეობის შესასრულებლად ხდება სპეციალური უწყების გაგზავნით ან ელსმენით. იგი ვალდებულია გამოცხადდეს ზუსტად ნაჩვენებ დროს. თუ პატივსაღებ მიზეზით მას არ შეუძლია ეს გააკეთოს (მაგ. ავადმყოფობის გამო), იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ სასამართლოს, რადგან მოსამართლემ უნდა მოასწოროს მისი შეცვლა სხვა სახალხო მსაჯულით.

სასამართლოში მუშაობის პირველ დღესვე სახალხო მსაჯულს მოსამართლე, როგორც წესი, უტარებს საუბარს, რომელშიაც განუმარტავს მას უფლება-მოვალეობებს. შესაძლებელია სახალხო მსაჯული ესწრებოდა ლექციებს, რასაც აწყობს მშრომელთა დეპუტატების საბჭოები სახალხო სასამართლოების არჩევნების შემდეგ, და მას გაუტრკეველი დარჩა ამ ლექციებზე წამოჭრილი საკითხები. ასეთ შემთხვევაში მსაჯულს ამ საკითხების გამოსარკვევად შეუძლია ისარგებლოს მოსამართლის საუბრით.

სასამართლოს მუშაობაში სახალხო მსაჯულის მიერ სრულფასოვანი, აქტიური მონაწილეობის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ იგი გაცნობილია კანონის ნორმებს, რომლებიც საქმის სასამართლო განხილვას ეხება და, განსაკუთრებით, სახალხო მსაჯულის უფლებებსა და მოვალეობებს. ამიტომ საჭიროა, სახალხო მსაჯული სასამართლოში მუშაობის პირველ დღესვე იცნობდეს, როგორც მინიმუმს, სსრ კავშირის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონის 1 და 2 თავებს, რსფსრ სისხ. სამ. საბ. კოდექსის 21—24 თავებს და რსფსრ სამოქალაქო



საბროც. კოდექსის 10, 12, 13, 15, 16 და 18 თავებს. ამ საკანონმდებლო აქტებში მოცემულია: ამოცანები და წყობილება საბჭოთა სასამართლოებისა, სახალხო სასამართლოს ორგანიზაცია და კომპეტენცია, საქმის სასამართლო განხილვის, განაჩენისა და გადაწყვეტილების გამოტანის წესი, სახალხო მსაჯულის უფლება და მოვალეობა სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა განხილვის დროს.

სხვა აუცილებელ პირობას სახალხო მსაჯულის მიერ მოსამართლის მოვალეობის წარმატებით შესრულებისათვის წარმოადგენს იმ საქმეების წინასწარი გაცნობა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს მისი მონაწილეობით მოსამზადებელ და შემდეგ სამსჯავრო სხდომაზე.

სახალხო მსაჯული აუცილებლად უნდა გაეცნოს სისხლის სამართლის საქმეში საბრალმდებლო დასკვნას და მტკიცებებს, რომლებზედაც იგი მიუთითებს თავისი დასკვნის დასადასტურებლად, ბრალდებულის მიერ წამოყენებულ მოსაზრებათა გასაბათილებლად; სამოქალაქო საქმეში — სასარჩელო განცხადებას, მოპასუხის მიერ სარჩელის უარყოფას და იმ მტკიცებებს, რომლებსაც იგი ეყრდნობა.


თვითეულ, კონკრეტულ სასამართლო საქმეს, სასამართლოს შემადგენლობა გადაწყვეტს სისხლის სამართლის ან სამოქალაქო სამართლის შესაბამის კანონზე მითითებით. იმისათვის, რომ დარწმუნებული იყოს გამოტანილი განაჩენის ან გადაწყვეტილების სისწორეში, სახალხო მსაჯული ვალდებულია იცნობდეს იმ კანონებს, რომლებიც საფუძვლად დაედვა მათ გამოტანას, აგრეთვე იმ კანონებს, რომლებზედაც მხარეები მიუთითებდნენ. საქმეთა განხილვის დროს მოსამართლეები უნდა ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ კანონით და თავისი მართლშეგნებით და არა პირადი ხასიათის მოსაზრებებით. ამიტომ კანონით დაწესებულია, რომ მოსამართლე (თანაბრად ამ უკანასკნელისა სახალხო მსაჯულიც, რომელიც სასამართლოში მუშაობის დროს სრულუფლებიანი მოსამართლეა) არ შეიძლება მონაწილეობდეს საქმის განხილვაში, მოსამზადებელ ან სამსჯავრო სხდომაზე, უკეთუ იგი განსახილველ საქმეში არის მხარე ან ნათესავი რომელიმე მხარისა; თუ იგი ან მისი ნათესავები დაინტერესებულნი არიან განსახილველი საქმით; თუ იგი მონაწილეობდა საქმეში, როგორც მოწმე, ექსპერტი, მომკვლევ, გამომძიებელი, ბრალმდებელი, დამცველი, დაზარალებულის ინტერესების დამცველი ან სამოქალაქო მოსარჩელე; თუ იგი ერთხელ კიდევ მონაწილეობდა მოცემული საქმის განხილვაში და მისი მონაწილეობით გამოტანილი გადაწყვეტილება ან განაჩენი არასწორად იქნა ცნობილი და გაუქმდა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

მოსამართლეთა შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ ნათესავები.

ყველა ასეთ შემთხვევაში სახალხო მსაჯულმა, ისე როგორც მოსამართლემ, ვალდებულია თვითონ განაცხადოს თავისთავზე აცილება და განერიდოს საქმის განხილვას.

სახალხო მსაჯულს უფლება აქვს მოსამზადებელ სხდომაზე გამოარკვიოს მომხსენებლისაგან და თანამომხსენებლისაგან ყველა ის საკითხი, რომელიც მას დაინტერესებს და დაკავშირებული იქნება საქმის განხილვასთან.

სახალხო მსაჯულს აუცილებლად უნდა ახსოვდეს, რომ თუ საქმის გარემოებანი გაურკვეველია, მისთვის ძნელია, და ზოგჯერ შეუძლებელიც გახ-



დება, გადაწყვიტოს მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც დადგება მოსამზადებელი სხდომის წინაშე.

სამსჯავრო სხდომაზე თავმჯდომარე ერთპიროვნულად მართავს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას. ამასთანავე, მხარეებს (პროკურორს, ადვოკატს, სამართალში მიცემულს) უფლება აქვთ გაასაჩივრონ თავმჯდომარის მოქმედება. ამ საჩივარს განიხილავს სასამართლოს მთელი შემადგენლობა სახალხო მსაჯულების მონაწილეობით. ამრიგად, თავმჯდომარის მოქმედება სახალხო მსაჯულების თავისებურ კონტროლს ექვემდებარება.

ყველა საკითხი, რომელიც წამოიჭრება სამსჯავრო გამოძიების მიმდინარეობაში, სასამართლოს მიერ განიხილება და გადაწყდება კოლექტიურად სახალხო მსაჯულების აუცილებელი მონაწილეობით.

სხვა საკითხებისაგან განსხვავებით, რომელთაც გადაწყვეტს სასამართლოს შემადგენლობა თავმჯდომარის მონაწილეობით, ამ უკანასკნელის აცილების საკითხი წყდება მხოლოდ სახალხო მსაჯულთა მიერ.

მოისმენენ რა თავმჯდომარის მიმართ განცხადებულ აცილებას, სახალხო მსაჯულებს შეუძლიათ აცილების განმცხადებელს მისცენ შეკითხვები, დაკავშირებული აცილებასთან, ამის შემდეგ ისინი გავლენ სათათბირო ოთახში და განიხილავენ აცილების საკითხს, ხოლო თავმჯდომარე დარჩება სამსჯავრო სხდომის დარბაზში.

ერთმა სახალხო მსაჯულმა რომ სცნოს აცილება საფუძვლიანად, თავმჯდომარე აცილებულად ჩაითვლება.

თათბირის შემდეგ სახალხო მსაჯულები ადგენენ განჩინებას აცილების დაკმაყოფილების ან უარყოფის შესახებ. განჩინებას ხელს აწერენ ორივე სახალხო მსაჯული, მიუხედავად იმისა, მიღებული იქნება იგი ერთხმად თუ ხმები გაიყოფა. როცა მსაჯულები დაბრუნდებიან სამსჯავრო სხდომის დარბაზში, ერთი მათგანი გამოაქვეყნებს განჩინებას.

რადგან თავმჯდომარის აცილების საკითხი სახალხო მსაჯულებმა უნდა გადაწყვიტონ თავმჯდომარის დაუსწრებლად, ამიტომ ისინი ყოველ შემთხვევაში წინასწარ უნდა მოემზადონ განჩინების დამოუკიდებლად შედგენისათვის.

პროცესის შესავალ ნაწილში და შემდეგ სამსჯავრო გამოძიებაში სახალხო მსაჯულს უფლება აქვს შეკითხვები მისცეს სამართალში მიცემულს, მოწმეს, ექსპერტს, გაეცნოს საქმეში არსებულ და აგრეთვე, მხარეთა მიერ ახლად წარმოდგენილ მამტიკებელ მასალებს.

შეკითხვები შეიძლება მიეცეს: სამართალში მიცემულს—მისი პიროვნების დადგენის დროს, მის მიერ აღძრულ შუამდგომლობებთან დაკავშირებით და მტიკებათა გამოძიების წესის დადგენის შემდეგ მთელი სამსჯავრო გამოძიების მსვლელობაში; მოწმეს — მისი დაკითხვის დროს და შემდეგ სამსჯავრო გამოძიების მიმდინარეობაშიც; ექსპერტს — როგორც დასკვნის მიცემის დროს, ისე მისი დაკითხვის დროსაც.

სამსჯავრო გამოძიების მიმდინარეობაში თავმჯდომარეს შეუძლია მოხსნას სამართალში მიცემულისადმი, მოწმისადმი ან ექსპერტისადმი მხარეთა მიერ მიცემული ისეთი შეკითხვები, რომლებიც განმეორება იქნება ან არ შეეხება საქმეს. ამ საკითხზე წამოჭრილ მხარეთა დავას სასამართლო გადაწყვეტს მთე-

ლი შემადგენლობით. სასამართლოს შეუძლია დაადასტუროს ან გააუქმოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება.

სასამართლოს სამსჯავრო გამოძიების, მხარეთა კამათის ან სამართალში მიცემულის უკანასკნელი სიტყვის შემდეგ, თუ სახალხო მსაჯული საჭიროდ სცნობს დამატებით გამოარკვიოს საქმის რაიმე გარემოება, მას უფლება აქვს მოითხოვოს სამსჯავრო გამოძიების განახლება. ამ საკითხს გადაწყვეტს სასამართლოს მთელი შემადგენლობა.

განსაკუთრებით დიდი და რთული სისხლის სამართლის საქმის განხილვაში, რომლის მოსმენა დიდხანს გრძელდებოდა, უნდა მონაწილეობდეს სათადარიგო სახალხო მსაჯული. სათადარიგო სახალხო მსაჯული არ შედის სასამართლოს შემადგენლობაში, მაგრამ სამსჯავრო გამოძიებას დარბაზში ესწრება საქმის განხილვის დაწყებიდან ბოლომდე. რომელიმე სახალხო მსაჯულის სასამართლოს შემადგენლობიდან გამოსვლის შემთხვევაში, მას შეცვლის სათადარიგო მსაჯული.

სათადარიგო სახალხო მსაჯულს სასამართლოს შემადგენლობაში შესვლის დროს უფლება აქვს მოითხოვოს ყველა ან ზოგიერთი სასამართლო საგამომძიებლო მოქმედების შესრულება, მაგრამ თუ იგი არ მოითხოვს ასეთს, საქმის მოსმენა შეიძლება გაგრძელდეს საერთო წესით.

სახალხო მსაჯულის უფლება-მოვალეობანი სამოქალაქო საქმის განხილვაში პრინციპულად არ განსხვავდება იმ უფლება-მოვალეობისაგან, რომლებიც მას აქვს სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს, მაგრამ მათ შორის ერთგვარი სხვაობა გამოიხატება იმაში, რომ თვით სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის წესშია განსხვავება.

სახალხო მსაჯული მონაწილეობას ღებულობს სამოქალაქო საქმის განხილვაში სამსჯავრო სხდომაზე და შემდეგ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის დროს, თუ წარმოიშვება დავა და საეჭვო გარემოება.

საქმის განხილვის დამთავრების შემდეგ მოსამართლეები გადაიან სათათბირო ოთახში და იქ გამოაქვთ გადაწყვეტილება (სასამართლოს განჩინება, განაჩენი ან გადაწყვეტილება), რომელიც უნდა ემყარებოდეს მხოლოდ და მხოლოდ სამსჯავრო სხდომაზე განხილულ საქმეში არსებულ მასალებს.

ყველა საკითხს, რომელიც კოლეგიალურ გადაწყვეტილებას ექვემდებარება, სასამართლო გადაწყვეტს ხმის უბრალო უმეტესობით. სახალხო მსაჯულისა და თავმჯდომარის ხმას თანაბარი ძალა აქვთ.

არცერთ მოსამართლეს არა აქვს უფლება თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ განხილულ თვითეულ საკითხზე სახალხო მსაჯული მოვალეა მისცეს დადებითი ან უარყოფითი პასუხი.

მოსამართლეს, რომელიც განაჩენის ან გადაწყვეტილების გამოტანის დროს უმცირესობაში დარჩება, უფლება აქვს ჩამოაყალიბოს თავისი განსაკუთრებული აზრი წერილობითი სახით. განსაკუთრებული აზრი არ გამოქვეყნდება სამსჯავრო დარბაზში, მაგრამ ის ინახება საქმეში. როდესაც საქმე ზემდგომ ინსტანციაში განიხილება, იქ განსაკუთრებული აზრი მხედველობაში მიიღება საქმეში არსებული სხვა მასალების თანაბრად.

გადაწყვეტილება ან განაჩენი დაწერილი უნდა იქნეს ერთ-ერთი მოსამართლის ხელით და ხელმოწერილი სასამართლოს მთელი შემადგენლობის მიერ. განაჩენს ან გადაწყვეტილებას ხელს აწერს ის მოსამართლეც (სახალხო მსაჯული), რომელიც უმცირესობაში დარჩა.

სახალხო მოსამართლე, კანონის თანახმად, ვალდებულია ანგარიში ჩააბაროს ამომრჩევლებს, როგორც თავისი, ისე მთელი სასამართლოს მუშაობის შესახებ. ამ საქმეში მონაწილეობას უნდა ღებულობდნენ სახალხო მსაჯულებიც. ასე, მაგალითად, სახალხო მსაჯულს შეუძლია ისარგებლოს სახალხო მოსამართლის მორიგი საანგარიშო მოხსენებით. მიიღებს რა მონაწილეობას ამ საკითხზე მოწვეულ ამომრჩეველთა კრებაზე, სახალხო მსაჯული შეავსებს სახალხო მოსამართლის მოხსენებას, ილაპარაკებს სახალხო სასამართლოში საკუთარი მუშაობის შესახებ. სახალხო მოსამართლისა და მთლიანად სასამართლოს მუშაობის ნაკლოვან მხარეთა გაკრიტიკებით იგი ხელს შეუწყობს სასამართლოს მუშაობის გაუმჯობესებას და განამტკიცებს კავშირს ამომრჩევლებთან.

(ჟურნალი „Советская юстиция“ № 1, 1953 წელი)





ბ. ვ. ხარაზიშვილი „კრიმინალისტიკა“, განსაკუთრებული ნაწილი, დანაშაულთა ცალკეული სახეობის გახსნა, თბილისი, 1956 წ. გვ. 236.

აღნიშნული წიგნი წარმოადგენს 1954 წელს გამოცემულ ბ. ხარაზიშვილის ნაშრომის კრიმინალისტიკის კურსის საერთო ნაწილის გაგრძელებას. როგორც ავტორი მიუთითებს, ამ წიგნით შეუძლიათ იხელმძღვანელონ უმაღლესი იურიდიული სასწავლებლების სტუდენტებმა და აგრეთვე მას შეუძლია სარგებლობა მიუტანოს სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების მუშაკებსაც.

ავტორს საფუძვლიანად აქვს შესწავლილი კრიმინალისტიკის განსაკუთრებული ნაწილის საკითხები. აღსანიშნავია, რომ წიგნში გაშუქებულია ზოგიერთი ისეთი საკითხი, რაც რუსულ ენაზე არსებულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებში ნაკლებად ვგვხვდება.

ნაშრომში კარგად არის მოცემული ცალკეული დანაშაულთა სახეობის—სოციალისტური საკუთრების დატაცების, პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, მოქალაქეთა პირადი საკუთრების საწინააღმდეგო დანაშაულის, ტექნიკური უშიშროების წესების დარღვევის, მეურნეობის დარღვი ჩადენილი და თანამდებობრივ დანაშაულთა გახსნის და გამოძიების მეთოდოკა.

ეგება რა შემთხვევის ადგილზე დათვალიერების მომზადებას, ავტორს მოყვას ჰანს გროსის აზრი იმის შესახებ, რომ საცავის გატეხასთან დაკავშირებით მომხდარი დანაშაულის ადგილი აუცილებლად დათვალიერებული უნდა იქნას სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მიერ¹.

ჰანს გროსი თავის სახელმძღვანელოში აღნიშნავდა, რომ გამოძიებლება არ დაკმაყოფილებულიყვნენ საკუთარი ცოდნით, მოეწვიათ ექსპერტი კრიმინალისტიკის, ხარატები, რომ მათ ადგილზე შეესწავლათ გატეხვის სერები და საშუალებანი².

აკრიტიკებს რა ჰანს გროსის ამ რჩევას, ხარაზიშვილი წერს: „საბჭოთა კრიმინალისტურ ლიტერატურაში დღემდე რატომღაც ეს პოზიცია დამოძიებული არ არის“ (გვ. 39). ავტორი უარყოფს აზრს გამოძიების ამ ეტაპზე ექსპერტ-კრიმინალისტის შესახებ და მიუთითებს:

„სულ სხვა არის, როცა გამოძიებლის მოქმედების სფერო სცილდება თავის სპეციალობას, როცა მას სჭირდება მეცნიერების სხვა დარგების (მედიცინის, ტექნიკურ მეცნიერებათა და სხვ.) მონაცემები. ამ შემთხვევაში იგი მიმართავს სპეციალურ დარგის მუშაკთ, არა მარტო ჩაატარონ ექსპერტიზა კონკრეტულ საკითხებზე, არამედ დაესმარონ მას შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროსაც“ (გვ. 40).

ექსპერტ-კრიმინალისტიკის მიერ შემთხვევის ადგილის დათვალიერებისაგან თავის შეკავებას ავტორი საფუძვლად უდებს იმ მოსაზრებას, რომ გამოძიებელი შეიარაღებული იმავე ცოდნით, რაც აქვს ექსპერტ კრიმინალისტს.

ავტორი მისაღებად თვლის ჰანს გროსის აზრს ექსპერტ-კრიმინალისტის მიერ შემთხვევის ადგილის დათვალიერების შესახებ იმ დროისათვის, როდესაც „კრიმინალისტიკა როგორც მეცნიერება ჭერ კიდევ დამოუკიდებლად ჩამოყალიბების დასაწყისში იყო და არ ისწავლებოდა, როგორც ცალკე დისციპლინა...“ (გვ. 40).

ავტორის ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას, რომლითაც იგი უარყოფს ექსპერტ-კრიმინალისტიკის მონაწილეობას შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში არ შეიძლება დავეთანხმეთ. მართალია, საგამომძიებლო ორგანოების მუშაკებს მოეთხოვებათ ფართო პროფესიული ცოდნა, ისინი უნდა ერკვეოდნენ ეკონომიურ, პოლიტიკურ და, განსაკუთრებით, იურიდიულ მეცნიერებაში, სასამართლო-მედიცინის, სასამართლო ფსიქიატრიის, კრიმინალისტიკის, საბუნხალტრო ადრცხვისა და სხვა დისციპლინების ძირითად საკითხებში, მაგრამ ისინი სპეციალისტების დაუხმარებლად ვერ შესძლებენ სწორად წარმართონ ნივთიერ მტკიცებათა შეგროვება და არჩევა.

ახვევ ვერ დავეთანხმებით ავტორს იმაშიც, როდესაც იგი ჰ. გროსის ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას მისაღებად თვლის, მხოლოდ იმ დროისათვის, როდესაც კრიმინალისტიკა ჭერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო და არ ისწავლებოდა, როგორც ცალკე მეცნიერება. პირიქით, ახლა, როდესაც კრიმინალისტიკა უკვე ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის ტექნიკისა და მეთოდოკის შესახებ, მას მრავალი საერთო აქვს მეცნიერების სხვა დარგებთან, იგი ემყარება მედი-

¹ ჰანს გროსი, Руководство по расследованию преступлений, М. 1930, переработанное и дополненное И. Н. Якимовым, стр. 126.

² იქვე.

ცინის, ბიოლოგიის, ფიზიკის, ტექნიკისა და სხვა მეცნიერებათა ახალ მიღწევებს, მისი როლი მეტად გაიზარდა აგრეთვე შემთხვევის ადგილის დათვალიერების დარგშიც.

მეორე თავი, ეხება პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის—მკვლელობის, აბორტის, გაუპატიურების გახსნის მეთოდებს.

პარაგრაფში „მკვლელობის გახსნის მეთოდები“, ავტორი მიუთითებს ამ საქმის დანაშაულის გახსნასთან დაკავშირებულ სიძნელეებზე და იძლევა იმ გარემოებათა დაახლოებით ჩამოთვლას, რომლებიც გამოძიებით უნდა დადგინდეს. იგი დიდ ყურადღებას აქცევს შემთხვევის ადგილის დათვალიერებას, სავამოძიებლო ექსპერიმენტს, სასამართლო-სამედიცინო დათვალიერებას, ვერსიების სწორად დაყენებას და მათი შემდგომი თანმიმდევრობითი და საგულდაგულო შემოწმების საკითხს.

ავტორს მოჰყავს ერთი მაგალითი: სოფლის გზაზე ნახული იქნა დარაჯი, რომელსაც თავის ქალას არეში მიყენებული ჰქონდა ჭრილობა. მან განაცხადა, რომ ღამე წაიქცა და დაიჭრა. გამოძიებელი არ დაკმაყოფილდა მისი ჩვენებით, იგი გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე, რომელიც ვაკე აღმოჩნდა. ასეთ ადგილზე წაქცევის შემთხვევაში შეუძლებელი იყო დაზარალებულს ისეთი დაზიანება მიეღო, როგორიც მას გახსნისას აღმოაჩნდა. გამოძიებამ დაადგინა არანორმალური ურთიერთობა დაზარალებულსა, მის ცოლსა და სიძეს შორის. „კ-ს ბინის ჩსრების დროს აღმოჩენილი იქნა ჩაქუჩი: მისი ყუა ფორმით წააგავდა ჭრილობას, რომელიც მიყენებული იყო კ-ს თავის ქალაზე. ჩაქუჩის ყუაზე აღმოჩენილი იქნა ქერა ბეწვი. გამოძიებით დადგინდა, რომ შემთხვევის მოხდენამდე საღამოს კ. წავიდა ქერა ბეწვიანი ქუდი. ექსპერტის ჩატარებით დადასტურდა, რომ ბინაში აღმოჩენილი ჩაქუჩზე არსებული ბეწვი კ-ს ქუდის ბეწვი იყო.“ (გვ. 77).

არ შეიძლება დავითანხმოთ ავტორს, როდესაც იგი თმების იდენტურობაზე ლაპარაკობს. ექსპერტისა შედეგად გადარწმუნებდა საკითხი თმების მხოლოდ მსგავსებაზე. ასევე არ შეიძლება საკითხის დასმა სისხლის ლაქების იდენტურობის შესახებ. (გვ. 123).

უთითებს რა მკვლელობის ჩადენის მოტივებზე და არჩევს მათ ცალ-ცალკე, ავტორს მოჰყავს მაგალითები.

აი, ერთი მაგალითი:

„თ. 1954 წლის მარტში, ქორწინების აქტის გაფორმების გარეშე ცოლად გაჰყოლია გ.—. იმავე წლის აგვისტოში შეეძინათ ბავშვი (ბავშვის მოულოდნელად დაბადებამ უკმაყოფილება შექმნა). შეურაცხყოფილი გ. შეუთანხმდა თავის ცოლს და სიდედრს ბავშვის მოკვლის შესახებ, რათა არ განხორციელებულიყო მის ცოლსა და სხვა მამაკაცს შორის აღრე სქესობრივი ცხოვრების ფაქტი.“ (გვ. 97).

ჩვენის აზრით სწორი არ არის, ავტორის შეხედულება, როდესაც იგი თვლის, რომ სირცხვილის გრძნობა იმ სქესობრივი აქტის განხორციელების გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქორწინებამდე, წარმოადგენს დანაშაულის სექსუალურ მოტივს. სექსუალურ მოტივად უნდა ჩაითვალოს მკვლელობა ჩადენილი სქესობრივი ურთიერთობის დამყარებასთან დაკავშირებით.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არასწორია ჩადენილი დანაშაულის დაფარვის მოტივიდან გაუპატიურების დაფარვის მოტივის ცალკე გამოყოფა, რადგან პირველი მეორეს მოიცავს თავისი შინაარსით.

ავტორის აზრით გვამის წყალში ყოფნის ხანგრძლივობას განსაზღვრავს გვამის გახსნის ხარისხი (გვ. 85) ნამდვილად გვამის წყალში ხანგრძლივობა განისაზღვრება არა გახსნის ხარისხით, არამედ გვამის ეპიდერმისის გაუღებლობით და აზრებებით.

ამავე გვერდზე ავტორი წერს: ნ-ის გვამის დათვალიერების შედეგად გამოძიებელი დარწმუნდა, რომ მას ჭრილობა მიყენებული ჰქონდა სხვა პირის მიერ“. ამ შემთხვევაში გამოძიებელი წარმოდგენილია, როგორც სამედიცინო ექსპერტი.

ამავე პარაგრაფში ავტორს მოჰყავს მაგალითი: ტყეში ბავშვებმა შემთხვევით აღმოაჩინეს ქალის გახსნილი გვამი... ერთადერთი მამხილებელ მასხალად გამოყენებულ იქნა შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი გაზეთის ნახევი, რომელსაც ეტყობოდა, რაღაც ნაწერის ნიშნები. გაზეთის ნახევზე ფოტოგრაფის დახმარებით გამოვლინებულ იქნა გვარი „გორიანი“ და საცხოვრებელი ბინის მისამართი. (გვ. 103).

6 თვის განმავლობაში ტყეში ნაგდები ქაღალდის ნაგლეჯზე არსებული ნაკლებად ხილული ტექსტის გამოკვლევა წარმოებს ლაბორატორიული წესით—სპეციალური აპარატურის გამოყენებით, სავამოკვლევო ფოტოგრაფიის მეშვეობით და არა უბრალო „ფოტოგრაფის დახმარებით“. წიგნში მოწამლვით მკვლელობას დათმობილი აქვს ძალზე მცირე ადგილი (გვ. 87 — 88).

არასწორად არის განმარტებული სიკვდილის ნიშნები ასფიქსიის დროს (გვ. 89). შემთხვევის დღიდან 3 კვირის შემდეგ შეუძლებელია იმ ნიშნების დადგენა, რომლებიც საჭიროა ასფიქსიისაგან სიკვდილის დასადასტურებლად.

არ შეიძლება ავტორს დავითანხმოთ იმაში, რომ გაუპატიურებისა შემთხვევის ადგილის დათვალიერება შეიძლება ჩატარდეს თვით დანაშაულის ჩადენის ადგილზე, თუ მისა-

ლოდნელია აღმოჩნდეს საქმისათვის რაიმე დამამტკიცებელი საბუთი ან დადასტურდეს რაიმე გარემოება“ (გვ. 111). შემთხვევის ადგილის დათვალიერება ამ სახის დანაშაულის გამოძიების დროს ყოველთვის აუცილებელია.

აყენებს რა მცირეწლოვან და არასრულწლოვან დაზარალებულების ჩვენებათა კრიტიკული შეფასების საკითხს, ბ. ხარაშიშვილს მოჰყავს შემდეგი მაგალითი: 9 წლის გოგონას დედამ პროკურორს მიმართა განცხადებით, რომ სახლის პატრონმა რამდენჯერმე სცადა გაეუპატიურებინა მისი შვილი. „სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად—წერს ავტორი,—ღს საქალწულო აპკის მთლიანობა 2—3 თვის უკან ჰქონდა დარღვეული“ (გვ. 117).

როგორც ცნობილია სამედიცინო ლიტერატურაში, საქალწულო აპკის ნაპირების შეხორცება 10—15 დღეში მთავრდება და ამ ვადაზე გვიან აღარ შეიძლება არავითარი დასკვნის გამოტანა დეფლორაციის შესახებ.

კიდევ ერთი მაგალითი: 12 წლის გოგონამ განაცხადა, რომ მასთან უკვე 4 წლის განმავლობაში ცხოვრობს მამინაცვალი. „სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებით დადასტურდა, რომ გოგონას მიმართ ნამდვილად იყო ჩადენილი გარყვნილი მოქმედება, რის შედეგადაც მას დაკარგული ჰქონდა ქალწულობა. (გვ. 119).

ავტორი აქ ცდება. რისგან ჰქონდა გოგონას დაკარგული ქალწულობა. გარყვნილი მოქმედებით, შემთხვევით თუ ჩვეულებრივი სქესობრივი აქტით? ამ კითხვაზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას პასუხის გაცემა არ შეეძლო. ეს უნდა დადგინდეს მხოლოდ გამოძიებით.

როდესაც ავტორი ეხება ფიზიკური ძალის გამოყენებით გაუპატიურების საკითხს, იგი უპირადღებებს აქცევს დაზარალებულის ან ექვემდებარებული პირის სხეულზე არსებულ დაზიანების ნიშნებს. ამასთან ერთად ავტორი იძლევა გაფრთხილებას, რომ ეს ნიშნები შესაძლოა წარმოიქმნას სქესობრივი აქტის დროს დაზარალებულის ან ექვემდებარებულის ფსიქოპათიური (სადისტორი) მოქმედებით. (გვ. 114).

აქ არ იქნებოდა უადგილო, ავტორს მოეყვანა მასობრივი მაგალითები, რაც თავის ნიშნებით ახლო დგას საღიშმთან და სწორად ესაზღვრება სიმულაციას.

წიგნში გვხვდებით არაუხსტ გამოთქმებს, სტილისტურ და კორექტორულ შეცდომებს, რაშიც მარტო ავტორს ვერ დავადანაშაულებთ.

ზემოთ ჩამოთვლილი შენიშვნები არ ამცირებს ბ. ხარაშიშვილის ნაშრომის ღირსებას და იგი დადებით მოვლენას წარმოადგენს კრიმინალისტური მეცნიერების განვითარების საქმეში.

ბ. ვაჩიშვილი,

თბილისის სამეცნიერო-საკვლევო კრიმინალისტური ლაბორატორიის ექსპერტი.



ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მოძრაობის წესების და ავტომანქანების ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის მსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა და ამ მანქანების მძღოლთა პასუხისმგებლობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. მსუბუქი ავტომანქანების მფლობელებს და ამ მანქანების მძღოლებს, რომლებიც ეწევიან ტექნიკურად არაწესიერ მდგომარეობაში მყოფი ავტომანქანების ექსპლოატაციას, რაც საფრთხეს უქმნის მოძრაობის უსაშიშროებას, აგრეთვე მართავენ ავტომანქანებს არაფიზიკურ მდგომარეობაში ან მათ ზართვას ანდობენ ისეთ პირებს, რომლებსაც ავტოტრანსპორტის მართვის უფლება არა აქვთ, — დაედებათ ჯარიმა 100-დან 500 მანეთამდე ან დაპატიმრებულ იქნებიან 3—დან 15 დღემდე, აგრეთვე ჩამოერთმევათ ავტოტრანსპორტის მართვის უფლება ექვს თვემდე ვადით.

იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ჯარიმას 100-დან 500 მანეთამდე და ავტოტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევას რთვიდან ერთ წლამდე ვადით.

2. მსუბუქი ავტომანქანების მფლობელები და ამ მანქანების მძღოლები ავტოტრანსპორტის პირადი გამორჩენის მიზნით გამოყენებისათვის დაჯარიმდებიან 100-დან 500 მანეთამდე ან დაპატიმრებულ იქნებიან 3-დან 15 დღემდე, აგრეთვე ჩამოერთმევათ ავტოტრანსპორტის მართვის უფლება ექვს თვემდე ვადით.


იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე, ავტომანქანის კონფისკაციას და ავტოტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევას ორ წლამდე ვადით.

3. მსუბუქი ავტომანქანების მფლობელებისა და მანქანების მძღოლების მიერ ავტოტრანსპორტის მოძრაობის წესების ან მისი ექსპლოატაციის წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა ადამიანის სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ათ წლამდე და ავტოტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევას ხუთ წლამდე ვადით.

იგივე მოქმედება, თუ მას შედეგად მოჰყვა სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე და ავტოტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევას ორ წლამდე ვადით.

მსუბუქი ავტომანქანის მფლობელის მიერ ავტომანქანის სამართავად გადაცემა ისეთი პირისათვის, რომელსაც ავტოტრანსპორტის მართვის უფლება არა აქვს, თუ ამ მოქმედებას შედეგად მოჰყვა ადამიანთა დაღუპვა ან სხეულის მძიმე დაზიანება, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ერთი წლით ან იძულებით მუშაობას იმავე ვადით და ავტომანქანის კონფისკაციას.

4. ამ ბრძანებულების 1 მუხლის და 2 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დარღვევათა შესახებ აღძრულ საქმეებს განიხილავს სა-



ხალხო მოსამართლე ერთპიროვნულად მილიციის ორგანოებისაგან სათანადო ნასაღების მიღების დროიდან ერთი დღე-ღამის განმავლობაში, დარღვევის დამშვები პირის და საჭირო შემთხვევებში — მოწმეთა გამოწვევით.

5. ეს ბრძანებულება ძალაში შედის 15 დღის ვადაში დღიდან გამოქვეყნებისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მ. ჩუბინიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1958 წ. 18 მარტი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 88¹ მუხლის ნაწილობრივ შეცვლისა და დამატების და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში 147¹ მუხლის შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 28¹ მუხლი შემდეგი რედაქციით:

„88¹ ყოველგვარი მოქმედება, რაც პირდაპირი ან ფარული ფორმით არღვევს მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლებას (ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება, გაჩუქება, ანდერძით გადაცემა, იჯარით გაცემა, მიწის ნაკვეთის თვითნებურად დატაცება ან გაცვლა და სხვ.),—გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ერთიდან სამ წლამდე და მიწის ნაკვეთის, რომელიც გარიგების საგანს წარმოადგენს, ამ ნაკვეთში მიღებული ფულადი ან სხვა ქონებრივი სასყიდელის და თვითნებურად აშენებული ნაგებობის ჩამორთმევას“.

2. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში მუხლი 147¹ შემდეგი შინაარსისა:

„147¹ უკეთუ ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, დაბებსა და საკურორტო ადგილებში ინდივიდუალური საბინაო და სააგარაკო მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე სახლის აშენებისას დარღვეულია სართულიანობის, ოთახების რაოდენობისა და ფართობის კანონით დაწესებული ნორმები, ნორმის ზევით აშენებული ოთახები და საცხოვრებელი ფართობი ჩაირიცხება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო ან რაიონული საბჭოს აღმასკომის კომუნალურ ფონდში. ჩამორთმეულ საბინაო ფართობზე მცხოვრებ პირთა გამოსახლებით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მ. ჩუბინიძე


საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1958 წ. 21 აპრილი.

დაკრძალვის კონსულტაცია

მოსახლეობას



რა წესით მიეცემა დახმარება დროებით შრომისუნარმოკლებულ მუშაკს-რომელიც ავად გახდა მორიგ ან დამატებით შვებულებაში ყოფნის დროს?

მუშას ან მოსამსახურეს, რომელიც ავად გახდა მორიგ ან დამატებით შვებულებაში ყოფნის დროს და მიიღო ავადმყოფობის ფურცელი, დახმარება მიეცემა შვებულების პერიოდში ავადმყოფობის ყველა დღეებზე.

მორიგი ან დამატებითი შვებულება გაგრძელდება ან გადაიტანება სხვა დროისათვის, შვებულებაში ყოფნის დროს შრომისუნარმოკლებულობის ხანგრძლივობით, რაც დადასტურებული უნდა იქნეს ავადმყოფობის ფურცლით.

უკეთეს შრომისუნარმოკლებულობა დაემთხვა უხელფასო შვებულების პერიოდს, დახმარება არ გაიცემა, მაგრამ შრომისუნარმოკლებულობა თუ გაგრძელდა უხელფასო შვებულების დამთავრების შემდეგაც, მუშაკი დახმარებას მიიღებს იმ დღიდან, როდესაც მას მუშაობა უნდა დაეწყო.

რა წესით ეძლევა ავადმყოფობის ფურცელი მუშას ან მოსამსახურეს, რომელიც იგზავნება ამბულატორულ-საკურორტო მკურნალობისათვის?

მუშას ან მოსამსახურეს, რომელიც იგზავნება პროფესიონალური ორგანიზაციის მიერ ამბულატორულ-საკურორტო მკურნალობისათვის ეძლევა ავადმყოფობის ფურცელი.

საგზურს (ან „კუროვკას“) იგი ღებულობს სოციალური დაზღვევის სახსრებიდან უფასოდ ან 30% ფასგადახდით.

ამბულატორულ-საკურორტო მკურნალობისა და იქით-აქეთ მგზავრობის მთელი დრო სავალდებულო წესით ჩათვლილი უნდა იქნეს მორიგ ან დამატებით შვებულებაში.

ამბულატორულ-საკურორტო მკურნალობის აუცილებლობა დადასტურებული უნდა იქნეს მკურნალი ექიმის მიერ, განყოფილების გამგესა და მთავარ ექიმთან ერთად.

როდესაც მუშას ან მოსამსახურეს ამბულატორულ-საკურორტო მკურნალობისათვის წასვლამდე რაიმე მიზეზის გამო ნასარგებლავი აქვს თავისი მორიგი ან დამატებითი შვებულება, ავადმყოფობის ფურცელი იმ შეთხვევაშიაც მიეცემა შვებულებაში ჩათვლით.

როგორ გამოიანგარიშება დახმარება დროებით შრომისუნარმოკლებულობის შემთხვევაში მუშაკისათვის, რომელიც შრომის ანაზღაურებას ღებულობს ყოველთვიურად?

მუშას ან მოსამსახურეს, რომელსაც შრომის ხელფასი უნაზღაურდება ყოველთვიურად, დახმარება გამოიანგარიშება მისი ყოველთვიური დამატებითი ან პერსონალური ხელფასის განაკვეთიდან. განაკვეთს დაემატება მუდმივი დანარიცხები და დანამატი, რასაც მუშაკი ღებულობდა შრომისუნარმოკლებულობის დადგომის დღისათვის.

უკეთეს მუდმივი დანარიცხები და დანამატი საერთო ოდენობით გადააჭარბებს თანამდებობრივი განაკვეთის ჯამს, დახმარება გამოიანგარიშება ჯამიდან არაუმეტეს ორი თანამდებობრივი განაკვეთისა, მაგრამ თუ დროებითი შრომისუნარმოკლებულობა დადგა შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების შედეგად, დახმარება გამოიანგარიშება ფაქტიური გამოთვლაზე მეტი ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

როდესაც მუშა ან მოსამსახურე სრულ თანამდებობრივ განაკვეთს არ ღებულობს (მუშაობს ნახევარ განაკვეთზე) დახმარება გამოიანგარიშება მის მიერ ფაქტიურად მიღებულ ხელფასიდან (განაკვეთის ნაწილიდან). მუშაკი, რომელიც ძირითად სამუშაო ადგილზე არ ღებულობს სრულ განაკვეთს, ზოგჯერ მუშაობს მეორე წარმოებაში (დაწესებულებაში) შეთანხმებით. ამ შემთხვევაში დახმარება გამოიანგარიშება ორივე სამუშაო ადგილზე მიღებულ გამოთვლაზე მეტი (დახმარება კი გაიცემა ადგილკომის მიერ ძირითად სამუშაო ადგილზე), მაგრამ იმ პირობით, რომ დახმარება არ უნდა აჭარბებდეს ძირითად სამუშაო ადგილის თანამდებობრივ განაკვეთს.



რეალური თავდასხმა ძარცვის მიზნით არასწორად იქნა დაკვალიფიცირებული ყაჩაღობის მცდელობად და ყაჩაღებს უსაფუძვლოდ შეეფარდა საქ. სსრ სსკ 48 მუხლი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1958 წლის 4 ივნისის განჩინება № 252 ა. ი. უხანოვის და ვ. ნ. ლებედვის საქმეზე.

1957 წლის 5 ივნისს ღამით, ქ. ფოთში, კოოპერაციის ქუჩაზე, ვ. ნ. ლებედვი და ა. ი. უხანოვი ქონების გატაცების მიზნით თავს დაესხნენ მოქალაქე გრიგოლის და მის მოკვლას შეეცადნენ.

ლებედვიმ ყელში ხელი წაუჭირა გრიგოლის და ცდილობდა მის მოხრჩობას, ხოლო ამ დროს უხანოვმა მას დანა ჩაართვა ზურგის არეში.

დაზარალებულის ყვირილისა და წინააღმდეგობის შედეგად ბოროტმოქმედნი შემთხვევის ადგილიდან გაიქცნენ.

ქ. ფოთის სახალხო სასამართლოს 1957 წლის 10 ოქტომბრის განაჩენით ა. ი. უხანოვს და ვ. ნ. ლებედვს საქ. სსრ სსკ 19 მუხლის მეშვეობით „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მე-2 მუხლის II ნაწილით და საქ. სსრ სსკ. 19—144 მუხლის 1-ლი ნაწილით ერთობლივად მიესაჯათ 15—15 წლით პატიმრობა შრომა-გასწორების კოლონიაში, ხოლო სსკ 48 მუხლით სახალხო სასამართლომ აღნიშნული სასჯელი მათ 6—6 წლის პატიმრობით შეუცვალა.

უხანოვს და ლებედვს განაჩენი საკასაციო წესით არ ვაუსაჩივრებიათ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ პროტესტით ითხოვა უხანოვისა და ლებედვის მიმართ განაჩენის გაუქმება და საქმის სახალხო სასამართლოში დაბრუნება ხელახლად განსახილველად.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ პროტესტი საფუძვლიანად სცნო.

წინასწარი გამოძიების მიერ უხანოვისა და ლებედვის დანაშაულებრივი ქმედობა სწორად იყო დაკვალიფიცირებული საქართველოს სსრ სსკ 19—144 მუხლის 1-ლი ნაწილით და „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მე-2 მუხლის II ნაწილით, ხოლო სახალხო სასამართლომ მათი დანაშაულებრივი ქმედობა გრიგოლის თავდასხმის ნაწილში არასწორად ჩათვალა ამ დანაშაულის მცდელობად.

უხანოვმა და ლებედვი წინასწარი შეთანხმებით დაზარალებულ გრიგოლაზე თავდასხმა ძარცვის მიზნით უკვე განახორციელეს. თავდასხმა დაკავშირებული იყო დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საშიშ ძალადობასთან. გრიგოლის ახრჩობდნენ ყელში ხელის წაჭერით და ზურგის არეში მას დანა ჩაართვეს, ამიტომ გამოძიების მიერ მათი დანაშაულებრივი ქმედობა სწორად იყო დაკვალიფიცირებული, როგორც დამთავრებული დანაშაული.

ამასთანავე სასამართლოს არ ქონდა საფუძველი უხანოვისა და ლებედვისათვის სსკ 48 მუხლი შეეფარდებინა. ბოროტმოქმედნი თავს დაესხნენ დაზარალებულ გრიგოლის ქონების გატაცების მიზნით და თან განიზრახეს მისი მოკვლა. მართო ის გარემოება, რომ უხანოვი და ლებედვი სხვა დროს არ ყოფილან შენიშნულნი ცულ საქმიანობაში და ეწეოდნენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, არ იძლეოდა საკმარის საფუძველს, რომ მათ კანონით გათვალისწინებულ მინიმუმზე ნაკლები სასჯელი დანიშნოდათ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, ქ. ფოთის სახალხო სასამართლოს 1957 წლის 10 ოქტომბრის განაჩენი აღუქმანდრე ივანეს ძე უხანოვისა და ვალენტინ ნიკოლოზის ძე ლებედვის მიმართ გააუქმა და საქმე დაუბრუნა ხელახლად განსახილველად იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

სახალხო სასამართლომ არასწორად გადააკვალიფიცირა „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით დაკვალიფიცირებული ბრალდება—„სახელმწიფო და საზოგადო ქონების წვრილმანი დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ 1955 წლის 10 იანვრის ბრძანებულების 1 ნაწილით

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1958 წლის № 132 დადგენილება — კოქლამაზაშვილის, გონაშვილის და თარხანოვის საქმეზე.

ზ. გ. კოქლამაზაშვილი და ი. ნ. გონაშვილი სოფელ მირზანის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობდნენ: პირველი—სატვირთო ავტომანქანის მძღოლად, მეორე—მტვირთვად, ხოლო მ. ი. თარხანოვი იყო „ზავოტურნოს“ წითელწყაროს დამზადების პუნქტის მექსმენე.

1957 წლის 14 ივლისს, კოლმეურნეობის საწყობში ხორბლის გადაზიდვის დროს, კოქლამაზაშვილმა, გონაშვილმა და თარხანოვმა, წინასწარი შეთანხმებით გაიტაცეს კოლმეურნეობის კუთვნილი 134 კილოგრამი ჭორბალი 288 მანეთის ღირებულების. აღნიშნული ხორბალი აღმოჩენილი იქნა თარხანოვის ბინაზე.

წითელწყაროს რაიონის სახალხო სასამართლომ 1957 წლის 30 აგვისტოს განაჩენით, „სახელმწიფო და საზოგადო ქონების წვრილმანი დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ 1955 წლის 10 იანვრის ბრძანებულების 1 ნაწილით—გონაშვილს, კოქლამაზაშვილს და თარხანოვს სამ-სამი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

კოქლამაზაშვილი, გონაშვილი და თარხანოვი სამართალში იყვნენ მიცემულნი „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მე-4 მუხლით, ხოლო სახალხო სასამართლომ მათი ბრალდება სახელმწიფო და საზოგადო ქონების წვრილმანი დატაცების შესახებ 1955 წლის 10 იანვრის ბრძანებულებით გადააკვალიფიცირა.

აღნიშნული განაჩენი საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ძალაში დატოვა.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტით ეს საქმე განიხილა საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა და სცნო, რომ მსჯავრდადებულთა მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობა არასწორად იყო დაკვალიფიცირებული.

სახალხო სასამართლომ და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 134 კილოგრამი ხორბალი არასწორად წვრილმან ქონებად ჩათვალეს, ამასთანავე მხედველობიდან გაუშვეს, რომ ამ შემთხვევაში საქმე ქონდათ დამნაშავეთა წინასწარი შეთანხმებულ, ორგანიზებულ ჯგუფთან.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა, წითელწყაროს რაიონის სახალხო სასამართლოს 1957 წლის 30 აგვისტოს განაჩენი და საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1957 წლის 19 სექტემბრის განჩინება ზ. გ. კოქლამაზაშვილის, ი. ნ. გონაშვილის და მ. ი. თარხანოვის მიმართ გააუქმა და საქმე ხელახლად განსახილველად სამსჯავრო სხდომის სტადიიდან სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლოს დაუბრუნა.


თვითმკვლევლობამდე ან თვითმკვლევლობის ცდამდე მიყვანას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დაზარალებულის მიმართ გამოყენებულია სიმკაცრე ან სხვაგვარი ბოროტი ზემოქმედება ისეთი პირის მიერ, ვისგანაც იგი მატერიალურად ან სხვა რამ სახით დამოკიდებულია

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1958 წლის 12 მაისის დადგენილება № 133 ვ. ა. ბაძაღუას საქმეზე.

ვ. ა. ბაძაღუა მუშაობდა სოფელ ხეთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში ელექტრომონტიორად, აგი ცოლშვილიანი იყო და ამავე დროს ინტიმური კავშირი ქონდა პლანტაციის მუშა მ. კ. ლუკიანჩუკთან.

1957 წლის 18 აგვისტოს ბაძაღუას სახლის უკან ლუკიანჩუკმა ხეზე ჩამოაბა თოკი და თავი ჩამოიხრჩო.

ლუკიანჩუკის თვითმკვლევლობამდე მიყვანისათვის ბაძაღუას ცნაკაას რაიონის სახალხო სასამართლომ სსკ 150 მუხლის 11 ნაწილით მიუსაჯა 3 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 1957 წლის 1 ნოემბრის ამინისტციის ბრძანებულების საფუძველზე სასჯელი გაუწახვერა.



საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ეს განაჩენი ძალაში დატოვა.

საქ. სს რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ ბაძაღუს მიმართ გამოტანილი განაჩენი და განჩინება ვააპროტესტა, ითხოვა მათი გაუქმება და საქმის წარმოებით მოსპობა.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა პროტესტი საფუძვლიანად სცნო.

დადგენილია, რომ ბაძაღუ ინტიმურ კავშირში იმყოფებოდა ლუკიანჩუთან, ამიტომ ბაძაღუს უსიამოვნება ჰქონდა თავის ცოლთან. ამ უკანასკნელმა მიატოვა ქმარი, ორი მცირეწლოვანი ბავშვი და ოჯახიდან წავიდა.

ბაძაღუმ გაიგო, რომ ლუკიანჩუს სხვა მამაკაცთანაც ჰქონდა ინტიმური კავშირი, რის გამოც გადაწყვიტა, რომ ჩამოშორებოდა მას და ეს გადაწყვეტილება განუცხადა ლუკიანჩუს.

1958 წლის 18 აგვისტოს ლუკიანჩუმა გულის წასვლის ინცენიერება მოაწყო, გვიან ღამით კი ბაძაღუსთან მივიდა და ოჯახში მიღება მოთხოვა, მაგრამ ბაძაღუმ არ მიიღო იგი.

ამის შემდეგ ლუკიანჩუი თავის ბინაზე დაბრუნდა, ანდერძი დატოვა, რომ თავისი შვილი აღსაზრდელად საბავშვო სახლში ჩაებარებინათ, ხოლო დილით თოჯნე თავი ჩამოიხრჩო.

თვითმკვლელობამდე მიყვანას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დაზარალებულის მიმართ გამოყენებულია სიმკაცრე ან სხვა რამ ბოროტი ზემოქმედება ისეთი პირის მიერ, ვისგანაც იგი მატერიალურად ან სხვა რამ სახით დამოკიდებულია.

ლუკიანჩუი მატერიალურად დამოკიდებული არ იყო ბაძაღუსაგან, ამ უკანასკნელს რაიმე სიმკაცრე, უხეშობა ან ბოროტი ზეგავლენა დაზარალებულის მიმართ არ გამოუყენებია, მან მხოლოდ ლუკიანჩუი არ მიიღო ოჯახში.

ასეთი ვარემოება კი საქ. სსრ სსკ 150 მუხლის II ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებში არ შედის.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა ცხაკაიას რაიონის სახალხო სასამართლოს 1957 წლის 21 დეკემბრის განაჩენი და საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1958 წლის 2 იანვრის განჩინება ვ. ა. ბაძაღუს მიმართ გააუქმა მის მოქმედებაში დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო და საქმე წარმოებით მოსპო.

ტვირთის გამგზავნის წინაშე მატერიალურად პასუხისმგებელია ტვირთის გადამზიდი ორგანიზაცია და არა მისი მუშაკი—თანამდებობის პირი, ხოლო გამცილებლის მიერ ტვირთის დატაცება უნდა ჩაითვალოს გამცილებელი ორგანიზაციის ქონების დატაცებად

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1958 წლის 28 აპრილის დადგენილება № 159 ვ. ი. კაციტაძის საქმეზე.

ვ. ი. კაციტაძე არტელ „ბაღდადში“ ვაგონების გამცილებლად მუშაობდა. 1956 წლის 28 მარტს სამტრედიის ვარციხის საბჭოთა მეურნეობიდან რივის ღვინის ქარხანაში ჩასაბარებლად კაციტაძემ 2076 ღვკალიტრი ღვინო მიიღო.

გზაში ღვინის ფალსიფიცირება მოახდინა და ამ ხერხით მან 26.685 მანეთად ღირებულებული ღვინო მიითვისა. ადგილზე ღვინის ჩაბარებისას მასვე აღმოაჩნდა 507 მანეთი დანაკლისი. მთავრობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1957 წლის 29 ივნისის განაჩენით „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მე-2 მუხლით და სსკ 187 მუხლის I-ლი ნაწილით კაციტაძეს ერთობლივად 10 წლით შრომა-გასწორების კოლონიაში პატიმრობა მიესაჯა.

სსკ 48 მუხლის საფუძველზე სასამართლომ კაციტაძეს აღნიშნული სასჯელი გაუნაჩევრა და მას ვარციხის საბჭოთა მეურნეობის სასარგებლოდ 26.685 მანეთის გადახდა დააკისრა.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ეს განაჩენი ძალაში დატოვა.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა განიხილა რა საქმე საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტის საფუძველზე, ბრალდება დადასტურებულად სცნო, მაგრამ განაჩენი და განჩინება კაციტაძის მიმართ დანაშაულის კვალიფიკაციის და სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში არასწორად ჩათვალა.

განაჩენით დადასტურებულია, რომ კაციტაძე მუშაობდა მთავრობის რაიონის არტელ „ბაღდადში“ ვაგონების გამცილებლად.

არტელ „ბაღდადსა“ და „სამტრედიას“ შორის არსებული ხელშეკრულების თანახმად, ღვინის მიღების შემდეგ მატერიალური პასუხისმგებლობა ამ ტვირთზე გამგზავნის წინაშე

არტელს ეკისრებოდა. ამრიგად, ვაგონის გამცილებელმა კაციტაძემ ზარალი მიაყენა არა ტვირთის გამგზავნის—ვარციხის საბჭოთა მეურნეობას, არამედ არტელ „ბაღდადს“, რომლის მომუშავედ იგი ითვლებოდა, ამიტომ ზარალის ანაზღაურება უნდა დაკისრებოდა არტელ „ბაღდადს“.—ხოლო ამ უკანასკნელს დარჩებოდა სარეგრესო სარჩელის უფლება მსჯავრდადებულ კაციტაძის მიმართ.

ამასთანავე კაციტაძის მიერ ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაცია „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დაცვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მე-2 მუხლით არასწორია, რადგან კაციტაძემ დაიტაცა არტელის და არა სახელმწიფო ქონება, რაც უნდა დაკვალიფიცირებულიყო იმავე ბრძანებულების მე-4 მუხლით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა, გადაკვალიფიცირა რა კაციტაძის დანაშაული „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დაცვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მე-2 მუხლიდან ამავე ბრძანებულების მე-4 მუხლზე განაჩენი და განაჩინება სისხლის სამართლის ნაწილში ძალაში დატოვა, ხოლო სამოქალაქო სარჩელის დაქმაცოფილების ნაწილში ისინი გააუქმა და საქმე დაუბრუნა სახალხო სასამართლოს ხელახლად განსახილველად.

სასამართლოში არ განიხილება სარჩელი სამუშაოზე აღდგენის შესახებ, უკეთუ არ არის დაცული „შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ დებულების“ 24-ე მუხლის მოთხოვნა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1958 წლის 28 აპრილის დადგენილება № 33 საქმეზე ნ. ნ. ღვინიაშვილის სარჩელის გამო.

ნ. ნ. ღვინიაშვილი ქ. თბილისის სასტუმრო „რუსთავში“ დამლაგებლად მუშაობდა. 1957 წლის 14 აგვისტოს შრომის დისციპლინის დარღვევისათვის იგი სამუშაოდან მოხსნეს.

ღვინიაშვილმა ქ. თბილისის სტალინის რაიონის სახალხო სასამართლოს მიმართა სარჩელით, რომლითაც ითხოვა სამუშაოზე აღდგენა და განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

სახალხო სასამართლომ ღვინიაშვილს სარჩელზე უარი უთხრა და ეს გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ძალაში დატოვა.

სახალხო სასამართლოს გადაწყვეტალება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ გაპროტესტა, მათი გაუქმება და საქმის წარმოებით მოსპობა ითხოვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა პროტესტი საფუძვლიანად სცნო, რადგან ღვინიაშვილის საქმის განხილვის დროს სახალხო სასამართლოს მიერ დარღვეული იყო შრომითი დავის საქმეთა განხილვის წესების შესახებ არსებულ დებულების 24-ე მუხლი. ღვინიაშვილს შრომის დავის საქმეთა განხილველი კომისიის დადგენილება ათი დღის ვადაში ადგილობრივ არ გაუსაჩივრებია, ამის გარეშე სახალხო სასამართლოს არ შეეძლო მიეღო საქმე თავის წარმოებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა, ქ. თბილისის სტალინის რაიონის სახალხო სასამართლოს 1957 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1957 წლის 27 სექტემბრის განჩინება გააუქმა და საქმე წარმოებით მოსპო.


სამუშაოზე აღდგენის შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო ვალდებულია სამუშაოდან მუშაკის დათხოვნის ნამდვილი მიზეზი გამოარკვიოს

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილება № 35 საქმეზე რ. ს. ხულუშაურის სარჩელის გამო.

რ. ს. ხულუშაური დუშეთის რაიონის ზოვეტერინალურ ტექნიკუმის ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობდა. 1957 წლის 3 ოქტომბრიდან სხვადასხვა მიზეზებით იგი თანამდებობიდან დაითხოვეს, ძირითადად კი დირექტორის პირადი შეურაცხყოფის გამო.

ხულუშაურმა დუშეთის რაიონის სახალხო სასამართლოს წინაშე აღძრა სარჩელი, რომლითაც სამუშაოზე აღდგენას და განაცდური ხელფასის ანაზღაურებას მოითხოვდა.

სახალხო სასამართლომ ხულუშაურს სარჩელზე უარი უთხრა და ეს გადაწყვეტილება საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ძალაში დატოვა.



საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ პროტესტით ითხოვა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებისა და საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლად განსახილველად სახალხო სასამართლოში დაბრუნება.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა პროტესტი საფუძვლიანად სცნო. ხელუხაური დათხოვნილი იქნა სამუშაოდან იმის გამო, რომ მან ტექნიკუმის დირექტორს შეურაცყოფა მიაყენა. მუშაკის დათხოვნის ასეთი მოტივი შრომის კანონთა კოდექსით გათვალისწინებული არ არის.

საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ხელუხაურმა ტექნიკუმის დირექტორის ზოგიერთი არასწორი მოქმედება ამხილა და სათანადო კომისიის გამოკვლევით მხილება დადასტურდა.

სახალხო სასამართლომ საქმე საფუძვლიანად არ შეისწავლა, მოსარჩელისა და მოპასუხის ურთიერთდამოკიდებულება არ გამოარკვია და მოსარჩელის სამუშაოდან დათხოვნის ნამდვილი მიზეზი არ დააღვინა.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა, დუშეთის რაიონის სახალხო სასამართლოს 1957 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1957 წლის 25 დეკემბრის განჩინება ხელუხაურის საქმეზე გააუქმა და საქმე დაუბრუნა ხელახლად განსახილველად დუშეთის რაიონის სახალხო სასამართლოს სხვა შემადგენლობას პროკურორის მონაწილეობით.



სარედაქციო კოლეგია

მ. ლომიძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, მ. თოფურაძე, გ. ინჭკარველი, გ. კერეხელიძე (პ./მგ. მდივანი), ს. როსტიაშვილი, თ. წერეთელი.

შეკვ. № 562

უგ 03751

ტირაჟი 3000



საქ. უპ ცკ-ის გამომცემლობის ა. ფ. მიანსკოვი სახ. სტამბა, „ზარია ვოატოკა“ თბილისი, რუსთაველის გამზ., 42.

შენიშნული შეცდომები

გვერდი	სტრიქონი	დაბეჭდილი არის	უნდა იყოს
5	22	ზემოდან სამერნეო	სამეურნეო
10	16	ზემოდან ლენინის	ლენინს
11	1	ქვემოდან სამართალში	სამართალში
12	8	ზემოდან შესაძლებლობას	შესაძლებლობას
14	14	ზემოდან მარქსიზიმ-ლენინიზმი	მარქსიზმ-ლენინიზმი
16	4	ზემოდან სოციალისტურ	სოციალისტურ
17	4	ქვემოდან კოლმეურნეობებს	კოლმეურნეობებს
20	11	ზემოდან სათარიგო	სათადარიგო
26	12	ზემოდან საერთო	საერთოდ
27	5	ზემოდან ბუნალტვრული	ბუნალტრული
37	5	ქვემოდან რომელებიც	რომლებიც
41	2	ქვემოდან მსჯელობის	მსჯელობის
54	3	ქვემოდან მნიშნელოვანი	მნიშვნელოვანი
57	9	ქვემოდან სანახლო	სანახლო
57	10	ქვემოდან მაგალითად	მაგალითად

ფან 5 835.

0 100/186



СОВЕТСКОЕ ПРАВО № 2

(на грузинском языке)

Орган Министерства юстиции, Прокуратуры и Верховного Суда
Грузинской ССР

